C M Y K

WWW.SAERTOGAZETI.ORG

საერთო გაზეთი

№13 (247) ● 17-23.IV.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

სკანდალური ინფორმაცია — 19 აპრილს ნაცმოძრაობის ერთი ჯგუფი მომიტინგეთა წინაშე პარტიიდან მიხეილ სააკაშვილის გარიცხვის მოთხოვნით წარსდგება

ხათუნა კალმახელიძეს ცხოვში სექს-რუმი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ დასცალდა...

ამბობენ, რომ სწორედ ხათუნა კალმახელიძე იყო ის „ნინძა“, რომელიც ქსნის ზონაში პატიმრებს სცემდა

„ველოსიპედით დადიხარ, ალბე გიყვარდა სუფერი“...

საქართველოში იმდენი დანაშაულია ჩადენილი, მათ გამოძიებას შეიძლება ნახევარი საუკუნე დასჭირდეს

ვინ თხზავს ლეგენდებს „გმირ“ ვანოზე...

რატომ ასაქმებდა ნაცმოძრაობა“ ვეტერანთა დეპარტამენტში კრიმინალებს?

ისევე, როგორც „ნაც. მოძრაობისთვის“, „რესპუბლიკელებისთვისაც“ მზე დასავლეთიდან ამოდის

აშშ-ს სურს საქართველო ცირკად აქციოს, სადაც მგელი და ცხვარი ერთად მოძოვენ...

სიკვდილის ტრასა

ვადამდელი არჩევნები იმისთვისაც არის საჭირო, რომ „მოშინაურებულ ყვავებს“ ერთხელ და სამუდამოდ, მიეჩინოთ თავისი ადგილი

რამდენი „ექიმი მენგელე“ ჰყავდათ „ნაცებს“?

საქართველოში იმდენი დანაშაულია ჩადენილი, მათ გამოძიებას შეიძლება ნახევარი საუკუნე დასჭირდეს

ვახტანგ ხარჩილავა

დიდი დავა და დისკუსიაა გაჩაღებული იმის შესახებ, გამოვიძიოთ თუ არ გამოვიძიოთ 2008 წლის აგვისტოს ომის ამბები?

რა თქმა უნდა, უნდა გამოვიძიოთ, ის კი არა ისიც უნდა გამოვიძიოთ, რატომ ჰქვია ამ ხუთდღიან საბრძოლო მოქმედებებს დიდი სიტყვა – ომი?

გამოსაძიებელია ისიც, თუ ეს ომი წავაგეთ, რატომ ვზეიმობდით გამარჯვებას 2012 წლის 12 აგვისტოს, მაშინ, როდესაც ქართველ ჯარისკაცთა ცხედრები ბრძოლის ველზე დაუმარხავი ეყარა...

ისიც ხომ გამოსარკვევია, ვინ იყვნენ ის ადამიანები – მსახიობები, მომღერლები, მოპოეტო ელემენტები, ვითომ პოლიტიკოსები – 12 აგვისტოს ქართველ ხალხს თვალში ნაცარს რომ აყრიდნენ და – გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთო! – არწმუნებდნენ.

სად გაიმარჯვეთ, ვისზე გაიმარჯვეთ და რა გამღერებდათ და რა გაცეკვებდათ, იქნებ ახლა მაინც თქვათ.

ისიც გამოსაძიებელია, რატომ, რა მოტივით თქვა ქართველ პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა ომის მომდევნო დღეებში, ასეთი რამ: – ახლა არ არის იმის დრო სააკაშვილის ბრალეულობის ამბები ვარკვიოთ, მოდით, ამ თემაზე მორატორიუმი გამოვაცხადოთო.

სწორედ ამ მორატორიუმით გადაურჩა მაშინ სააკაშვილი ქართველი ხალხის რისხვას და მას შემდეგ დღემდე „მეფედ“ გვაზის თავზე.

თქვენ როგორ ფიქრობთ, არ უნდა გამოვიძიოთ რა ამოძრავებდათ ამ პოლიტიკოსებს, სააკაშვილს ამბრაზურასავით რომ გადაეფარნენ და საპრეზიდენტო ტახტი კიდევ ხუთი წლით რომ შეუნარჩუნეს?

ბედის ირონიით, მორატორიუმის ინიციატორთა ერთი ნაწილი დღეს ახალ ხელისუფლებაშია და აგვისტოს ომის გამოძიებას მოითხოვს.

სააკაშვილს რომ ხელს აფარებდით და გარშემო საიმედო დაცვად რომ ედექით, მაშინ რატომ არ მოითხოვეთ გამოძიება, თქვე მართლა გამოსაძიებელ-გამოსაკვლევებო?

აგვისტოს ომის გარდა, იმდენი რამ არის გამოსაძიებელი ამ უბედურ ქვეყანაში, უიმედობა მიპყრობს – რა გამოძიება აუვა ამას, რამდენი წელი დასჭირდება დანაშაულობათა ამ უწყვეტი ჯაჭვის შესწავლას და გამორკვევას?

თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იმდენი ბოროტება, იმდენი სისაძაგლე, იმდენი საზიზღრობაა ჩადენილი ამ ერთ ციცქნა ქვეყანაში, ათჯერ უფრო დიდ ქვეყანას ასი წელი რომ ეყოფა მოსანანიებლად.

აგვისტოს ომი, უდავოა, რომ გამოსაძიებელია, მაგრამ ის არ არის გამოსაძიებელი, ამ ომამდე ცოტა ხნით ადრე რატომ დააკანონა საქართველოს პარლამენტმა ტერმინი ზემო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ყოველგვარი ეგრეთწოდებულის გარეშე?

არ არის გამოსაძიებელი, რატომ უნდა გადარქმეოდა დალის ხეობას სახელი და რატომ უნდა დარქმეოდა ზემო აფხაზეთი, ხოლო ისტორიული სამაჩაბლოსა და ქართლის ტერიტორიებისთვის რატომ უნდა გვეწოდებინა ოფიციალურად სამხრეთ ოსეთი?

ისმის კითხვა, ხომ არ იყო ყოველივე ეს პოლიტიკური და იურიდიული ნიადაგის მომზადება წინასწარ დაგეგმილი დიდი ღალატის მოსალოდნელი შედეგების ლეგიტიმაციისთვის?

სხვანაირად რით აიხსნება საქართველოს პარლამენტის ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება.

ხშირად გაიგონებთ, რუსეთმა საქართველოს მახე დაუგო და პროვოკაციაზე წამოაგო.

კი მაგრამ საქართველოს პარლამენტში ვინ დაგვიგო მახე და ვინ წამოგვაგო პროვოკაციაზე?

თუ ეს ღალატი იყო, რამდენი ადამიანი იყო ჩართული ამ ღალატში და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში?

საერთოდ, რამდენი მოღალატე შეიძლება ჰყავდეს ერთ ქვეყანას — ასი, ათასი, ასიათასი?

მე თუ მკითხავთ, ესეც გამოსაძიებელი და გამოსაკვლევია...

აუცილებლად გამოსაძიებელია, სინამდვილეში რა იყო „ვარდების რევოლუცია“.

ხომ საინტერესოა, რატომ ჰქვია მას ვარდების რევოლუცია და არა კარგად დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალება, როცა პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიარაღებული ადამიანები შეიჭრნენ და მათი მამა და გამზრდელი შევარდნაძე ბრძოლის ველიდან აოტეს?

შევარდნაძის გახსენებაზე გამახსენდა – აფხაზეთის ომის ამბები არ უნდა გამოვიძიოთ?

ხუთი დღე კი არა წელიწადი და სამი თვე გრძელდებოდა ეს ომი, რომელმაც ათიათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა და ასიათასობით ადამიანი ლტოვილად და ბოგანოდ აქცია.

არ არის გამოსაძიებელი, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ რატომ განაიარაღა აფხაზეთის ქართველობა, რატომ მისცა მას უსაფრთხოების გარანტია, რატომ დააბრუნა უკან აფხაზეთიდან ფასული ადამიანები, რასაც სულ მალე ქართველთა ხოცვა-ჟლეტა და გენოციდი მოჰყვა,

თუმცა ამის გამო საქართველოს ხელისუფლებიდან პასუხი არავის უგია, ხოლო შევარდნაძეს, რომელმაც ამ ტრაგედიის შემდეგ პოსტიდან წასვლა გადაწყვიტა, სარიშვილის და სხვა ქართველების დაჩოქებამ გული იმდენად მოულბო, კიდევ ათი წლით იპრეზიდენტა, ხოლო საქართველო იმავე პოზაში დაჩოქილი და წაკუზული დაუტოვა სააკაშვილს და მის ბანდას.

არ არის ეს გამოსაძიებელი ამბავი? როგორ არ არის, მაგრამ ვინმემ გამოიძია, ვინმემ თავი შეიწუხა?

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იდუმალებით მოცული სიკვდილი დღემდე გამოუძიებელია.

არც ეს ფაქტია გამოსაძიებელი და ბოლომდე მოსაყვანი?

საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა იცოდეს, ვინ გაძარცვა ის გასული საუკუნის 90-იან წლებში, ვინ წაართვა ანაბრები, ვინ გაუყიდა კუპონების ფასად ფაბრიკები, ქარხნები, ვინ გაუჩანაგა, ვინ აუოხრა სამშობლო და ყოველი მეოთხე ქართველი ვინ აქცია პროლეტარად?

განა არ არის გამოსაძიებელი, ვინ იყო ავტორი იმ მუხანათური გეგმისა, რომლის მიხედვითაც საქართველო, ეს ღვთით კურთხეული ქვეყანა, ისეთ გაჭირვებაში უნდა ჩავარდნილიყო, რომ ქართველები აეკულებინათ საშობლოდან გაქცეულიყვნენ?

გამოსაძიებელი არ არის, ვისი დასტურით და ვისი კურთხევით აქცია სააკაშვილმა საქართველო ერთ დიდ ციხედ და კონცლაგერად?

გამოსაძიებელი არ არის, რა ძალები მფარველობენ დღეს სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს და მრავალგზის სულში ჩაფურთხებულებს კიდევ ერთხელ ვინ გვაფურთხებს სულში?

გამოსაძიებელი არ არის, რატომ დარჩა დაუსჯელი ამ 23 წლის განმავლობაში ჩადენილი უამრავი უმძიმესი დანაშაული, მათ შორის ქართველი ხალხისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები?

ვინ გამოიძიებს და ვინ დადებს საბრალდებო დასკვნას, ვინ ჰყავს საქართველოს ისეთი მოსისხლე მტერი, რომლისთვისაც ძმა და მეგობარია ყველა, ვინც საქართველოს დაქცევასა და განადგურებაში ხელს გამოიღებს.

დათა ახალაია: აგერ უკვე მეშვიდე თვეა სამშობლოდან გადახვეწილი ვაკვირდები ქვეყანაში მიმდინარე მტკივნეულ პროცესებს. ვფიქრობ, ვაანალიზებ წარსულს და სულ უფრო მიმყარდება რწმენა იმისა, რომ საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია, - კაცი, რომელმაც ჩვენთან - ჩემთან და ჩემს ძმასთან - ბრძოლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა.

ამ ერთი კაცის დაუოკებელმა ლტოლვამ ძალაუფლებისაკენ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეიწირა ჩვენი ხელისუფლება.

მე ღრმად მწამს, რომ არა ვანო მერაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის - ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა

ვანო მერაბიშვილმა, გაწირა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობებ ჩვენ ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი.

საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია – ვანო მერაბიშვილი!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე ასევე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა, ჩემს ძმაზე შურისძიების მიზნით, ამირან მესხელის ხელით უზრუნველყო ცხინის ამაზრზენი კადრების შექმნა და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მარშუტირება, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაზიანებული იმიჯი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენ დამარცხებაში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იალღუჯაზე ჩვენი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ჩემს ძმას ასამართლებენ.

აქვე დავძენ, რომ მე არ ვამტკიცებ, თითქოს ვანო მერაბიშვილი გარიგებული იყო მაშინდელ ოპოზიციასთან, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია - საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალაიები დაზარალდებოდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურების წყალობით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიმპზე დარჩებოდა, რადგანც არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა.

ვფიქრობ, დადგა დრო,ყველა კითხვას გაეცეს პასუხი!

მე,ისევე როგორც ჩემი ძმა, არასოდეს გავქცევივარ პასუხისმგებლობას, არც მაშინ, როცა ორგანიზებულ კრიმინალს და კორუფციას ვებრძოდი, არც რუსეთ-საქართველოს ომის დროს და არც ახლა ვაპირებ ემიგრაციაში თავის შეფარებას.

მყარად მაქვს გადაწყვეტილი, უახლოეს მომავალში ჩემს მეგობრებთან ერთად დავბრუნდე საქართველოში და ყველა კითხვას გავცე პასუხი!

როლანდ ახალაიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა

როლანდ ახალაია: „მე მორალური უფლება არ მაქვს, რომ დავრჩე ნაციონალურ მოძრაობაში. ამ დრომდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ჩემი შვილის მიერ გავრცელებული მიმართვის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. არასოდეს მიღალატია პრინციპებისთვის, ქვეყნისთვის და არც ახლა ვაპირებ არასწორი ნაბიჯის გადადგმას.

რამოდენიმე დღის წინ სკაიპით ვესაუბრე დათას. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მიანიშნა ამ ყველაფერზე. დღეს უკვე ჩემთვის ნათელი გახდა თუ რისი თქმა სურდა მას.“

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სკანდალური ინფორმაცია — 19 აპრილს ნაცმოძრაობის ერთი ჯგუფი მომიტინგეთა წინაშე პარტიიდან მიხეილ სააკაშვილის გარიცხვის მოთხოვნით წარსდგება

რა შეიძლება მოხდეს 19 აპრილს? არ არის გამორიცხული, 19 აპრილის მიტინგი საერთოდ არ გაიმართოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ნაცმოძრაობა“ შეიტყობს, რომ ხალხის სასურველ რაოდენობას ვერ აგროვებს.

მიტინგის გადასადებად მიზეზის გამოძებნას კი ნაციონალები ადვილად მოახერხებენ.

ბოლოს და ბოლოს „ქართულ ოცნებას“ დაებრალებენ ყველაფერს — გზები შეკრეს, ადამიანები დააშინეს და მიტინგი ჩაგვიშალეს.

თუ ეს აქცია მაინც შედგა, შეიძლება მოვლენები რამდენიმე სხვადასხვა გეგმით წარიმართოს.

გეგმა I — „ნაცმოძრაობა“ შეეცდება მიტინგი ხაზგასმულად არააგრესიულ, კონსტრუქციულ სტილში ჩაატაროს და ამით დემოკრატიულ მსოფლიოს აჩვენოს, როგორი კონსტრუქციული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, დემოკრატიული ოპოზიციური ძალაა „ნაცმოძრაობა“ და როგორ ცდილობს კოაბიტაციურ რეჟიმში გააგრძელოს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა.

„ნაცმოძრაობას“ ამგვარი იმიჯი საკმაოდ სერიოზულ დივიდენდებს მოუტანს საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და არსებობის ახალ პერსპექტივებს შეუქმნის. თუმცა შეიძლება არსებობდეს სცენარის მეორე ვარიანტიც, რომლის შესახებაც „საერთო გაზეთი“ წინა ნომრებში წერდა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან.

„19 აპრილს, რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის ძველი შენობის წინ „ნაცმოძრაობა“ საკმაოდ მრავალრიცხოვან მიტინგს გეგმავს.

მათ იმედი აქვთ, რომ მიტინგზე 9-10 ათასი ადამიანი მაინც მოვა, ეს კი სრულიად საკმარისი რაოდენობაა იმისთვის, რომ განხორციელდეს ის სცენარი, რომელიც კარგა ხანია „ნაცმოძრაობის“ „საიდუმლო“ ლაბორატორიაში მუშავდება.

კაცმა რომ თქვას, ამ სცენარში მაინცდამაინც ახალი არაფერია, ის კი არა, თითქმის ერთი-ერთში იმეორებს მოვლენათა იმ სიუჟეტურ ქარგას, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში მეტრო „რუსთაველთან“ ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგზე განვითარდა.

ეს ამბავი 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა.

მიტინგზე, რომელსაც ოპოზიცია მართავდა, სროლა გაისმა.

დაიჭრა მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე, ეს ფაქტი კი ზვიად გამსახურდიას და მის ხელისუფლებას დაბრალდა, თუმცა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ პროვოკატორმა თვითონ მიიყენა თვითდაზიანება ფეხის არეში და მისთვის არავის არ უსვრია.

ფაქტობრივად, 2 სექტემბერის იმ ერთ გასროლას მოჰყვა ის უბედურება, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება ჰქვია.

აი, ასე, ფაქტობრივად, არაფრისგან და არაფრის გამო დაინთო სამოქალაქო ომის ცეცხლი.

„ნაცმოძრაობამ“ შესანიშნავად იცის 2 სექტემბრის ტრაგიკული ამბის ნიუანსები.

ის კი არა, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთი წევრი უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში და საბრძოლო „ნათლობა“ სწორედ იქ, „რუსთაველის მეტროდან“ „ლენინის მოედნამდე“ გაჭიმული ფრონტის ხაზზე მიიღო.

„ნაციონალებს“ რომ პროვოკაციების დაგეგმვასა და დადგმაში ბადალი არ ჰყავთ, ეს მიმდინარე წლის 8 თებერვალსაც კარგად გამოჩნდა.

სააკაშვილმა მოდელირებული, ვირტუალური „რეალობა“ შექმნა, სადაც „წარმატებულ“, „დემოკრატიულ“, „პროდასავლურ“ ხელისუფლებას სასტიკად „ებრძოდნენ“ „ქვეყნის მტრები“ — მის მიერვე შეთხზული „შპიონები“, „აგენტები“. ის თვითონვე თხზავდა და მერე თვითონვე „აღმოაჩენდა“ ხოლმე „შეთქმულებს“, „ტერორისტულ დაჯგუფებებს“, „იატაკქვეშა ორგანიზაციებს“.

სააკაშვილმა ქვეყანა კინო და ტელეგადაღებების მოედნად აქცია, სადაც თვითონ იყო მთავარი რეჟისორი და წამყვანი არტისტი, „ნაცმოძრაობა“ კი „მასოვკის“ როლს ასრულებდა.

აი, ასეთი გაქანების, ასეთი ფანტაზიის კაცი, დაბადებით პროვოკატორი და ავანტურისტი, რა თქმა უნდა, 19 აპრილს გულხელდაკრეფილი არ დაელოდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ახალ, მზაკვრულ სიუჟეტს ამზადებს და, როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, ამ სიუჟეტის ქარგა სწორედ 1991 წლის 2 სექტემბრის ამბებზე იქნება აგებული.

19 აპრილის მომიტინგეთა შორის გამოჩნდებიან პროვოკატორთა ჯგუფები, ვითომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებიც შეეცდებიან არეულობა შეიტანონ მიტინგის მსვლელობაში — გამოიწვიონ ხელჩართული დაპირისპირება, ჩხუბი, აყალ-მაყალი, გაწევ-გამოწევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს გასროლაც...

ყოველივე ამის გაფორმება და გაპიარება კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

საქმე, ალბათ, სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივა (ამის უფლებას სააკაშვილს მისი უცხოელი პატრონები არ მისცემენ), მაგრამ შესრულდება „ნაცმოძრაობის“ მთავარი ამოცანა, რაც ბიძინა ივანიშვილის და ზოგადად, ახალი ხელისუფლების სრულ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ბიძინა ივანიშვილი — დიქტატორი, ბიძინა ივანიშვილი — არადემოკრატი, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს მუშტი-კრივით და ტყვიით უმასპინძლდება — აი, ასეთი „დასკვნა“ წარედგინება საერთაშორისო თანამეგობრობას, რომელიც, ჩვენი აზრით, სიამოვნებით დაიჯერებს ამ ყალბი, ფალსიფიცირებული სურათის ნამდვილობას.

არ არის გამორიცხული, უცნობმა პირებმა თავდასხმები დაიწყონ როგორც „ნაცმოძრაობის“ წევრებზე, ასევე „ნაცმოძრაობის“ ოფისებზე, ეს ყველაფერი კი „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს.

მას შემდეგ, რაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება, სააკაშვილი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, რაც მას საშუალებას მისცემს მთელი ძალაუფლება, დროებით მაინც, კვლავ ხელში აიღოს და ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რაც „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ დარტყმებს მიაყენებს და პროცესებზე მის კონტროლს და გავლენას საგრძნობლად დაასუსტებს.

აი, მაშინ დაიწყებს „ნაცმოძრაობა“ ახალი ულტიმატუმების და ახალი მოთხოვნების წამოყენებას და შეეცდება პოლიტიკურ ოპონენტს თავისი ნება უკარნახოს.

თუ ეს მოხდა, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ საგრძნობლად განიმტკიცებენ პოზიციებს და „ქართულ ოცნებას“ ბევრ ისეთ პრინციპულ საკითხებში დაათმობინებენ, რაც მშვიდ და კოაბიტაციურ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა.

გიორგი გამეზარდაშვილი

„საერთო გაზეთი“, №11 (245)

P.S. *წუხელ, საღამოს, ერთი კარგად ინფორმირებული წყარო დაგვიკავშირდა და ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა, მისი დაჯერება, ცოტა არ იყოს გაგვიჭირდა, თუმცა ამ ინფორმაციის გამოქვეყნება მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ.*

წყაროს ცნობით, 19 აპრილს „ნაცმოძრაობის“ ერთი ჯგუფი ვანო მერაბიშვილის თავკაცობით, დიდ სიურპრიზს უმზადებს მიხეილ სააკაშვილს.

ჯგუფის სახელით მიტინგზე გაკეთდება განცხადება, სადაც მიხეილ სააკაშვილს მისი პარტიის წევრები უმძიმეს ბრალდებებს წაუყენებენ და სააკაშვილის „ნაცმოძრაობიდან“ გარიცხვას მოითხოვენ.

მიხეილ სააკაშვილის მოკვეთით „ნაცმოძრაობა“ შეეცდება უკვე განწმენდილი და გასუფთავებული სახით დაიწყოს ახალი პოლიტიკური ცხოვრება და ყველა ცოდვა, რაც ზურგს უმძიმებთ, ყოფილ ლიდერს გადააბაროს.

წყაროს მტკიცებით, ამ შიდა შეთქმულების უკან ვანო მერაბიშვილი და კიდევ რამდენიმე „ბობოლა“ „ნაციონალი“ დგას, რომლებიც ძველი პატრონის გაყიდვით ფიქრობენ იყიდონ ხელშეუხებლობის გარანტია საზოგადოებისა და ახალი ხელისუფლების მხრიდან.

მართლაც საინტერესო ვერსიაა, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ძნელად დასაჯერებელი.

გ.გ.

ვინ თხზავს ლეგენდებს გმირ ვანოზე, რომელიც რაც თავი გვახსოვს, სულ მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას „გეგმავს“?

ერთ-ერთ გაზეთში მორიგი „სკანდალური“ ინფორმაცია გამოქვეყნდა – ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაციას გეგმავსო.

სიტყვა სკანდალური იმიტომ ჩავსვით ბრჭყალებში, რომ სინამდვილეში ამ ინფორმაციაში არაფერია სკანდალური – ბოლო ხუთი წელიწადია სისტემატიურად ქვეყნდება „სკანდალური“ ინფორმაციები, რომ მერაბიშვილი სააკაშვილს გაგორებას უპირებსო, თუმცა დრო გადის და მსგავსი არაფერი ხდება – მიშა ველოსიპედიდან თავისით თუ გადმოვარდება ხოლმე, ან ცოტა ზედმეტს გადაყლურწავს და ფეხი აერევა, თორემ სხვა მხრივ მის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია, ყოველ შემთხვევაში, ვანოსგან ნამდვილად არ შექმნია რაიმე სახის საშიშროება.

მიუხედავად ამისა, დროგამოშვებით ჭორები მაინც ვრცელდება და ვრცელდება – ვანო მიშას დაპატიმრებას უპირებს, ვანო მიშას ტერაქტს უწყობს, ვანო მიშას გადააყენებს, ვანო მიშას გაკოჭავს და სასამართლოში მიაბრძანებსო.

მსგავსი სახის „სკანდალური“ ინფორმაციები განსაკუთრებით მაშინ ვრცელდებოდა, როცა მიშაა მორიგ სისულელეს ჩაიდენდა და ხალხში საპროტესტო განწყობა პიკს აღწევდა.

თითქოს ვიღაც უჩინარი ხალხის დაშოშმინებას ცდილობდა ამ ინფორმაციით – დაწყნარდით, დამშვიდდით, გმირი ვანო, კეთილშობილი ვანო, პატრიოტი ვანო ქვეყნის შეურაცხყოფას არავის შეარჩენს და თავხედ მიშას საკადრისად დასჯის.

ხომ საინტერესოა, ვინ თხზავდა ამ სკანდალურ ინფორმაციებს და ვინ მოსავდა ათასგვარ დანაშაულში ეჭვმიტანილ ვანოს გმირის მანტიით, ვინ ადგამდა თავგანწირული და თავდადებული პატრიოტის ეკლიან გვირგვინს შემელოტებულ თავზე?

გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამ ჭორების ავტორი თვითონ ვანოა, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი ასინეთების, თავისი ჯიბის ჟურნალისტების და ჯიბის გაზეთების საშუალებით ამ ჭორს ხალხში ავრცელებდა.

ასე იქმნებოდა და იქმნება დღესაც ლეგენდა რაინდ ვანოზე, რომელიც სინამდვილეში ერთი გაქნილი კრიმინალია და სხვა არავინ.

სწორედ ვანოს ბრალდება ის პროვოკაციები, რომლებსაც ის მის საძულველ ახალაიებს უწყობდა და რომლებმაც არა მარტო ახალაიები, არამედ მთელი „ნაცმოძრაობა“ იმსხვერპლა.

მერაბიშვილს ჭკუა არ ეყო და ის „ციხე-სიმაგრე“ ააფეთქა, რომელშიც თვითონ იმყოფებოდა.

დრო მოვა, „ნაციონალები“ აუცილებლად მიხვდებიან, რომ ისინი კატასტროფამდე სწორედ ვანოს ვირეშმაკობებმა მიიყვანა და ალბათ, მათ გამაუბედურებელს სათანადო პასუხსაც მოსთხოვეს.

მოცემულ სიტუაციაში „ნაციონალების“ ერთ ჯგუფს და მათ შორის უპირველეს ყოვლისა, ვანოს, ცხადია, ცოცხალ მიშას მკვდარი მიშა ურჩევნიათ, მაგრამ მიშასგან მრავალგზის დაპანღურებული და გასილაქებული ეს არარაობები ვერც მიშას ლიკვიდაციას გაბედავენ და ვერც მასზე აუგის თქმას.

რაც შეეხება ვანოს „პაგონიან“ ჟურნალისტებს და თავის დროზე მისგან უხვად დაფინანსებულ ზოგიერთ გაზეთს, ისინი ახლა თავგამოდებით ცდილობენ ახალ ხელისუფლების ბანაკში გადაბარგდნენ და ისეთ სვლებს აკეთებენ, შეიძლება ადამიანს გული აერიოს.

როგორც ჩანს, მათ უტიფრობას და უსირცხვილობას საზღვარი არა აქვს...

დავით ქავთარია

ხათუნა ლაგაზიძე: რამდენიმე დღის წინ გავრცელდა მეტად საინტერესო და ნიშანდობლივი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკრაინას არ სურს არჩევანის გაკეთება ევროკავშირსა და ცნობილ ავბედით „საბაჟო კავშირს“ (რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის მონაწილეობით) შორის და ამიტომ აყენებს ინიციატივას, გახდეს „ორი კავშირის ქვეყანა“. უკრაინა იმედოვნებს, შექმნას თავისუფალი ვაჭრობის ზონები ევროკავშირსა და „საბაჟო კავშირთან“ და ამგვარად უკრაინა შეძლებს გახდეს ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც ექნება ასეთი ზონები აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც, ორივე გაერთიანებასთან. ამ გზით უკრაინა ცდილობს გამოიყენოს განვითარების ორივე ვექტორი, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს და არა უარი თქვას რომელიმე მათგანზე.

რუსეთმა უკრაინის ამ იდეას ორ სკამზე ჯდომის წარუმატებელი მცდელობა უწოდა. უკრაინის მიერ გახმოვანებული ამბიციური, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ნაკლებად რეალისტური იდეის გაცნობის შემდეგ ამომიტივტივდა საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული კურსი: რუსეთთან ურთიერთობა მტრულიდან გადაიყვანოს თანამშრომლურ რეჟიმში და იმავდროულად შეინარჩუნოს ნატოსთანაც სტრატეგიული პარტნიორობის რეჟიმი გაწევრების შეუქცევადი სურვილით, თანაც იზრუნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. მაშინაც და დღესაც ამ სამივე მიზნის მიღწევა ერთად ნაკლებად რეალისტურად მიიჩნევა.

უკრაინისა და საქართველოს ხელისუფლებების სურვილი, შეათავსონ ერთგვარად შეუთავსებელი, თითქოსდა გარკვეულ, შორეულ ანალოგიებს აჩენს. ეყოფათ თუ არა ამ ქვეყნების ხელისუფალთ პოლიტიკური ალღო და ნიჭი, იდეა რეალობად აქციონ, მომავალი გვიჩვენებს. პირველ ნაბიჯად სულ მცირე, აუცილებელია, რომ ვირტუალური რეალობის შექმნა შევწყვიტოთ და დავიწყოთ რეალ-პოლიტიკის კეთება. თუ უკრაინელ სტრატეგებს შეუძლიათ მსგავსი, თავისი არსით ეპოქალური ინიციატივების წამოყენება, რატომ არ შეგვიძლია ჩვენ, მსოფლიოსთვის ესოდენ აქტუალურ და პრობლემურ რეგიონში ახალი ხედვების შემუშავება და შეთავაზება?! თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი და პოლიტიკური ნება აღმოაჩნდება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას.

თუ უკრაინამ შეძლო თავისი ინიციატივის ხორცშესხმა, მის მიერ გახმოვანებული მოდელი სრულიად ახალ რეალობას შექმნის საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ ახალ გაერთიანებებში გადანაწილებული ან მათ მიღმა დარჩენილი ქვეყნებისთვის და სრულიად განსხვავებულ კონფიგურაციას შესთავაზებს მათ, რაც შეიძლება ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით მოქნილი და მომგებიანი მოდელი იყოს ბევრი მათგანისთვის, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ შეიძლება არსებული რეგიონული გაერთიანებების სრულ ან ნაწილობრივ რევიზიამდე მიგვიყვანოს, ან სულაც დასახოს ახალი გზა, მეტ თანამშრომლობასა და ნაკლებ კონფრონტაციაზე ორიენტირებული ახალი ევროპისა და მსოფლიოსკენ.

არმაზ ახვლედიანი: არ მესმის თეა წულუკიანის მიერ მეტად კორექტულად და კორექტულ დროს პრეზიდენტზე გაკეთებულმა განცხადებებმა მისი გუნდი რატომ შეაშფოთა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ოპოზიციაშიო მყოფი დღევანდელი მმართველი გუნდი აცხადებდა, რომ აუცილებლად იქნებოდა გამოძიებული აგვისტოს ომის საკითხი და დადგინდებოდა სიმართლე. იქნებ ვინმე ცამდე მართალია და, პირიქით, საჭიროა ბოდიში მოვუხადოთ და ტაში დავუკრათ?! გამოძიება რომ აუცილებელია, მგონი ამაში სადაო არაფერია!

ჩვენს ირგვლივ არავინ მოიძებნება ისეთი, რომელიც იტყვის, რომ არ დაგვბომბეს, ეს ჩვენი საერთო ტრაგიკული წარსულია. მაგრამ იბადება კითხვა, რატომ მოხდა?! ის თუ აგრესორია, მე ჩემი მოქმედებით ან უმოქმედობით, გულგრილობით ხომ არ შევუწყვე ხელი იმას, რომ აგრესია მსგავსი ფორმით გამოვლენილიყო? მაინტერესებს, გაირკვეს, შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება? მთავრობის წარმომადგენელი ვალდებულია, დასვას ეს შეკითხვა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ იმ დროს მთავრობის ნამოქმედარი ან ნაფიქრალი და თავიდანვე ვამტკიცოთ, რომ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ამას ვერავინ გაბედავს, მაგრამ, არსებობს შეკითხვები და ამ შეკითხვებს ნამდვილად აქვს ლეგიტიმური ხასიათი. საერთაშორისო სამართალი ამ შეკითხვების დასმის უფლებას და საშუალებას იძლევა, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიმართ, თუმცა რამდენად რეალური და განხორციელებადია ეს, სხვა საქმეა. მსგავსი კითხვები არსებობს ჩვენს პარტნიორებს შორისაც, რომლებიც მორიდებით შეგვახსენებენ ხოლმე ამის შესახებ.

გავიხსენებდი ტალიავინის დასკვნას და მაშინდელი ხელისუფლების გაღიზიანებულ რეაქციას ამ დასკვნაზე. გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო მათთვის, რომ ამ მასშტაბის დოკუმენტში მათთვის არასასიამოვნო საკითხებიც იქნებოდა გაჟღერებული.

ზემოთ ვსაუბრობდი, რომ შეკითხვები დაისვა აშს-ს და ევროპის პოლიტიკურ წრეებში, იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებში თუ სახელმწიფო მეთაურებს შორის, რომლებიც საქართველოს გულშემატკივრობენ. მათ აინტერესებდათ, იყო თუ არა შესაძლებელი ამ დაპირისპირების თავიდან აცილება. გვაფრთხილებდნენ თუ არა ჩვენ, რომ სხვა გზა აგვერჩია. არა რუსეთთან ჩახუტების, არამედ გზა, რომელიც ითვალისწინებს დიპლომატიური რესურსის სრულად გამოყენებას. ომი კი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ დიპლომატია მოიკოჭლებს, რაღაც ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა.

ამ თემის წამოწევა, პირველ რიგში, სჭირდება სამართლიანობას. უნდა დადგინდეს ადრე თუ გვიან ბრალეულობა, თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი. მართალია, ყველა აღიარებს, რომ მოხდა ოკუპაცია, მგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა იქნას გამოძიებული, რა მოხდა ომის პერიოდში ან ომამდე. ხომ უნდა იქნეს გამორკვეული, იქნებ საქართველომ წლების წინ დაუშვა შეცდომა, რამაც პროვოცირება გაუკეთა ამ ომს.

მუდმივად გვიკიჟინებდა დასავლეთი, ნუ შევიყვანდით ურთიერთობებს ჩიხში. მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, სწორედ ჩიხში შეყვანის პოლიტიკას დაადგა.

კომპრომისი, რომელიც გაგიყვანს სასიკეთო გზაზე, ეს დიდი ხელოვნებაა, თუ ამ ხელოვნებას ვერ ფლობს დიპლომატია, ვაი, იმ დიპლომატიას, თუ მთავრობას ეს არ შეუძლია, მაშინ რა მთავრობაა ის?! აქ საუბარია კომპრომისზე, და არა სახელმწიფოებრივი, მთავარი პრინციპების დათმობაზე. მაშინ, როცა დასავლეთი ჩვენ ღიად თუ ირიბად მიგვითითებდა, რომ მოგვეხერხებინა რუსეთთან ურთიერთოებების მოგვარება, ამ დროს ჩვენთან რუსეთს მუდმივად იყენებდნენ როგორც პოლიტიკურ ფაქტორს, რათა ნებისმიერი ძლიერი ოპოზიციური ძალისათვის კრემლის აგენტობა დაებრალებინათ. გავიხსენოთ სულ რამდენიმე თვის წინ როგორ უწოდებდა წინა ხელისუფლება „ქართული ოცნების“ მოსვლას რუსული პოლიტიკის აღზევებას საქართველოში. იმ ხალხს ვერდიქტი ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა 1 ოქტომბერს. როცა ქვეყანაში მსგავსი ფასადური პოლიტიკაა, მთავრობას აუცილებლად სჭირდება მტრის ხატი და სწორედ ამ მტრის ხატის შექმნამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ვერ შევძელით თავიდან აგვცილებინა 2008 წლის ცხელი აგვისტო.

ამოფეთქილი ჭრილობის მიხედვით

რუსეთ–საქართველოს მკაცრი გამოცდის პერიოდი დაუდგა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2008 წლის ომში თავისი ქვეყნის მოქმედებებს „არაადეკვატური ავანტიურა უწოდა, რასაც მოსკოვის ლიბერალურ ბანაკში ნამდვილი ისტერიკა მოჰყვა. „მიშიკოს“ იქაური ფანატიკოსები, ვისაც ვერ წარმოუდგენია, რუსეთი რამეში დამნაშავე არ იყოს, ივანიშვილს „შეგზავნილ ხელისბჭად“ მოიხსენიებენ და „ქართულ საოცრებას“ დასტირიან. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ჩიტი აფრინდა და შევეცადოთ გავიგოთ, საით და რატომ.

წინა კვირას, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, პრემიერის კვალდაკვალ, განაცხადა, რომ შესაძლოა, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილი და სხვა მაღალჩინოსნები დაიკითხონ.

ახალი ხელისუფლების ოპონენტებმა ახლანდელ მთავრობასა და მის წარმომადგენლებს მაშინვე შეახსენეს, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა, შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, უკვე გამოიძიეს ომის მიზეზები და მისი მიმდინარეობა. სამხედრო მოქმედებებისა და მისი წინმსწრები ვითარების ნიუანსები ზედმიწევნით შეისწავლა საქართველოს პარლამენტმა. ამიტომაც, ახალი ხელისუფლების ინსინუაციები ომის თემაზე, მით უმეტეს, პრეზიდენტის დაკითხვის იდეა, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დევნა რუსეთის საამებლად, აცხადებენ სააკაშვილის მომხრეები.

სააკაშვილი უარს ამბობს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე: ერთი წუთითაც არ ვითანამშრომლებ ამ ანტისახელმწიფოებრივ გამოძიებასთან, რომლის მიზანი ქართული სახელმწიფოებრიობის ძირის გამოთხრაა. იგი უშუალოდ ემუქრება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო ჩვენს მტრებს თავიანთი საბოლოო მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

მისივე თქმით, საერთაშორისო დონეზე ყველა აღიარებს, რომ რუსეთი ინტერვენტი და აგრესორია საქართველოს მიმართ და პუტინისა და ჩავესის გარდა, არავის დაუბრალებია საქართველოსთვის ომის გაჩაღება – ეს მხოლოდ ივანიშვილმა მოახერხა. სააკაშვილის აზრით, მისი ბრალი მხოლოდ ის არის, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, ხელი არ მოაწერეს კაპიტულაციას, საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატისტთა წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა და უარი არ თქვა ნატო-ში ინტეგრაციაზე. სწორედ ამიტომ აპირებენ ჩემს გასამართლებას პუტინი და ახალი ხელისუფლება და საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ეს ყველაფერი ქვეყანას მორიგ სოვეტიზაციად დაუჯდება.



მოდით, განვიხილოთ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მოტივაცია. საქართველოს მოქალაქეებს, სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ შემდეგი ინფორმაცია: აგვისტოს ომის დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა თანამდებობის პირებმა კაცობრიობის წინააღმდეგ სავარაუდოდ ჩაიდინეს დანაშაულობანი ან სხვა ქმედებანი, რომლებსაც შესაძლოა, მიეცეს სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია.

შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინეს ჰაგის სასამართლოს. იუსტიციის მინისტრის თქმით, საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებაა, საქმე საერთაშორისო ტრიბუნალამდე არ მივიდეს. საკუთარი პრობლემები ადგილზევე უნდა გადაწყდეს და საქართველოს ხელისუფლების ღირსების საქმეც არის, თვითონვე გამოიძიოს სამხედრო მოქმედებები; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საქმე საერთაშორისო დონეზე განხილვის რეჟიმში გადაინაცვლებს. ასეთი რამ ქართველ ხალხს არ სჭირდება. თანაც, წულუკიანი „აშშვიდებს“ სააკაშვილს – ჩვენებების მიცემა მას შესაძლოა, იმ დროს მოუწიოს, როცა პრეზიდენტი აღარ იქნება.

ივანიშვილმა ცეცხლს ნავთი დაუმატა: ჯერ ის თქვა, ხალხმა მაქსიმალური კულტურა უნდა გამოიჩინოს პრეზიდენტის მიმართ, თუმცა მისი დაკითხვა უკულტურობა არ არის და სააკაშვილი ამას გაგებით უნდა მოეკიდოსო. „ომის თემა ბურუსშია გახვეული – ასე ფიქრობენ საერთაშორისო საზოგადოებრიობა და ჰაგის სასამართლო“, – აღნიშნა მან და დასძინა: პრეზიდენტის დაკითხვა ქვეყანას საერთაშორისო იმიჯს არ შეულახავსო.

ითქვა იმის შესახებაც, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ისეთი მექანიზმები არსებობს, რომლებიც საქართველოს ზიანს არ მოუტანს. ჯერჯერობით უცნობია, როგორია ეს მექანიზმები, მაგრამ დაკარგულ ტერიტორიებს ნაბიჯ-ნაბიჯ დავიბრუნებთო, იმედიანად ამბობენ.

მოსკოვმა, კერძოდ კი, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა, სათანადოდ შეაფასა ქართველი პრემიერის პოზიცია და მისი პრაგმატიზმი. ასეთ ვითარებაში, რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარების იმედს ბიზნესის, სამეცნიერო წრეების, კულტურის დარგის წარმომადგენელთა და პოლიტოლოგთა გააქტიურებაც იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობა ნელ-ნელა იძაბებოდა, განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა საქართველომ აქტიურად დაიწყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. სააკაშვილმა ამ ისედაც ამღვრეულ მდგომარეობას ხელი წააშველა და ამას ვერც ვერავინ უარყოფს – ის მუდმივად ძაბავდა ურთიერთობას და ამის ფონზე ახლა რუსეთ-საქართველოს მკაცრი გამოცდის პერიოდი უდგას.

ტალიავინის 100-გვერდიანი დასკვნა და მისი მოხსენება აგვისტოს ომზე იურისპრუდენციის, სამხედრო და დიპლომატიის 30 სპეციალისტის დახმარებით არის მომზადებული. მათი დასკვნა ასეთია: ომში თანაბარი ბრალი მიუძღვით საქართველოს და რუსეთს. მასში აღნიშნულია, რომ კონკრეტულად სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყო საქართველომ, მაგრამ პასუხისმგებლობის მეტი ტვირთი რუსეთს ეკისრება, რადგან ომის დაწყებამდე საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ეწეოდა, ხოლო როცა ომი დაიწყო, მას არაპროპორციული ძალით უპასუხა.

ამ მოხსენებაში არ არის პოლიტიკური რეკომენდაციები – იგი კონფლიქტის მიზეზებსა და ქრონოლოგიას მოიცავს. მასში ისეთი დასკვნებია, რომლებიც არც რუსეთს აკმაყოფილებს და არც საქართველოს. მასში ორივე მხარე ეძებს მოწინააღმდეგე მხარისთვის აუცილებელ კონტრარგუმენტებს, მაგრამ თავიანთთვის სასარგებლო ინტერპრეტაციასაც ეწევიან.

სამხედრო მოქმედებების ინტერპრეტაციას თავს ახლაც ვერ აარიდებენ, როცა საქართველოს ახალი ხელისუფლება, მთავარი პროკურატურის სახით, პატარა თუ დიდი სამხედრო ნიუანსების გამოძიებას აპირებს. მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ მათ სამართლებრივად უნდა შეისწავლონ, ჩადენილია თუ არა სამხედრო დანაშაულებანი, ხოლო პარლამენტარებს თითქოს არ შეეხებიან.

გამოძიებისას პოლიტიკური მომენტის გამორიცხვა ისევე შეუძლებელია, როგორც იმის უგულებელყოფა, რომ კონკრეტული პირები შეესაძლოა, ეჭვმიტანილი იყვნენ სამხედრო დანაშაულში. დღესდღეობით ძნელია თქმა, რას გულისხმობს ივანიშვილი ომის მიმდინარეობისას წინა ხელისუფლების „არადაეკვატურობაში“, და იმის წინასწარ განჭვრეტაც რთულია, ეს ყველაფერი ვის როგორ შემოუბრუნდება.

რაც შეეხება მათ, ვისაც მიხეილ სააკაშვილი გულმხურვალედ ესიმპათიურება, ისინი აშკარად იმედგაცრუებული არიან. ახალი ხელისუფლების რიტორიკით თუ ვიმსჯელებთ, მისი დასავლური კურსი უცვლელია. ვის რაში ანაღვლებს „ბორჯომის“, ქართული ღვინისა და ხილის რუსეთში დაბრუნება – იგი ბოლო 20 წლის განმავლობაში ხომ მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ საკუთარი მეზობლების მტრულ პოლიტიკას აფინანსებდა. ანუ ახალი არც არაფერი ხდება.

საქართველოს და რუსეთს შორის გახიდული აფხაზეთი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად, რუსეთმა კოსოვოს ტერიტორიისხელა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და იქიდან მოყოლებული, მისი საზღვრების დასაცავად მილიონობით დოლარს ხარჯავს.

შავი ზღვის სანაპიროზე განთავსებული ამ რესპუბლიკის მოსახლეობა რუსულად ლაპარაკობს, რუსულ ვალუტას იყენებს, აქვს რუსეთის მოქალაქის პასპორტი და პენსიასაც რუსეთისგანვე იღებს. რეგიონის ახლანდელი სტაბილურობის მაჩვენებელი რუსეთიდან ტურისტთა ნაკადის ზრდაა – წელიწადში, დაახლოებით, ორი მილიონი ადამიანი.

ზაფხულში სასტუმროს ყველა ნომერი დაკავებულია. ისინი ვერ აუდიან ტურისტთა ნაკადს, ამბობენ ადგილობრივები. ჩვენ არ ვცხოვრობთ რუსეთის რივიერაში, ჩვენ „აფხაზეთის დამოუკიდებელი ხალხი“ ვართ, აცხადებენ ისინი.

„ჩვენ არ ვმსჯელობთ იმის შესახებ, რომ რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ჩვენზე მეტი შემოსავალი აქვთ. ხალხი აფასებს იმ ფაქტს, რომ თავიანთი

ქვეყნის დამოუკიდებელობას მოესწრნენ“, – ამბობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ბესლან ბარათელია.

აფხაზეთში ყველგან ნახავთ პლაკატებს, რომლებიც ქართველებთან 1992-1993 წლების სეპარატისტული ომის წარმატებებზე გვიამბობს და ომის გმირებს გვაცნობს. შეუძლებელია, არ დაგამძიმოთ დაბომბვისგან დანგრეული სახლების ხილვამ, რომლებშიც ადრე 200 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ისინი იძულებული გახდნენ, ეს ადგილები მას შემდეგ დეტოვებინათ, რაც აფხაზეთმა თუნდაც რამდენიმე სახელმწიფოს თვალში დამოუკიდებლობის სტატუსი შეიძინა.

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს. ის აპირებს აღადგინოს ძველი რკინიგზა, რომელიც თბილისსა და სოხუმს აკავშირებდა, აგრეთვე გააუქმოს სამხედრო აღლუმი და რეინტეგრაციის სამინისტროს სახელი შეუცვალოს. ერთ-ერთ ვარიანტად სახელდება შემდეგი – შერიგებისა და სამოქალაქო თანამშრომლობის სამინისტრო.

საქართველოში ფიქრობენ, რომ სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ რუსეთი თავის სამხრეთელ მეზობელს ამდენ ყურადღებას აღარ მიაქცევს. დღესდღეობით, რუსეთისთვის აფხაზეთი წარმოადგენს ერთგვარ ბუფერს ან ოლიმპიური ობიექტების დასაცავ ტერიტორიას იმ მეზობლისგან, რომელთანაც 2008 წელს იომა.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „ჩვენ ვეგუებით იმას, რომ საქართველოში ახალი დრო დადგა. საბედნიეროდ, ჩვენ იქაურ გარდაქმნებს უსაფრთხო მანძილიდან ვაკვირდებით. ეს აღარ არის ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი. საქართველო სხვა ქვეყანაა“.

ჩირიკბას თქმით, ის აპირებს გაზარდოს იმ სასაზღვრო საგუშაგოების რაოდენობა, რომელთა მეშვეობითაც საქართველოდან მათ ტეროტორიაზე გადასვლაა შესაძლებელი. ამჟამად, ასეთი მხოლოდ ერთი პუნქტი არსებობს, წლის ბოლოსთვის კი ხუთი იქნება. ზოგიერთი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთი მნიშვნელოვნად შეამცირებს აფხაზეთის ფინანსურ მხარდაჭერას და ამიტომაც სოხუმი იძულებული გახდება, თბილისთან ეკონომიკური კავშირი დაამყაროს.

„საქართველოს მხრიდან ნებისმიერ დადებით სიგნალზე მგრძნობიარედ ვრეაგირებთ, – აცხადებს ჩირიკბა, – აქ, აფხაზეთში კარგად მიიღებენ იმას, რასაც მშვიდობიანი ელფერი დაჰკრავს. არ გვსურს, ქართველების მუდმივ მტრებად დავრჩეთ“.

აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული რუსული ბაზების არსებობა საქართველოს თავდასხმის ალბათობას ამცირებს; ამის შედეგად, აფხაზები ქართველებთან – თავიანთ ძველ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობის თანდათანობით დამყარების შესაძლებლობას განიხილავენ.

მიმოხილვა მოამზადა
გ. ჭავჭავაძემ.

ისევე, როგორც „ნაც. მოძრაობისთვის“, „რესპუბლიკელებისთვისაც“ მზე დასავლეთიდან ამოდის

გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, თქვენ კახა კუკავას საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობთ. არჩევნების მოგების რა შანსები აქვს „თავისუფალ საქართველოს“?

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სექტემბრის აქციებში „თავისუფალი საქართველო“, რომლის თანათავმჯდომარეც გახლავართ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მონაწილეობდა. ჩვენ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ერთადერთი პარტია ვიყავით, რომელიც საზოგადოებისთვის სრულიად მისაღები იყო. პრემიერ-მინისტრს ღიად ვუჭერდით მხარს, გვინდოდა ეს რეჟიმი ერთობლივი ძალით დაგვემარცხებინა. ამის დადასტურება იყო ის, რომ დიდუბის საარჩევნო ოლქში ვახტანგ ხმალაძეს დავუჭირეთ მხარი, ასევე მთაწმინდის საარჩევნო ოლქში მხარდაჭერა მთლიანად ზაზა პაპუაშვილის გამარჯვებას მივუძღვენით. მნიშვნელოვანი ტელეეთერებით კახა კუკავას არაერთხელ მოუწია „ქართული ოცნების“ ლიდერების ნაცვლად ბევრი არასასურველი, საზოგადოების შეცდომაში შემყვანი ოპოზიციონერების მოგერიება. გახსოვთ, ალბათ „მაესტროზე“ კახა კუკავას დებატები ჩახვაძესთან და კაციტაძესთან, სადაც მან პირდაპირ დასვა შეკითხვა — ივანიშვილი თუ მერაბიშვილი, მაგრამ საზოგადოებამ პასუხი ვერ მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ გაკვირვებულია, თუ რატომ არ ახსენებს საერთოდ ბიძინა ივანიშვილი კახა კუკავას და მის პარტიას მაშინ, როცა იგი მისივე განცხადებით კონსტრუქციული ოპოზიციის ჩამოყალიბებას ემხრობა. რაც, ალბათ იმას გულისხმობს, რომ „ქართული ოცნების“ ოპონენტი „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ იქნება. თუმცა, ბატონმა ბიძინამ სამი ქალბატონი ჩამოთვალა და მათ პოლიტიკურ გაძლიერებას დაუჭირა მხარი. წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შევაფასებთ, საზოგადოების ყურადღება სწორედ იმ ძალებზე უნდა გამახვილდეს, რომელიც ივანიშვილს არ დაუსახელებია. ვინაიდან, როგორი სასურველიც არ უნდა იყოს ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრი, მის მიერ დასახელებული ოპოზიცია, ბუნებრივია იმ ძალად არ უნდა მიიჩნეოდეს, რომელსაც საზოგადოება ადეკვატურად აღიქვამს. იმიტომ, რომ თუ ხელისუფლება, ძალაუფლებას ფლობს და ირჩევს ვისთან ითანამშრომლოს და ვისთან — არა, საზოგადოებაში, ის ძალა ვისთანაც ხელისუფლება არ ითანამშრომლებს, გაცილებით მეტ სიმპათიას უნდა ბადებდეს. მიგვაჩნია, რომ „თავისუფალი საქართველო“ ოპოზიციურ სპექტრში ფლაგმანია, როგორც კონსტრუქციული ძალა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უსაგნოდ არ აკრიტიკებს. აღარაფერს ვამბობ ციხეებში მასობრივ გაუპატიურებებსა და მკვლელობებზე, რომელსაც ასევე არ ეხდება ფარდა და პროცესი გაჭიანურებულია.

ვშიშობ, ეს ჩუმი საბოტირების გაგრძელება „ქართული ოცნების“ იმ სუბიექტების წინააღმდეგ, რომლებიც ივანიშვილის უშუალო გუნდს წარმოადგენენ პირდაპირი და ღია დაპირისპირება არ დასრულდეს. ასე, რომ ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულნი ვიყოთ. იმ ფონზე, როცა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სუბიექტი „რესპუბლიკური პარტია“ რეგიონალური და ეროვნული უმცირესობების ენების ქარტიის რატიფიცირების ინიციატორად გვევლინება, ჩვენს აღშფოთებას, საზოგადოებასთან ერთად, საზღვარი არ აქვს. ნებისმიერი გზით დავიცავთ იმას, რათა ჩვენი ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესის განვითარება არ მოხდეს და არ დავდგეთ ფაქტის წინაშე — ანუ, ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ უცხო ქვეყნების ინტერესების ლობირებას პირდაპირ, ღიად ეწევა. იმიტომ, რომ ამ ქარტიის რატიფიცირებისგან თავად ევროპის საბჭოს და ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა თავს იკავებს. თავს არ იკავებენ მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები, სადაც ეთნიური უმცირესობები 0,2-0,3 პროცენტს შეადგენს. მაგალითად, სომხეთი, რომელსაც ეს ქარტია მხოლოდ იმიტომ აქვს რატიფიცირებული, რომ მასში შემავალი ეთნიკური უმცირესობების საერთო პროცენტული მაჩვენებელი 0,2-ს შეადგენს. ბუნებრივია, მათ ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. მაგრამ, როცა თავისი კავშირურთიერთობებით ახალქალაქი, მარნეული დაკავშირებული იქნებიან როგორც თბილისთან, ისე ერევანთან, ბაქოსთან, ეს კულტურული ავტონომია ჩვენი ქვეყნის დეზინტეგრაციისკენ მიმართული ნაბიჯი იქნება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამართალწარმოების ენად ქართული საერთოდ ამოვარდება. ეს, რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის მტრობის პირდაპირი დეკლარირებული აქტია. ისევე, როგორც „ნაც. მოძრაობისთვის“, „რესპუბლიკელებისთვისაც“ მზე დასავლეთიდან ამოდის. ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს მოქალაქეებს უფლება უნდა მიეცეთ იცოდნენ, თუ რა მიზნებისთვის იხარჯება უცხო ქვეყნების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა — რა არის ამ მოღვაწეობის მთავარი ქვაკუთხედი და უქმნის თუ არა საფრთხეს ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს. როდესაც სხვადასხვა საეჭვო ორგანიზაციები ამგვარ პროექტებს აფინანსებენ, რასაც თავის მხრივ, უზნეობის ინსტალაციას გულისხმობს, ამას ჩვენი პარტია წინ აღუდგება. გახსოვთ, ალბათ, ამის გამო წინასაარჩევნოდ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და მასთან დაკავშირებულმა სხვა არასამთავრობებმა, ასევე არნოლდ სტეფანიანმა, თამარ ჩუგოშვილმა, თამარ კორძაიამ, რომელიც დღეს ნაძალადევის რაიონში „რესპუბლიკელების“ და არა „ქართული ოცნების“ კანდიდატია, „თავისუფალი საქართველო“ გაგვკიცხეს. ეს ადამიანები ჰომოფობობაში, ქსენოფობობაში გვადანაშაულებდნენ. ბატონი კახა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 ათასი ლარით დაჯარიმდა. ასევე, ჩვენ ვამბობთ, რომ მიგრაციის კანონში უნდა შემუშავდეს მიგრაციული კვოტები. არ შეიძლება სხვა სახელმწიფოებიდან ასე ხელაღებით, ნიაღვრად მოედინებოდეს მიგრანტთა შემადგენლობა. ეს მონათლულია, როგორც ქსენოფობია. მაშინ, როდესაც 3 მილიონიან საქართველოში თავისუფლად შეიძლება 2-3 წელიწადში დემოგრაფიული ბალანსი მთლიანად შეიცვალოს. ჩვენ არც ჩინელებს, არც არაბებს, არც პაკისტანელებს და არც ინდოელებს არ ვერჩით, პირიქით პატივს ვცემთ მათ კულტურას. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ მოვითხოვთ მიგრაციული კვოტები შედგეს, რაც ევროკავშირის სახელმწიფოთა მიერ ეროვნული კანონმდებლობის დონეზე აბსოლუტურად აღიარებულია და ეს ჩვენთანაც უნდა დარეგულირდეს.

— მაგრამ სანამ „რესპუბლიკური პარტიის“ ხელშია ქვეყანა, ეს შესაძლებელია?

— მინდა გითხრათ, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ შემადგენლობა მხოლოდ იმ პერსონალიებით არ განისაზღვრა, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ „რესპუბლიკური პარტიის“ კვოტით შევიდნენ. მათ შორის, არიან ისეთი სუბიექტები, რომლებიც „რესპუბლიკური პარტიიდან“ თვალთმაქცურად გავიდნენ, დაიკავეს „ქართული ოცნების“ კვოტა და ისე აღმოჩნდნენ პარლამენტში. თუ კარგად ჩავუღრმავდებით, მათ ვინაობებს აუცილებლად ამოვიკითხავთ. დღეს „რესპუბლიკური პარტია“ ცდილობს დრო არ დაკარგოს და კიდევ დაიმატოს დეპუტატები, რათა შემდგომში, როდესაც ეკლექტური გაერთიანება „ქართული ოცნების“ სახელწოდებით, დამოუკიდებელ სუბიექტებად დაიშლება და გაიშლება, მათ თავიანთი ძალა გააჩნდეთ. ვერანაირ განსხვავებას „ნაცებისა“და „რესპუბლიკელების“ პოლიტიკურ მიზნებს შორის ვერ ვხედავ. ამის ლაკმუსია რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირების ინიცირება და ისიც ახალქალაქის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ მხრიდან.

— რაც შეეხება ივანიშვილის ინიციატივას მესამე ოპოზიციური ძალის მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. რას ნიშნავს კონკრეტული პირების ასე ღიად დასახელება?

— ამ განცხადებაში ნიშანდობლივია ერთი რამ — აქცენტი ქალბატონებზე გაკეთდა. როგორც ჩანს, ეს ერთი მხრივ, გენდერული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს განცხადება ოპოზიციის მიმართ კორექტული არაა. ის, რომ პრინციპულად არ არის მოხსენიებული კახა კუკავა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის ლიდერი, რომელსაც განსაკუთრებული, სპეციფიკური იდეოლოგიური ხედვა აქვს — ეს გვაფიქრებინებს, რომ სწორედ „თავისუფალი საქართველო“ უქმნის „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ დისკომფორტს.

ჩვენ ვატყობთ, რომ „ნაციონალებთან“ „ქართულ ოცნებას“ ბევრ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული სიამ-ტკბილობა ჩამოუყალიბდა. ჩემი აზრით, ეს სიამ-ტკბილობა, კოაბიტაცია იძულებითი პროცესია, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ძველი ხელისუფლება ახალი ხელისუფლების ლიდერებს მიმართ მნიშვნელოვან მაკომპრომეტირებელ მასალას ფლობს და ძალიან ოსტატურად მანიპულირებს. გახსოვთ, ალბათ ღარიბაშვილის განცხადება, თუ როგორ დახვდა მას შსს-ში მთელი საცავი დაუჯერებელი და ენით აუწერელი ვიდეო ინფორმაციის. ივანიშვილმა, რომელსაც ფაქტების გაშუქება, გულწრფელობის ძალიან მაღალი ხარისხით ახასიათებს პირდაპირ განაცხადა, რომ „ნაც. მოძრაობის“ ლიდერებს „ქართული ოცნების“ ლიდერების წინააღმდეგ ფილმები გადაულიათ და რომ დღეს ბევრი ქმარი საკუთარი ცოლის მიმართ თავს უხერხულად გრძნობს. ამას რა შეფასება უნდა მიეცეს? — ეს ყველაფერი იმდენად დიდი მასშტაბითაა მოცემული, რომ დღეს სააშკარაოზე რომ გამოვიდეს, შესაძლოა ხელისუფლება ჩამოიშალოს. წარმოიდგინეთ, კონკრეტული პირების მიმართ, ყველაზე ბინძური, ამაზრზენი, ამორალური მტკიცებულების წინაშე რომ დაგვაყენოს ინკოგნიტო ადამიანმა, რომლებიც დღეს ჩვენგან დელეგირებული უფლებამოსილებით არიან ძალაუფლებაში, რა მოხდება? — 5 წუთში ეს ადამიანი უნდა გადადგეს, რაც ხელისუფლებაში კოლაფსს გამოიწვევს. არის ეს ვაჭრობის საგანი? — რა თქმა უნდა, კი. როგორ უნდა ამოიღოს უკან ძველი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ 9 წლის მანძილზე 12-15 მილიარდამდე საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი? — ანუ მე და თქვენი, როგორც ბიუჯეტში გადასახადების შემტანი ადამიანებისგან უნდა ამოიღოს და ასე დააბრუნოს თანხები?! თუ სწორი, სამართლიანი და რაციონალური გზით ყველა ეს პირი პასუხისგებაში უნდა მივცეთ, ვისაც ელიტური კორუფციიდან დაწყებული ორგანიზებული დანაშაულით დამთავრებული მონაწილეობა აქვს მიღებული. მათი დაყადაღებული ქონებიდან, ბიზნესიდან, ანგარიშებიდან ხაზინაში ფულის მობილიზაცია მოხდეს და შემდეგ გადანაწილდეს დაზარალებულ პირებზე. ეს ხომ ძალიან ლოგიკურია, მაგრამ მივდივრთ ამ გზით?! — არა. ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ დავით კეზერაშვილის ბიზნესსაც მოეძებნა ჩამნაცვლებელი და ისიც ზუსტად იგივე ოფისიდან — Pixel-დან მანიპულირებს და მართავს ბიზნესენებს, საიდანაც კეზერაშვილი მართავდა — ესეც დამთხვევაა?! ანუ ვხედავთ, რომ ის, რაც არ იყიდება ფულზე, იყიდება კიდევ უფრო დიდ ფულზე. ესეც ვაჭრობის საგანი შეიძლება იყოს ანუ ერთი მხრივ, კომპრომატი, რომელიც პროცესს მართავს და მეორე მხრივ — ძალიან დიდი ფული, რომელიც ასევე ვაჭრობის საგანია. სხვა არაფერი არ დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ასე ვიფიქროთ. იმიტომ, რომ ძალიან კარგად მახსოვს დღევანდელი სამართლიანობის მინისტრი პირდაპირ აცხადებდა — უმთავრესი პრინციპი სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენაა. გასულია ექვსი თვე. ვის ვაბრალებთ, რომ სამართალი ვერ აღვადგინეთ?! რა თქმა უნ-

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

და, ხელისუფლებას აქვს არგუმენტი – ვაბრალებთ სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც ჯერ ისევ მყარად დგას პრეზიდენტის ძალაუფლების ვერტიკალის ქვეშ და რაც არ უნდა საქმე შევიტანოთ, სასამართლოს იმედი არ გვაქვსო. ამ დროს რა განცხადებებს ვისმენთ მოსამართლეების მიმართებით? – თურმე ისინი ძველი რეჟიმის მსხვერპლნი არიან ე.ი. თან ვიცით, რომ მოსამართლეს დღეს შეუძლია თეთრზე თქვას შავიაო და თან ვაცხადებთ, რომ იგი მსხვერპლია. მაგრამ სანამ საქმე სასამართლომდე მივა, ძირითადი სამუშაო ხომ შენი ხელისუფლების პირობებშია გასაკეთებელი. რატომ არ აკეთებ? – სად არის პროკურატურაში აღძრული საქმეები, სად არის კონკრეტული ბრალდებები იმ არაადამიანობის მიმართ, რომელსაც ძველი ხელისუფლება სჩადიოდა?! რად უნდა 26 მაისის გამოძიებას საგანგებო თადარიგის დაჭერა?!

– ბატონო დიმა, აშშ-ში კონგრესის არჩევნების დროს ბალანსი რომ არ დარღვეულიყო ერთმა ფრთამ მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მისცა ხმა, რითაც ქვეყნის ინტერესი დაიცვა. ჩვენი ამომრჩეველი როდის მიეჩვევა ასეთ აზროვნებას?

– არ ვიცი ამ კითხვაზე „ქართული ოცნების“ ლიდერები რამდენად დადებით პასუხს გაგცემდათ, ვინაიდან ის კოაბიტაცია, რაც დღეს ხდება, ფარსია, მაგრამ არცერთი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. რეალურად ისინი სამართლებრივი დანის პირზე გადიან, როდესაც დასავლეთის წინაშე აღებულ ვალდებულებებს რეალურ პოლიტიკაში გამოსახავენ „ნაციონალებთან“ პირდაპირი ურთიერთთანამშრომლობის სახით, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების მოთხოვნას არად აგდებენ, მაგრამ საკენკად უყრიან საზოგადოებას იმას, რომ ოქტომბრამდე მოთმინებით აღჭურვა გვჭირდებაო. ამ საკენკს საზოგადოება დიდხანს აღარ აკენკავს. დაპირებული საგამოძიებო კომისიები არ შექმნილა. დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას უნდა ემუშავა აგვისტოს ომზე, 7 ნოემბერზე, 26 მაისზე, გახმაურებულ გაუხსნელ მკვლელობებზე და ა.შ. ჩვენ ვხედავთ, რომ ამაზე უარი ითქვა. რა მოტივით? – თინა ხიდაშელმა, რომელიც ამ კომისიას უნდა ჩადგომოდა სათავეში, განაცხადა, რომ ამ საქმეს პროკურატურა შესანიშნავად აუდის და საგამოძიებო კომისიის შექმნა საჭირო არაა.

– წელან კორძაია ახსენეთ, რომელიც „რესპუბლიკელების“ კანდიდატია კახა კუკავას წინააღმდეგ. ის, ხომ „რესპუბლიკელია“ და არა „ქართული ოცნების“ კანდიდატი. გამოდის, რომ ჩვენ ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკელების“ ოცნება აგვიხდენია და არა ქართველი ხალხის?

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ვისურვებდი, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისთვის ეზრუნოს, რათა ერთი მხრივ, წყალს გააყოლოს პარლამენტში უკანონოდ შესული ათეულობით „ნაციონალი“ და მეორე მხრივ, წყალს გააყოლოს „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც „ნაცების“ იდეოლოგიური მონათესავე და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური ძალაა თავის დესტრუქციული მიზნებიანად. ვფიქრობ, კახა კუკავას პარლამენტში ყოფნა პოლიტიკურ პროცესს მნიშვნელოვნად გააცოცხლებდა და „ქართული ოცნების“ ლიდერშიფს მანიპულირების შესაძლებლობას არ დაუტოვებდა, რომ ეს პოლიტიკური ალერსი დროულად იქნას მხილებული, შეწყვეტილი და ფარსში მონაწილეობის მსურველი არცერთი ლიდერი აღარ დარჩეს პარლამენტში. ამ საქმეს კახა კუკავაზე უკეთ ვერავინ გააკეთებს. ინტენსიურ საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებთ და საზოგადოებას თამარ კორძაიას მართ ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. მისი არაკეთილგონიერება მოდის სწორედ იმ დაკვეთებიდან გამომდინარე, რომლის აღსრულებაშიც იგი ხედავს არა ქვეყნის ინტერესების განხორციელების ვალდებულებას, არამედ იმ გრანტის გამართლებას, რომელიც კონკრეტული უცხო სახელმწიფოთა მიზნების მომსახურებისთვის მას ეძლევა. მიმაჩნია, რომ თამარ კორძაია როგორც „საიას“ გამგეობის წევრი ვერ დაიმსახურებს ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის პატივისცემასა და ნდობას. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სწორედ არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატი უნდა შევიდეს პარლამენტში, მზად ვართ მიუკერძოებელი პრაიმერები ჩატარდეს, რომელიც ღირსეულს გამოკვეთს. ამ ინიციატივით მხოლოდ კუკავა გამოდის, ყველა დანარჩენი ღუმს. გარდა ამ დუმილისა ბევრი კანდიდატი კახასთან დებატებზე უარს აცხადებს, ანუ მათი რესურსი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ოპონენტის რესურსს. შეიძლება ყველასთვის ცნობილი არ იყოს ბოლო ფრაზები, რომელიც დავით ზურაბიშვილმა თქვა – თუკი ნაძალადევის ამომრჩეველი კახა კუკავას დაუჭერს მხარს, მაშინ იგი 19 აპრილის აქციას შეუერთდება, რომელსაც „ნაც. მოძრაობა“ გამართავს. თუმცა დასძენს, ვაცნობიერებ შუალედური არჩევნები 19 აპრილის მერეაო. ამით იგი გამოხატავს თავის განწყობას, დამოკიდებულებას. როცა ასეთი კონფრონტაციული გარემოს შექმნის მომსწრენი ვხდებით, რაც „რესპუბლიკელებიდან“ მოდის რა თქმა უნდა, უნდა დავფიქრდეთ რატომ ხდება ეს. იმიტომ ხომ არა, რომ „რესპუბლიკელების“ რეალური ანტიპოდი სწორედ კახა კუკავაა, რომლის იდეოლოგია „რესპუბლიკელების“ ინტერესებში არ შედის. ამიტომაა გააფთრებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ნაძალადევი მათ მხარს არ უჭერს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქართველობა გმირობაა... აჭარლობა ორგზის გმირობა!

გამოხმაურება ჩემს ძვირფას ძმებს — დავით თედორაძეს, შოთა ზოიძეს, ვახტანგ ღლონტს

ვნახე თქვენი წერილი, ღია ეთერშიც მოგისმინეთ.

ცუდ დღეში რომ ვართ, არახალია, თუმცა მტერი უფრო გრძნობს ამას, ვიდრე ჩვენ – ქართველობა!

ეს არის საწუხარი.

როგორც ქართული ენა და ანბანია უცხო გადამთიელისთვის, ისე ჩვენი ზნე-ჩვეულება, ისტორია და წარსული. ერის ისტორიით და წარსულით ისე ვერ დატკბება ტურისტი, როგორც „ქინძმარაულით“ ან ხინკლის წვენით... ჯვრის მონასტრის სივრცე და სილაღე რომ იგრძნო, შენც მაღალი უნდა იყო სულით, რა თქმა უნდა! სხვისი ისტორია რომ შეიგრძნო და ჩაწვდე, შენი უნდა იცოდე კარგად. თუმცა, მაშინ არც შენი სამშობლოდან წახვალ შორს; ვაშლის ხის ნაყოფისა არ იყოს, სადაც წყდება, იქვე ახლოს ვარდება...

ქართველიც იგივე ტალახისგანაა, როგორც ყველა. უცნობი ქართველის დანახვას საზღვარგარეთ, მტრის დანახვა გერჩიოსო, ერთმა წლობით ნახეტიალებმა ქართველმა მითხრა.

ვაი, რომ ასეა!

ჩემო ძვირფასებო, თქვენ იცით აფხაზურ ეთნოსთან ჩემი დამოკიდებულება და კავშირები.

ჩვენ ახლა მდინარე ენგური კი არა რუსის მავთულხლართი გვყოფს. ამას ის ჩემსავით გაუბედურებული აფხაზიც გრძნობს.

აფხაზეთი, როგორც ბევრ ქართველს ჰგონია, 1993 წლის 27 სექტემბერს კი არ დაცემულა, უფრო ადრე, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ – 30-40 წლის წინათ დავთმეთ და დავკარგეთ. ჩვენ რომ გვეგონა, შეხმატკბილებული სიმღერა, აღებმიცემობა, ქართული მარიფათი იყო მთავარი და ყველაფერს მოკვარახჭინებულად ვთვლიდით – სწორედ მაშინ დავკარგეთ სამშობლო! ის უცხო თესლი, ვითომ კაი კაცი ტურისტი – ბუნების მშვენიერებით რომ ტკბებოდა, კენჭებს რომ ითვლიდა ზღვაში და ჩვენც თვალებში შევციცინებდით, ვერაგი მტერი აღმოჩნდა.

ახლა მშობლიურ აფხაზეთში რუსის ჯარი დგას.

ჩვენდა სამწუხაროდ, თურქი რუსსა და სომეხზე უფრო ღონიერია აჭარაში.

ჩვენ ეს ისტორია გავიარეთ.

მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობა მწერლისთვის, უპირველესად, მშობლიური ენის, საკუთარი მიწა-წყლის, მისი სიწმინდეებისა თუ წარსულის დაცვა და პატრონობაა! სხვანაირი დამოუკიდებლობა არც მესმის და არც მინდა. თურქეთს არაფერს ვერჩი, მაგრამ ის ჩემს დამოუკიდებლობას ანუ ტერიტორიულ მთლიანობა ემუქრება – ოკუპანტია და დამპყრობელი! (კაცმა რომ თქვას, როდის არ იყო!) ასეთი ოკუპანტი ბევრი გვყავს მეზობლად თუ ოკეანის გაღმა ხეთის, აზერბაიჯანელების გარნიზონები ჯერ არ ჩამდგარან ჩვენში, მაგრამ უფრო გონივრულად, მოხერხებით რომ გვიპყრობენ და ისრუტავენ ჩვენს მიწა-წყალს, ხომ აშკარაა!

ჩემო ძვირფასო ძმებო და მოდარდენო, მე ის მაწუხებს, გულს ის მიკლავს, რომ არაფერი შემიძლია... მე ვინ ვარ, როცა მთელი ქართული მწერლობა ამ დღეშია. მწერლობაც თვლებს ისტორიასავით, თითქოს წარსულშია... კი ვხროტინებთ, კი ვიძახით, გამოდი, ლაზარე, გარეთო! ძილში ვბერდებით, ვკვდებით... აღარ ვიბადებით.

მიწისძვრის დანგრეულ ძეგლსა ჰგავს საქართველო, რაც ნაღდია, ცაშია ატანილი ან მიწის წიაღში ჩაკირული. რაც ჩანს, დამსხვრეული ბროლივით მიმოფანტული და ხელახლა ასხმა, შეკოწიწება ვერ ხერხდება. ცდაც არ არის. ადრე ქადილი მაინც ვიცოდით, მუხლიც გვიჭრიდა და ხმალიც.

კი, ბატონო, ჯერ კიდევ შემორჩენილან მოფიქრალი, მოდარდე, ამაყი ქართველობა, დღესაც რომ სჯერათ დროის უწყვეტობაში – წარსულში, აწმყოში და მომავალში ერთდროულად ვცხოვრობთ!

ეშმაკი იცინის... ეს ეშმაკები ისევ ჩვენი შვილები ან მათი ტოლები არიან. წარსულში ჩარჩენილებიო, წუხან, ველოდებით კიდეც. შეიძლება ასეც არის. მე ჩემს თავზე ვიტყვი, ამდენი უბედურების შემდეგ, საშველი რომ არ მიჩანს, ის მაქვს სანატრელი – ამ დღეს არ მოვესწრო!

რაც თავი მახსოვს, ასე ვიცოდი და ვამაყობდი – საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა იყო!

რომელ ქრისტიანს მოუბრუნდება ენა, ეს ასე არ არისო!

მაგრამ ხომ არიან ურწმუნონიც? იმ დროს ჩვენ თავად მოვესწარით, როცა ათეიზმი პროგრესული აზროვნება იყო. ასე რომ, ურწმუნოსაც ვერ აუკრძალავ სამშობლოს სიყვარულს. და ის კაცი, პირჯვარს სხვის დასანახავად რომ იწერს, რომ ხედავს, სხვა რეალობაა, თუ საფუძვლიანი კითხვა არა, ეჭვი უჩნდება – ღვთისმშობლის კი არა – რუსის, თურქის, სომეხის, აზერბაიჯანელის თუ ჩინელ-ინდოელის წილხვდომილი ყოფილა ეს ქვეყანაო!

როცა სამშობლო დედინაცვალი ხდება, ჩემი გერობაც უპრიანიაო, ფიქრობს, სამშობლოს დატაკებით იმუქრება. მისი მისახედი და საპატრონო როა, ამდენს არ ფიქრობს. მოყვარეში მტერს ხედავს, მტერში – პარტნიორს.

მოგეცა ლხენა, ეს ჩვენი ქართული მიწები – აჭარასა და გურიაში, სამეგრელოსა და კახეთში, ქართლში, იმერეთში, უპრაგუნოდ იყიდება, იმდენი უცხო და გარეგანი დაძრწის ჩვენს გარშემო, ისე ყიდულობენ – ყიდიან ჩვენს ტყეს, მინდორს, წყალს, მალე ფერდზე დაუნომრავი კუნელის ბუჩქი არ შეგვრჩება...

ჩვენი უფროსი მეგობრის და საყვარელი პოეტის ზაურ ბოლქვაძის სტრიქონები მახსენდება – ერთ დღეს რომ გავწყდეთ შენთვის, საფლავებად არ გვეყოფიო, სამშობლოს რომ ეუბნება... საფლავებად ვინ მოაცდენს ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწას... ისე გადაგვითხრიან საფლავებს (ბენდუქიძე რა შუაშია, მაგრამ გამახსენდება და ჩავსვი), წარბი არ შეუტოკდებათ.

ახიაო,

ვერ ვიტყვი.

სამასწლიან მეხტატეხას გაუძლო აჭარამ.

გავუძელით...

დღესაც რომ არ გავუძლოთ, ზურაბ გორგილაძეს. ჩვენს დიდ ძმას და პოეტს რა პასუხი გავცეთ იქ, მარადიულ საქართველოს!

ისევ ჩვენი პატრიარქის სიტყვებს ჩავეჭიდები.

„აჭარამ უნდა მოაქციოს მთლიანად საქართველო!“ – ბრძანებს იგი.

ამინ!

...

ქართველობა გმირობაა,
აჭარლობა ორგზის გმირობა!
გამაგრდით.

ზაურ კალანდია

რატომ ასაქმებდა „ნაცმოძრაობა“ ვეტერანთა დეპარტამენტში კრიმინალებს და საეჭვო წარსულის ადამიანებს?

გიგი კალანდაძეს ვეტერანის მოწმობა „ჩეჩენამ“ „გაუჩალიჩა“?

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ანუ როდესაც საქართველომ მიხეილ სააკაშვილის ტირანულ ხელისუფლებას უარი უთხრა და ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის ხელდასმული კოალიცია მოიყვანა. ნელ-ნელა, მაგრამ ხელოვნურად გასაიდუმლოებული დოკუმენტები ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი ხდება...

ამჯერად, მკითხველის ყურადღებას ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე შევაჩერებთ, საქმე იმაში გახლავთ, რომ როდესაც გენ. შტაბის უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე დააკავეს, თბილისში ათასი ჭირ-მართალი აგორდა და ითქვა ისიც, რომ – ბატონი გიგის დაკავება არა მხოლოდ ბაჩო ახალაიას შავ-ბნელ საქმეებთან იყო დაკავშირებული, არამედ თავდაცვის სამინისტროში არსებული მრავალი ფინანსური დარღვევების გამოც.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ახალაიას რამდენიმე დღეში გიგი კალანდაძეც მიაყოლეს, კუდში მაგრამ ჯერ კიდევ „ნაცებით“ დაკომპექტებულ თავდაცვის სამინისტროში, უცბად დაიწყეს მოქმედება, იმ პირებმა, რომლებიც მათთან მეტად დაახლოებულები იყვნენ და რომელთა წარსული არცთუ სახარბიელო ეპიზოდებით იყო დახუნძლული, როგორც დოკუმენტებით ირკვევა, თავდაცვის სამინისტროში ზოგიერთი მაღალჩინოსანი წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულებებისთვის მრავალწლიან პატიმრობაშიც ყოფილან მიცემულნი, მაგრამ სააკაშვილის და ახალაიას ხელისუფლებას ეს სრულებითაც არ უქმნიდა დისკომფორტს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მოსამსახურეთა „მაღალი ნაჩალნიკობის“, ნაწილი როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა და, როდესაც გენერალი კალანდაძე დააპატიმრეს, სწორეთ მათ დაიწყეს იმ საბუთების გაყალბებით გაცემა, რომელიც კალანდაძეს პატიმრობას ასე თუ ისე შეუმსუბუქებდა. კერძოდ, კალანდაძის ძველმა ე.წ. აღმზრდელმა, მეზობელმა და კარიერული წინსვლის ხელშემწყობმა იმჟამად კი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ავთანდილ ჩიხლაძემ (მეტსახელად „ჩეჩენა“) მის დაქვემდებარებაში მყოფი პირები აიძულა 2012 წლის 16-17 ოქტომბერს გიგი კალანდაძესა და კიდევ 18 პიროვნებაზე ვეტერანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შედგენილიყო და იმავე 17 ოქტომბერს, ეს პიროვნებები ელექტრონულ ბაზაში, როგორც ომის ვეტერანები ისე დაერეგისტრირებინა. საქმე იმაშია, რომ ამ პიროვნებებზე გენერალურ ინსპექციაში წარმოდგენილ ანკეტებს არ ახლდა საბრძოლო მოკვლევა, ვეტერანობის მაძიებელთა ანკეტები და ა.შ. მეტიც, გენ.ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევით, დასტურდება ისიც, რომ 19-კაციანი სია წარმოდგენილია მას შემდეგ, როცა მათი ელექტრონულ ბაზაში შეყვანა უკვე განხორციელებული იყო. გენ.ინსპექციის მოკვლევით გაირკვა ისიც, რომ ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ავთანდილ ჩიხლაძე („ჩეჩენა“) და აპარატის უფროსი მურთაზ გაბიტაშვილი, წარსულში მძიმე დანაშაულებებისათვის არაერთგზის არიან ნასამართლევი, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით ნასამართლობა გაქარწყლებული აქვთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი გენ.ინსპექცია ასკვნის, რომ 2012 წლის 22 ოქტომბერს, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა, კანონის უხეში დარღვევით გასცა ვეტერანის დამადასტურებელი 18 მოწმობა, რომელთა შორის გიგი კალანდაძის მოწმობაცაა.

„ნაც. მოძრაობის“ მხრიდან დღემდე ისმის საყვედურები იმის შესახებ, რომ მათი კადრები პოლიტიკური ნიშნის გამო არიან სამსახურებიდან დათხოვნილი, რომ მათი გენერლები „ვაჭაცობის“ ნამდვილი გამოვლინებანი და ზნეობის ეტალონები არიან, მაგრამ ისინი არასოდეს არ საუბრობდნენ იმაზე, რომ თუნდაც თავდაცვის სამინისტროსა და ვეტერანთა დეპარტამენტში კრიმინალებს ასაქმებდნენ, ათასობით ლარს დაუმსახურებლად აძლევდნენ და მეტიც, ახალი კრიმინალური დანაშაულისთვის ყველა პირობას უქმნიდნენ.

ის, რომ გიგი კალანდაძეს პატიმრობისას ვეტერანის საბუთი რამეში გამოადგებოდა – აბსურდია, რადგან ახალი კანონმდებლობით, სამართალში მიცემული ომის ვეტერანი ვერანაირი შეღავათით ვეღარ სარგებლობს, მაგრამ რაში დასჭირდა იგივე „ჩეჩენას“ კანონის გვერდის ავლით ამ საბუთის მოპოვება, სწორედ ამაზე გვესაუბრება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ახალი უფროსი **გელა დოლიძე**:

– ბატონო გელა, როგორც გენ. ინსპექციის მოკვლევამ დაადასტურა, გენერალ გიგი კალანდაძეს და კიდევ 18 პიროვნებას, ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობაც და სტატუსიც კანონის გვერდის ავლით განესაზღვრათ...

– დიახ, ასეა, მაგრამ აქვე განვმარტავ, რომ მოგვიანებით კალანდაძესაც და სხვებსაც გონივრულ ვადაში საბუთების სრული ნუსხის შეკრება დაევალათ და დღეის მდგომარეობით, მათ უკვე ვეტერანის ნამდვილი საბუთი უდევთ ჯიბეში. აქვე განგიმარტავთ, რომ პიროვნება, რომელმაც აღნიშნული უკანონობა ჩაიდინა, ანუ ავთანდილ ჩიხლაძე სამსახურიდან სწორედ ამ მიზეზით გაანთავისუფლეს, ხოლო სასტიკი საყვედური იმ ოთხ თანამშრომელს გამოუცხადეს, რომლებიც „ჩეჩენასთან“ ერთად ამგვარ უკანონობას წლების მანძილზე სჩადიოდნენ. მკაცრი საყვედური გამოუცხადეს გენერალ ჭოჭუასაც, რომელიც ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი იყო და რომელიც თურმე „აზრზე არ იყო“ რა ხდებოდა ამ დეპარტამენტში. სხვათა შორის, ავთანდილ ჩიხლაძე „ჩეჩენა“ არ მაგვარ, რომ გიგი კალანდაძის უახლოესი მეგობარია და დღესაც თვლის, რომ შარშან გიგისთვის მიცემული ვეტერანობა სწორედ მისი დამსახურებაა და სხვა არავისი.



– გიგი კალანდაძე იმ დროს დაპატიმრბული იყო და როგორ სთხოვდა „ჩეჩენას“ რამეს?

– არ ვიცი... ვერ ვიმკითხავებ, მაგრამ რა ფაქტებიც გენ.ინსპექციამ გამოავლინა მე მხოლოდ იმით ვოპერირებ. ამ დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ „ჩეჩენამ“ კანონი უხეშად დაარღვია, აიძულა თანამშრომლები უკანონოდ მოქცეულიყვნენ და ამ გზით მოიპოვა ის, რაც, მისი აზრით, პატიმარ კალანდაძეს აგრერიგად წაადგებოდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში მე ამ თანამდებობაზე არ ვმუშაობდი და რასაკვირველია, არც საქმის კურსში არ ვყოფილვარ. დღეს, როცა უკვე ჟურნალისტებსაც გეძლევათ საშუალება აბსოლუტურად საჯარო ინფორმაციის დოკუმენტურად მოპოვებისა, თავადაც რწმუნდებით, რომ თავდაცვის მაშინდელ უწყებაში არათუ მსგავსი უკანონობა, არამედ ისეთი კადრების ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნაც ხდებოდა, რომლებსაც 8 კლასის განათლება ჰქონდათ. მაგალითისთვის მოვიყვან „ჩეჩენას“ მარჯვენა ხელს, სამსახურის მთავარ სპეციალისტად დანიშნული გარიკ გასპარიანს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გენ. შტაბის მოკვლევის შემდეგ ასევე განთავისუფლდა დაკავებული სამსახურიდან!

– ბატონო გელა, რაში უნდა დასჭირვებოდა „ჩეჩენას“ მიერ „გაიმასქნებული“ ვეტერანის სტატუსი გიგი კალანდაძეს?

– ადრე ვეტერანები, რომლებიც დანაშაულს ჩაიდენდენ და პასუხისგებაში მიეცემოდნენ ხოლმე, ამ სტატუსის წყალობით გარკვეულ შეღავათებს ღებულობდნენ სასამართლოს ან გამოძიების მხრიდან, მაგრამ დღეს ეს კანონი გაუქმებულია და რაში გამოადგება ეს თუნდაც გიგი კალანდაძეს, ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა, ისევ განგიმარტავთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ბატონმა კალანდაძემაც და დანარჩენმა 18 ადამიანმაც, დოკუმენტური ლაფსუსები თავადვე აღმოფხვრეს, წარმოადგინეს სრული ნუსხა საეჭვოდებულო დოკუმენტაციისა და ამრიგად ისინი ომის ვეტერანის სტატუსს ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე ფლობენ.

ვიმეორებ, გენერალ გიგი კალანდაძეს 2012 წლის ოქტომბერში კანონის უგულვებელყოფით მინიჭა ვეტერანობის სტატუსი. მაგრამ უკვე დღეს იგი ამ სტატუსს კანონიერად ფლობს.

მაშ, ასე, როგორც გენ. ინსპექციის მოკვლევით დასტურდება, ომის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში არა მხოლოდ გიგი კალანდაძის, არამედ სხვა პიროვნებებისთვისაც გაუციათ ვეტერანის მოწმობები, მაგრამ საზოგადოებისთვის, ალბათ, ისიც საინტერესოა ახალგაზრდა გენერალი 8 აგვისტოს ომის დროს რა ვითარებაში დაიჭრა და რას ამბობენ ამ ფაქტის გამო უკვე დღეს თავდაცვის სამინისტროს ძველი თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ ვინაობას არც ამჯერად ამხელენ: „კალანდაძე ომში კი იყო ნამდვილად, მაგრამ ფეხში ტყვია რუსმა ჯარისკაცმა კი არა საკუთარმა მძღოლმა გაარტყა...“

– სპეციალურად თუ შემთხვევით?

– (იცინიან.) არა, გაუვარდა მძღოლს და ფეხში დაჭრა საკუთარი უფროსი. გაუფრთხილებლობით მოუვიდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცით და ასეა ცნობილი სამინისტროშიც!

– აბა, „ნაცმოძრაობის“ კიჟინა – კალანდაძე გმირულად იბრძოდა აგვისტოს ომში და სწორედ იქ დაიჭრაო?

– „ნაც.მოძრაობამ“ რა იცის მაშინ რა მოხდა? ეგენი სუყველა საზღვრებს იყვნენ მომსკდარი და ქვეყნიდან გარბოდნენ, რა აღარ გახსოვთ? ჯარი კი ყველასგან მიტოვებული უკან იხევდა.

– უნდა იყოს თუ არა აგვისტოს ომი გამოძიებული, თქვენ რას ფიქრობთ?

– აუცილებლად, აუცილებლად უნდა გამოიძიონ და გამოძიების შედეგები როგორი მწარეც არ უნდა იყოს, საზოგადოებას უნდა ემცნოს!

ჩვენ საზარბაზნე ხორცებად გვაქცია სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ზოგადად, „ნაც.მოძრაობამ“, ამიტომაც მათ პასუხი უნდა აგონ კანონის მთელი სიმკაცრით.

აი, ძვირფასო მკითხველო, რა მაქინაციებით იყო დაკავებული მაშინდელი ხელისუფლება, მათი ხელისბიჭები და ზოგადად ძალოვანი უწყებების „მაღალი გენერლობა“. დიახ, დროულად და ძალიან სწრაფად უნდა გახდეს საჯარო ის კანონდარღვევები, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩაიდინა და შემდეგ მათი „მოძღვრება“ უმანკოთა ჩაგვრის შესახებაც მხოლოდ სიტყვები იქნება და მეტი არაფერი.

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

ჩვენ ახლა მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ ვართ თუ არა სახელმწიფო?!

გვესაუბრება ფილოსოფოსი გოჩა მსხილაძე:

— გოჩა, კობიტაციის რეჟიმში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ჟლურტული კვლავ გრძელდება. არადა, ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. როგორ ფიქრობთ, რა მიზნებისთვის შემოგვთავაზა დასავლეთმა კობიტაცია?

— დავსვათ კითხვა — კობიტაცია, დასავლეთიდან შემოგდებულია თუ არა იმისათვის, რომ ამით მიზანმიმართულად დაეცეს ივანიშვილის რეიტინგი და კვლავ „ნაც. მოძრაობა“ აღზევდეს?! — ეს უფრო შეთქმულების თეორიას მაგონებს, რისგანაც ჩემი შინაგანი მენტალიტეტით ძალიან შორს ვარ. ძალიან მარტივი, პრაგმატული ინტერესებიდან გამოვალ, რაც საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავს, განაპირობებს. რა ფაქტორები განაპირობებს კობიტაციისკენ მოწოდებას? — პირველი — კობიტაციის პროცესში საკაშვილი ისეთ სისხლისმსმელად აღარ წარმოჩნდება, როგორიც რეალურადაა. იმიტომ, რომ სისხლისმსმელებთან კობიტაცია არ და ვერ ხდება. თუ ეს პრობლემა მოიხსნა, კობიტაციის პირობებში ევროპისთვის სიტყვის უკან წაღება, რის გამოც საკაშვილს წლების მანძილზე დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ, აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. დასავლეთმა იმდენი იძახა საკაშვილი დემოკრატიის შუქურააო, რომ ამის ერთადერთი გასამართლებელი საშუალება შემოგდებული კობიტაციაა.

— რადგან ახალი ხელისუფლებაც მათთან კობიტაციაშია, რა გამოდის დასავლეთთან ერთად 9-წლიანი რეჟიმის უდანაშაულობის „აღიარებას“ ცდილობს?

— თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი დამნაშავეები არიან, მაშინ დასავლეთის ცნობიერება შემდეგია — როგორ ჩვენ დამნაშავეებს დემოკრატიის შუქურად მივიჩნევდით?! ამით დასავლეთი უხერხულობაში ვარდება და ამის თავიდან ასაცილებლად კობიტაცია „შემოგვაწოდეს“.

— ახალი ხელისუფლება ვერ ხვდება კობიტაცია რატომ „შემოგვაწოდეს“?

— ივანიშვილი ძალიან ბევრ რამეს ხვდება. მოდით, ამ შემთხვევაში ბატონი ბიძინას მიხვედრა არმიხვედრის საკითხი გადავდოთ და პუნქტობრივად გავაგრძელოთ განხილვა, თუ რისთვის შემოგვიგდეს კობიტაცია. მეორე ფაქტორი რისთვისაც, ჩემი აზრით, დასავლეთის მხრიდან კობიტაციაა მოწოდებული, შემდეგია: დასავლური ცნობიერება ასე აზროვნებს — არჩევნები დემოკრატიის მთავარი გამოხატულებაა, ეს არჩევნები საკაშვილის მთავრობამ ჩაატარა, რამაც ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებას შეუწყო ხელი. ამ მომენტს დასავლეთი ითვალისწინებს და თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ეს საკაშვილის მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო. იმიტომ, რომ საზოგადოებამ მას მკაფიო უარი უთხრა. მიუხედავად ამისა, საკაშვილს არჩევნების გაყალბების ყველანაირი ბერკეტი ჰქონდა, დამერწმუნეთ თუ იგი არჩევნებს გააყალბებდა, დასავლეთი ამაზეც თვალს დახუჭავდა. იმიტომ, რომ დასავლლური ცნობიერება ესაა მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატიზმი, პრაგმატიზმი და კიდევ პრაგმატიზმი. მესამე ვარიანტი ქვეყნის ორიენტაციის საკითხს უკავშირდება — თუ ევროპა საქართველოზე უარს იტყვის, იგი ყველა ლოგიკით რუსულ ორბიტაზე ექცევა, რაც ევროპაში არავის სურს. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს დასავლეთსა და რუსეთს შორის დიდი სიამტკბილობაა, ეს მოჩვენებითია, მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშიანობაა და მეტი არაფერი. შიგნით — ევროპასა და რუსეთს შორის ძალიან დიდი იდეოლოგიური ბრძოლაა გაჩაღებული. ამის გარდა, უნდა დავაკვირდეთ ვინ საუბრობს ყველაზე ბევრს კობიტაციაზე ევროპაში? — ის საზოგადოება და ის პარლამენტარები, რომელთათვისაც რუსეთი ერთმნიშვნელოვნად მტერია. დიდი ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ კობიტაციისკენ მოგვიწოდებენ, მთავარი განმაპირობებელი შემდეგია: აქ დიდი ქვეყნების პოლიტიკისთვის ერთი მუდმივი სქემა მოქმედებს — ეს არის დიხოტონია — წინააღმდეგობა სამართლიანობასა და სტაბილურობას შორის. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ხშირად სამართლიანობაზე თვალი იხუჭება და წინ სტაბილურობა გამოდის. ზემოჩამოთვლილი პუნქტების გამო დასავლეთი თვლის, რომ თუ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის კობიტაცია არ შედგა, ეს სტაბილურობის პროცესს ხელს შეუშლის, რაც არავის სჭირდება. საერთოდ, დასავლური ცნობიერების ეს პარადიგმა — წინააღმდეგობა სამართლიანობასა და სტაბილურობას შორის, ძალიან ცუდ სამსახურს უწევდა ხოლმე დასავლეთს და მის იმიჯზე ცუდად მოქმედებდა.

— რატომ არ მოუწოდებდნენ კობიტაციისკენ საკაშვილის რეჟიმს, როცა მან ამდენი უბედურება დაატრიალა?

— ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ დასავლური და არა ჩვენი ცნობიერების ლოგიკა. დასავლური ლოგიკა შემდეგია: საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიაა, რომელიც მტკივნეულად ყალიბდება და ამ პროცესში თვალი უნდა დავხუჭოთ. მეორე — საქართველო, მიუხედავად შიგნით არსებული პრობლემებისა, დასავლურ ინტერესებს ატარებდა — ესაა თუნდაც ჩვენი მონაწილეობა ავღანეთის მისიაში, ენერგოდერეფანის არსებობა და ა.შ. იმისთვის რომ ეს განხორციელდეს, ამას იდეოლოგიური საყრდენი სჭირდება. იდეოლოგია, კი, როგორც წესი, პოლიტიკურ ინტერესს ეწირება. აქვე იკვეთება კიდევ ერთი საკითხი, — სანამ საქართველო დასავლური ორიენტაციის მატარებელი ქვეყანა იქნება, დასავლეთი ყოველთვის დახუჭავს თვალებს იმაზე, რაც ქვეყნის შიგნით ხდება. ამ პროცესს ახლაც თვალნათლივ ვხედავთ. ბევრი რამ ყურადღების მიღმა რჩება.

ახალი ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით დამაჯერებლობა აკლია. ავიღოთ, თუნდაც ბაჩო ახალაიას მაგალითი, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე, როგორც წვრილი ხულიგანი, სიყაჩაღის ელემენტებში გადასული, ისეა წარმოჩენილი, მაგრამ არა როგორც სისხლისმსმელი.

— ეს რისი ბრალია — კობიტაციის?

— ამას ჩვენი სამართალდამცავების არაპროფესიონალიზმს და იმას ვაბრალებ, რომ მათ არ ჰყოფნით სათანადო მასალები. კობიტაციის მოთხოვნა ვერ შეუშლიდა ხელს ამ მასალების წარმოდგენას. ამ გზაზე ყველაზე საინტერესოდ მესახება თუ როგორ წარიმართება 2008 წლის ომის გამოძიება. ეს უფუნდამენტალურესი საკითხი. ეს გამოძიება პასუხს გასცემს შეკითხვაზე — პროცესი, რომელიც კობიტაციის არსებობის აუცილებლობას გულისხმობს, რამდენად შესაძლებელი იქნება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. რამდენად სწორად იქნება გამოძიებული ეს თემა. აქედან გამომდინარე გამოჩნდება, შევდექით თუ არა როგორც სახელმწიფო. იმიტომ, რომ ისტორიას სწორი დასკვნები თუ არ დაუდე, როგორც მარქსი ამბობდა ის, როგორც ფარსი ისე განმეორდება. თუ ისტორია ვერაფერს გვასწავლის, მთლად უარესი ჩვენთვის. მეორე და მთავარი, ჩვენ, მიუხედავად კობიტაციისა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ — დასავლეთო კი, ჩვენ შენზე მობმული ვართ, სისხლხორცეულად გვჭირდები, მაგრამ ჩვენ ვართ სახელმწიფო და ისტორიის, პირუთვნელობის, სამართლიანობის წინაშე მართლები უნდა ვიყოთ. ყველაფერს თავის სახელი უნდა დავარქვათ. თუ ჩვენ ამაზეც უკან დავიხიეთ, მაშინ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ჩვენი ადგილი არ ყოფილა. ეს მთავარი, პრინციპული საკითხია.

— წელან ახსენეთ ძველ ხელისუფლებასთან კობიტაციით, მას სისხლიანი რეჟიმის სტატუსი ეხსნებაო. ანუ რა გამოდის, რომ კობიტაციის რეჟიმში მკვლელები, დამნაშავენი გაქრნენ და მათთან ისე ვთანამშრომლობთ, როგორც უცოდველ კრავებთან?

— თუ საკაშვილის სისხლისმსმელობა დადასტურდა, მაშინ იგი ევროპის წინაშე წარმოჩინდება, არა როგორც დემოკრატიის შუქურა, არამედ მკვლელი. რა გამოდის, რომ მკვლელს ვეძახით დემოკრატიის შუქურას?

— ანუ ევროპას უხერხულობა

— მაგრამ ჩვენ საკუთრი ინტერესები როდისღა უნდა დავიცვათ? ჩვენ რატომ არ გვეუხერხულება მკვლელებთან კობიტაცია?

— სწორედ ამას ვამბობ, ისმის მთავარი კითხვა — ვართ თუ არა ჩვენ სახელმწიფო? გასათვალისწინებელია ჩვენი მენტალიტეტიც, ცნობიერების დონე. ვინ არის ქართველი? — იგი თავისი შინაგანი არსით უსამართლობას ვერ იტანს. ამიტომ თუ ეს შინაგანი ქართული იმპულსი დაკმაყოფილებული არ იქნა, ივანიშვილის რეიტინგი დაბლა დაიწევს. ამ პროცესს ჩვენ უკვე ვაწყდებით.

რეიტინგი იწევს იმიტომაც, რომ სულ სხვაა იყო ოპოზიციაში, სულ სხვაა იყო ქველმოქმედი და სულ სხვაა იყო ხელისუფლებაში. ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, ახალ ხელისუფლებას რეიტინგის პრობლემა ყოველთვის უდგება. იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა იმას, რის გამოც ძველმა ხელისუფლებამ უკვე 2008 წელს ჩაილურის წყალი დალია. ეს იყო სრულიად ტყუილზე აგებული ხელისუფლება. მეორე — სოციალური ფაქტორი — მან ვერა და ვერ მოახერხა სოციალური ფონის გაუმჯობესება. ციხეში წამების არნახული ფაქტები ხდებოდა, ჩვენ კი გვეუბნებოდნენ არაფერი ხდებაო, ქუჩებში ახალგაზრდებს კლავდნენ და თურმე არ კლავდნენ. ამაში მთელი სახელმწიფო აპარატი იყო ჩართული იმიტომ, რომ მელნიკოვები და მისთანები გაპრავებინათ. როდესაც საზოგადოება ხედავს, რომ მისი მოთხოვნები კობიტაციის გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება, ეს ივანიშვილის რეიტინგის დაბლა დაწევას იწვევს.

— მაგრამ პრობლემის ამდენ ხანს გადაუჭრელობა, მკვლელებთან კობიტაცია ხომ არ გახდება ხალხში დასკვნის გაკეთების საბაბი — რომ ადგილი აქვს გარიგებას. საზოგადოების დაეჭვება შეგნებულად ხომ არ ხდება ივანიშვილის დასასუსტებლად და ხალხის მის წინააღმდეგ მოსამართად?

— აქ საკითხი ორად შეიძლება გაიყოს — ეს შემოგდებულია სპეციალურად ივანიშვილის რეიტინგის დასაწევად ან იმისთვის, რომ სამართლიანობა თუ არ აღდგა, ეს დაწევს ივანიშვილის რეიტინგს. დიახაც, ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენა თუ ვერ მოახერხა, ეს მის რეიტინგს დასწევს. ივანიშვილის გუნდმა ერთი არსებითი მომენტი უნდა გაიგოს — ქართული საზოგადოების მოთხოვნა ფუნდამენტური და არსებითია. მეორეც ეს სახელმწიფოს რაობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი კობიტაციას გვთავაზობს, ჩვენ სახელმწიფო ვართ და შედეგად სამართალმა პური უნდა ჭამოს.

— რომ არა კობიტაცია რა იქნებოდა?

— ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ სახელმწიფოში რომ ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი გვქონდეს. დასავლეთის აზრის გაუთვალისწინებლად ამას ვერ გავაკეთებთ. დასავლეთს თუ მყარ ფაქტებს დავუდებთ, იგი ვერ მოგვთხოვს სისხლის სამართლის დამნაშავეებს აპატიეო. ამიტომ ვამბობ ჩვენ ახლა ძლიერი, მყარი ფაქტები გვჭირდება და მერე სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთად გადავწყვიტოთ რა ეპატიოთ და რა არა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ხათუნა კალმახელიძეს ციხეში სექს-რუმი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ დასცალდა...

ამბობენ, რომ სწორედ ხათუნა კალმახელიძე იყო ის „ნინძა“ რომელიც ქსნის ზონაში პატიმრებს სცემდა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია, პროფესიით იურისტი, თადარიგის პოლკოვნიკი, „სახალხო კრების“ წევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი ბატონი გია სალუქვაძე.

– 26 მაისის მოვლენების გამო დამაკავეს. რაიონის პროკურორი გახლდათ ცაცუა კოტე, ის პროკურორი, რომელმაც ათობით საქმე შეკერა, სახელმწიფო ბრალდებას უჭერდა მხარს და პოლიტპატიმრებად გვაქცია ჩვენ, ზედამხედველია 26 მაისის საქმეების გამოძიებაზე.

– ბევრი საშინელების შემსწრე იქნებით...

– ჩემი თვალით მყავს ნანახი როგორ კლავდნენ და როგორ გაჰქონდათ შემდეგ ცხედრები, რას უშვებოდნენ... ე.წ „შავი ხვრელი“ იყო... ჩემი მეგობარი მიყვებოდა ამასწინათ, რა იყო „შავი ხვრელი“ ვერაფრით გავიგეო – ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანი რომ შეყავდათ, ცოცხალი აღარ გამოდიოდა. მე პირადად

ვადასტურებ იმას, რომ თითქმის ყოველდღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც, საკაცით გაჰყავდათ სახეზე გადაფარებული პატიმრები, ე.ი მკვდარია უკვე ადამიანი და ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი... ჩემი თვალით მაქვს ნანახი როგორ გადაამტვრია ფაცაციამ ხერხემალში ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც შეგინებაზე სიტყვა შეუბრუნა... საკაშვილმა შექმნა სიკვდილის მანქანა, სადაც არანაირად არ დაგიღევდნენ ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევას, მითუმეტეს, თუ ოდნავ მაინც პოლიტიკურად მოტივირებული იყო. მოგეხსენებათ, ნარკომანებისთვის „მეტადონის პროგრამა“ იყო – ფაცაცია შედიოდა მე-2 კორპუსში, მიიღებდა მეტადონს და დადიოდა შუშის თვალებით. ის იმ დროს შეურაცხადი იყო. ადამიანს რომ ურტყავ, შენც გტკივა, ამ საქონელს ტკივილის შეგრძნება ეკარგებოდა – ცემაცაა და ცემაც, შეუძლებელია უდანაშაულო სამ ადამიანს ისე ურტყა გამეტებით ნახევარი საათი, რომ სიცოცხლე წაართვა... ასეა მათი ბელადიც, საკაშვილი, დაყნოსავს კოკაინს და რას აკეთებს, არ იცის...

გლდანის ციხეში ვიყავი იმ დროს, როდესაც ყველაზე რთული პერიოდი იყო, ფაცაციას, მუხაძის და მელაძის დრო. მაშინ, როდესაც არაფრის გულისთვის შეეძლოთ პატიმარი ხერხემალში გადაეტეხათ და ასეც იქცეოდნენ. შემდეგ გადამიყვანეს ე.წ „მატროსოვზე“ სადაც 450 პატიმარზე 7 საპირფარეშო იყო, სადაც 190-კაციან სასადილოში 1200 კაცს უნდა გვეჭამა...

გლდანის ციხეში უცხოელი სტუმრები რომ მიჰყავდათ და ათვალიერებინებდნენ გარედან, პატიმრებს ფანჯარასთან მისვლის უფლება არ გვქონდა, ქვევიდან კარგად ჩანდა და თუ ვინმე მაინც გაბედავდა, სტუმრების წასვლის შემდეგ სიკვდილის პირას მიჰყავდათ. მე, პირადად, ერთი წლის განმავლობაში 87 დღე კარცერში გამატარებინეს, 21 დღე „ფუქსში“ – ეს არის ოთახი ბეტონის იატაკით, 70 სმ სიგანის და 1,5 მეტრის სიგრძის, სადაც არც ონკანია, არც საპირფარეშო და სამი კაცი ვიყავით იქ. მხოლოდ ღამის 11 საათზე გავყავდით, რის გამოც არაფერს ვჭამდით გარდა მცირეოდენი პურის ქერქისა და წყლისა. „ფუქსიდან“ კარგად ჩანდა ე.წ „კარანტინის დაშლის სცენები“. ყოველ პარასკევს მოდიოდა ეგზალტირებული კაცთმოძულეების ხროვა და ჯოხებით და წიხლებით ატარებდნენ „სპექტაკლს“, რასაც საკმაოდ ხშირად ესწრებოდა ხათუნა კალმახელიძე და უდიდეს სიამოვნებას იღებდა ქალბატონი... რა თქმა უნდა, „კარანტინი“ არ ეხებოდა „ნაცმოძრაობის“ წევრების ახლობლებს, ციხეში შემოსვლიდან 10 წუთში უკვე ციხისთვის მაქსიმალურად საუკეთესო პირობებში იყვნენ. ამავდროულად, იყვნენ პატიმრები, რომლებიც კარანტინში ყოფნის განსაზღვრული ვადით (ორი კვირა) კი არა, თვეობით ჰყავდათ გაუსაძლის პირობებში. წარმოიდგინეთ 6 ან 8-კაციანი კარანტინის საკანი სადაც 30-40 კაცი საქონელივით ფეხზე დგას...

– ე.ი თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენი თვალით გყავთ ნანახი კალმახელიძე ასეთ სიტუაციაში?

– დიახ და ამის შესახებ ჩვენება პროკურატურას უკვე მივეცი. ყაჭეიშვილი, მკურნალიძე, ფაცაცია... სისტემა იყო ასეთი, იცით, რას აკეთებდნენ? – მე, მინისტრის მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარე ამას, ყველაფერს ვაკეთებ და შენ ჩემთან ერთად თუ ხარ, გაძლევ ერთგვარ ინდულგენციას, რომ ამის გამო არასდროს არ მოგთხოვ პასუხს – გამიგეთ?

ის კადრები ისეთ დროს არის გადაღებული, როცა დიდი „სადამსჯელო საქმიანობა“ საკუთარი ხალხის მიმართ გადავლილია, უკვე ივანიშვილიც გამოჩენილია ასე თუ ისე, თორემ როცა მე დამიჭირეს, 2011 წლის 31 მაისს, სამი კვირის განმავლობაში ჩემი თვალით ვხედავდი როგორ უმტვრევდნენ ადამიანებს ძვლებს, როგორ ხოცავდნენ...

პატიმარი როცა მოყავთ, აშიშვლებენ და ექიმი ამოწმებს დაზიანებები ხომ არ აქვს სხეულზე და აკრძალული ნივთი რომ არ შეიტანოს. ერთ პიროვნებას პირის გაღება უბრძანეს და როცა პირი გააღო, პირდაპირ გაღებულ პირში ჩააფურთხეს. პატიმარს რეაქცია რომ ჰქონდა და ხელი მოუქნია, მარჯვენა მოტეხეს, გადაუმტვრიეს ხელი, ძვალი იყო ამოჩრილი – ეს იყო 2011 წლის 3 ივნისი და ამაზეც მივეცი ჩვენება პროკურატურაში. საკანზე ყური ჰქონდათ მიდებული და ოდნავ ლაპარაკზე უდიდესი სიამოვნებით აყენებდნენ შეურაცხყოფას, პოლიეთილენის წყლიანი ბოთლებით სცემდნენ და უმტვრევდნენ ძვლებს, კარცერში ამწყვდევდნენ, კლავდნენ პატიმრებს... მე შემსწრე ვარ, როგორც ხოცავდა ფაცაცია და მისი ხროვა პატიმრებს, რას უშვებოდნენ, ამის შესახებ მივეცი უკვე ჩვენება და მიმდინარეობს გამოძიება, თორემ დაგისახელებდით ყველას ვინაობას.

უარესიც ხდებოდა და უნდა მომხდარიყო, ეს ყველაფერი იყო სააკაშვილის ხელდასხმით, იმიტომ, რომ კალმახელიძეს სექს-რუმები უნდა გაეკეთებინა, მაგრამ აღარ დასცალდათ...

– რის საფუძველზე ამბობთ ამას?

– პატიმრები ძალიან კარგად ვიყავით ინფორმირებული ყველაფერზე – ეს ძალიან სენსიტიური თემაა. პატიმარს გამახვილებული აქვს ყველა გრძნობა. მაგალითად, კალმახელიძე სტუმრებთან ერთად რომ უნდა მოსულიყო, ან სხვა მაღალი რანგის სტუმარი, მაშინვე ვიგებდით – მოგეხსენებათ, კარანტინში არაფერია და ციხის მომსახურე პერსონალი ურიკით დაათრევდა ლეიბებს და სხვა საჭირო ნივთებს. გაცილდებოდა სტუმარი ციხის კედლებს და ისევ ალაგდებოდა.

რაც შეეხება სექს-რუმებს, არაერთგზის გვქონდა გაგონილი ამის შესახებ, რადგან მშენებლობისა და გადაკეთება-გადმოკეთების პროცესი მიმდინარეობდა უკანა მხარეს. (სხვათაშორის, ვნახე პროექტი და თქვენც შეგიძლიათ მოიძიოთ). შემდეგ უკვე სუბარმაც დაადასტურა ის, რომ მისი კაბინეტის უკან იყო მოსასვენებელი, მისაღები, საძინებელი, აბსოლუტური კომფორტი და ყველაფერი წითელ ფერებში შესრულებული, ე.წ სექს-რუმი.

ვინმეს წარმოუდგენია, რომ სასჯელაღსრულების მინისტრმა არ იცოდეს რა ხდება მის დაქვემდებარებულ უწყებაში? – ეს ქალბატონი, ჩვენ ხომ ვიცით რას წარმოადგენდა და როგორი პიროვნება იყო. ის ისეთივე გადაგვარებული ფსიქიკის ადამიანია, როგორც ახალაია და სააკაშვილის მთელი ხროვა, ქალი ტკბობას განიცდიდა იმ საშინელებებით...

ყველაფერს აკეთებდნენ ისეთი „პალაჟენიისთვის“, რომ ადვოკატი როცა მივიდოდა პატიმართან, პირველივე შეხვედრაზე ყველაფერზე ხელისმომწერი ყოფილიყო, ოღონდ იმ ჯოჯოხეთიდან გაეღწია...

– პატიმრებისგან დადასტურებულად ვიცი, რომ ქსნის ზონაში იყო ვინმე, მეტსახელად „ნინძა“, რომელიც ნინძას ფორმას იცვამდა და ტუბერკულოზიან პატიმარ ავადმყოფებს მანამდე სცემდა, სანამ სისხლს არ ამოანთხევინებდა. გარდა ამისა, მართალია, წოდებით მაიორმა მითხრა, მაგრამ ვინაიდან გადამოწმება შეუძლებელია, ჭორად ვთვლი, თუმცა, მაინტერესებს, პატიმრებს თუ გსმენიათ, რომ კალმახელიძე საბრძოლო ორთაბროლების ოსტატია და „ნინძას“ მსგავსად ნიღბით სცემდა ჯანშერჩენილ პატიმრებს?

– ათასნაირი რამ მსმენია, მათ შორის ესეც, მაგრამ რაც საკუთარი თვალით არ მინახავს, ვერ დავადასტურებ. პატიმრების ცემა ერთ-ერთი სეგმენტია იმ დანაშაულებებში, რომელსაც ხელისუფლება სჩადიოდა. ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი ადამიანი დარჩა სახლკარის გარეშე, რამდენი გააქციეს ქვეყნიდან ამ გარეწრებმა, რომლებიც ახლა, თითქოსდა პოლიტიკური მოტივით ხალხის სამსახურებიდან განთავისუფლებაზე გვესაუბრებიან, ის ნადირაშვილი ირმა, ვითომ ჟურნალისტკა რომ გამოვარდება ხოლმე. ეს სისხლისმსმელი გიგი უგულავა, თავისი ოფისები და საქალაქო სამსახურები ზონდერბრიგადების თავშესაფრად რომ აქცია, ეს რა არის?

ესენი არიან სულით ავადმყოფები, აბსოლუტურად ყველას გადახრა აქვს...

ნუთუ ასე ძნელად დასანახია ეს ყველაფერი, (კიდევ ბევრი რამ) არ ჩანს საფუძველი, რის გამოც „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას აეკრძალოს არსებობა?

იცით, რა, საქართველოს მოსახლეობას ივანიშვილის გუნდი იმისთვის არ მოუყვანია ხელისუფლებაში, რომ შემდეგ ბედნიერ თანაცხოვრებაში ყოფილიყვნენ დამნაშავე ხელისუფლებასთან!

სააკაშვილი და მისი სისტემის ყველა შემოქმედ-აღმასრულებელი თანამდებობებზე კი არა, გალიაში უნდა იყვნენ საიმედოდ გამოკეტილები, მაგრამ მოიგონეს კოჰაბიტაცია და სამართლიანობის ნაწილობრივი აღდგენა – ეს შეუძლებელია!

როდესაც საუბრის დასაწყისში ვთქვი, რომ არ ვედავები ჩემს საქმეში ცრუ ჩვენებების მიმცემებს, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ ვპატიობ...

ქართველი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი სააკაშვილი თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით და ივანიშვილი თავისი დანაპირებით! დასავლეთი რას იტყვის კი არა, ქართული საქმე უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ და ძველმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ქართული საქმის დაზიანებისთვის!

თამარ მშავია

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

აშშ-ს სურს საქართველო ცირკად აქციოს, სადაც მგელი და ცხვარი ერთად მოძოვენ...

გვესაუბრება პოლიტოლოგი
ჰამლეტ ჟიპაშვილი

— ბატონო ჰამლეტ, მიხეილ საკაშვილს თურქეთში ტრაილერი რომ დაეჯახა, ხომ არ იცით, რა მოხდა, რა მიზნით იყო წასული თურქეთში?

— არაერთი სტატია მაქვს დაწერილი, მრავალჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: საზღვარგარეთ მაღალი პოლიტიკური ფიგურების მოგზაურობები ძალიან ძვირი ჯდება, როდესაც ქვეყანაში ბავშვები შიმშილით კვდებიან, უცხოეთში კი ყოვლად უმიზნო ვიზიტებით მხოლოდ საკაშვილი კი არა, დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლებიც დადიან, ეს დანაშაულია.

რომელ ქვეყანაში და სად ხდება ეს — პრეზიდენტი დროის სატარებლად და ველოსიპედზე საკატაოდ დადიოდეს უცხო ქვეყანაში?! ვისი ფულით დადის, გაგვარკვიოს ერთი.

ანდა ქალბატონი ფანჯიკიძე ბრაზილიაში რომ ბრძანდებოდა, რა პოლიტიკური ინტერესი არსებობს ბრაზილიაში, ეს, მე, უბრალოდ, არ მესმის. არადა, მაგალითად, ბრაზილიაში წასვლა-წამოსვლა ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარია. ვინ მისცა მას ამის უფლება? ეს პარლამენტი რომ არის პირში წყალჩაგუბებული, რატომ არ ითხოვს ამ ვიზიტების ანგარიშს? მაგრამ თვითონაც დროს ატარებენ, თვითონაც დახეტიალებენ უცხოეთში და სხვას რა უნდა მოსთხოვონ?!

სხვათა შორის, პარლამენტი არც იმის ანგარიშს ითხოვს, რა უნდოდა პრეზიდენტს თურქეთში.

გათენდება დილა, გავიგებთ, რომ პრეზიდენტი წასულა დუბაიში, მერე აცხადებენ, რომ არის ანტალიაში. სად დადის, ხალხმა წინასწარ უნდა იცოდეს, სად მიდის პრეზიდენტი და რა მიზნით. რასაც საკაშვილი აკეთებს, ეს არის, ელემენტარულად, ქვეყნის ფეხებზე დაკიდება. ბოლოს და ბოლოს იმპერატორი ხომ არ არის, პრეზიდენტია და ვალდებულია ანგარიში გაუწიოს სახელმწიფოს თითოეულ კაპიკს.

ახლა ზოგი ამბობს, არავითარი მხარი არ მოუტეხავს, არავითარი ველოსიპედი, სხვა რაღაცაშია საქმეო, არადა, წერეთელმა და დარჩიაშვილმა გამოაცხადეს — ნუ ნერვიულობთ, პრეზიდენტის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებაო... ეს არის სირცხვილი. მხარი კი არა, თავი რატომ არ გაიტეხა?! ასეთი პრეზიდენტის ყოლას ჯობს თავგატეხილი იყოს...

— თურქული მხარე რატომ არაფერს ამბობს?

— თურქეთმა რა უნდა თქვას. ამ არანორმალურს უცებ მოუხუშტურა სადღაც წასვლა და წავიდა თურქეთში. აქ რა გააკეთოს, საქმე არაფერი აქვს. 9 წლის განმავლობაში ეს ადამიანი უაზროდ დაეთრევა საზღვარგარეთ და არავის არაფერზე ანგარიშს არ აბარებს. გასაგებია, რომ წინა პარლამენტი „უპრავებდა“ დროსტარებას, მაგრამ ახალმა მთავრობამ აღარ უნდა დაუსვას წერტილი ამ კაცის თვითნებობებს? სახელმწიფო ვიზიტით მიდის? — უნდა იცოდეს ქვეყანამ, პირადი ვიზიტით თუ დადის, დაუთვალონ ყოველი თეთრი, რამდენი დაჯდა თვითმფრინავით მისი მოგზაურობა, აეროპორტში ამ თვითმფრინავის დგომა, მომსახურება და ა.შ. ეს არის ათასები.

სადაა საზოგადოება, რატომ არ სთხოვს პასუხს თავის მიერ არჩეულ პრეზიდენტს?

რაც შეეხება დასავლეთს. წლების განმვლობაში უგზავნის და უგზავნის ფულს საკაშვილს ვითომ ქვეყნის ასაშენებლად.

ამას წინათ ალასანიამ თქვა და მე მჯერა მისი, რომ ამერიკული სუბსიდია — 4 მლნ. დოლარი არის გამოგზავნილი თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ამ თანხით კი ერთი ყაზარმაც არაა აშენებული. თავიანთი კეთილდღეობისთვის ხარჯავდნენ, როგორც ჩანს, ამ თანხებს.

— თქვენ ამბობთ, რომ დასავლეთი ხელს უწყობდა მიშას და ნაციონალებს? გასართობად და დროის სატარებლად ურიცხავდნენ ფულს?

— დიახ, ხელს უწყობდნენ, რომ ეს ახალგაზრდები გახრწნილიყვნენ, რომ ქვეყანა დაქცეულიყო და გაჩანაგებულიყო, რათა უფრო ადვილად დაეპყროთ და დაემონებინათ. ეს უნდა აკონტროლოს ხალხმა, პარლამენტმა. რატომ არ კითხულობს დღეს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, სად იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები?!

წეღან ვთქვი და კიდევ გავიმეორებ — პარლამენტმა უნდა გაიცხადოს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება თანამდებობის პირების თავის ჭკუაზე უცხოეთში ხეტიალს.

— კოჰაბიტაციაზე რას იტყვით?

— საქმე ისაა, რომ მგლისა და ცხვრის მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ ცირკში.

აშშ-მა გადაწყვიტა საქართველო აქციოს ცირკად, სადაც მგელი და ცხვარი ერთად იქნება. ანუ გუშინდელი მძარცველი, ყაჩაღი, მკვლელი დაუსჯელი, ტკბილად უნდა იყოს ახალ ხელისუფლებასთან ერთად.

ბიძინა ივანიშვილმა ახლახან ისიც თქვა: ხალხი მოითხოვს ამათ დასჯას, მაგრამ ეს არაა საჭირო, უფრო უნდა შევარბილოთ დამოკიდებულებაო.

ასე თუ მივუდგებით, დავღუპულვართ და ეგაა. გამოდის, რომ ქვეყანას გამომსარჩლებელი არავინ ჰყავს. ბანდიტ ნაციონალებს, რომლებმაც დაგლიჯეს მთელი საქართველო, ხელი არ უნდა ვახლოთ, ფუნთუშის მომპარავი 15 წლით იჯდეს ციხეში, მილიონების მთქვლეფავი საკაშვილი კი დაფშვიტინებდეს სადაც უნდა? ეს არაა სახელმწიფო.

— ცოტაც გვაცალეთ და მიშა რომ პრეზიდენტი აღარ იქნება, მერე გაგვეხსნება ხელ-ფეხიო... ახალი საპრეზიდენტო კანდიდატურებიც სახელდება...

— რას უშლით მიშა. საკაშვილი დღეს არის აბსოლუტურად დაკოდილი მეთაური. მას აღარ აქვს ძალაუფლება. რაც შეეხება მოსალოდნელ საპრეზიდენტო კანდიდატებს, ყველა ერთად უნდა შეკრა და გადაყარო მტკვარში, რადგან არც ერთი არ შეესაბამება პრეზიდენტის კანდიდატურას. პრეზიდენტი სამაგალითო უნდა იყოს გარეგნულად და შინაგანად, წარსულით და აწმყოთი.

მაგალითად, ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატურად სალომე ზურაბიშვილი არის დასახელებული. ზოგიერთს ჰგონია, რომ ის არის განათლებული, ღრმად ერუდირებული და რადგან საფრანგეთშია დაბადებული, დახვეწილი ქალბატონი გახლავთ, ყველაფერი ეს ძალიან შორს არის ქალბატონი სალომესგან. როცა საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მან დაამტკიცა, რომ არ შეუძლია არც მართვა და არც არაფერი, დაამტკიცა, რომ იმისთვის იყო, ჩამოსული, ეწველა ძროხის, ანუ საქართველოს ჯიქანი თავისი კეთილდღეობისთვის.

სალომე ზურაბიშვილის „მოღვაწეობა“ საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო დიპლომატიის სრული კრახი. ეს არის ძალიან დაბალი განათლების მქონე ადამიანი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალმა ქართული არ იცის, საერთოდ. ვერ წერს და ვერ აზროვნებს ქართულად. ასეთი პრეზიდენტი გვჭირდება?!

— ევროპული ორიენტაციის მქონე ქვეყანას ევროპული ფასეულობების მქონე პრეზიდენტი მოუხდება. ნაციონალები ახალ ხელისუფლებას „რუსი ვანიას“ მოტრფიალეს ეძახიან და არანაციონალებს ყველას „ჭორვილელებს“...

— რა ლაპარაკია ეს — ევროპული ოჯახი, ევროპული ფასეულობები და ა.შ. რა არის ევროპული ფასეულობა, იცის ვინმემ? ფასეულობა არ აქვს ჩინელს, ინდოელს და ა.შ. და მათი ფასეულობები ევროპელზე ნაკლებია? მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი აცხადებს, თუ 2014 წელს არჩევნებში გავიმარჯვებ, აუცილებლად დავაყენებ საკითხს ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის თაობაზეო. საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა უკვე ხმამაღლა აცხადებს: ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაესვას ბრიუსელის ჰეგემონობასო.

ისე, თქვენი კითხვის პასუხად მინდა გითხრათ, რომ მე თვითონ არ ვიცი, რას გულისხმობენ ნაციონალები, როცა ლაპარაკობენ „ევროპული ღირებულებები“ და ა.შ. საქართველოს აქვს თავისი ღირებულებები, ეს არის ტრადიციები, კულტურა, წარსული... სხვისი ღირებულებების მოტრფიალე ადამიანი საკუთარ ღირებულებებს ვერც დაიფასებს და ვერც შექმნის რაიმე ღირებულს.

— რამდენიმე დღის წინ გაისმა პოლიტიკური განცხადება 2008 წლის აგვისტოს ომის ხელახალი გამოძიების შესახებ. თქვენი აზრით, რა გაირკვევა ამ გამოძიებით, თუ ასეთი გამოძიება მართლაც ჩატარდა?

— მითხარით, ერთი, რატომ არ დაიწყო რუსეთმა ამ 20 წლის განმავლობაში რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან ომი. არ მითხრათ, დასაწყისში. ამის საწინააღმდეგოდ დადებული ყველა არგუმენტი ზღაპარია და არ მსურს ამაზე კამათი.

რუსეთმა კონტრშეტევა განახორციელა მას შემდეგ, რაც ქართულმა ჯარმა დაბომბა ცხინვალი და ტანკებმა დაიწყო ჯირითი ქალაქში.

მედვედევს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან დღენახევრით დააგვიანა და საშუალება მისცა ქართულ ჯარს ნაცარტუტად ექცია ცხინვალი.

იმჟამინდელი პოლიტიკური მოლაპარაკებები ე.წ. სამხრეთ ოსეთს, საქართველოს და რუსეთს შორის არ ითვალისწინებდა იმას, რომ ცხინვალის რეგიონში საქართველოს რაც უნდოდა, იმას იზამდა. საქართველომ დაარღვია ეს შეთანხმება.

— ანუ ეს იყო სააკაშვილის ავანტიურა?

— დიახ. ამერიკის გარკვეული წრეების მხარდაჭერის გარეშე სააკაშვილი ამას ვერ გააკეთებდა და ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

როცა სტრატეგიული პარტნიორი ხარ, შენი სამხედრო დამკვირვებლების თვალწინ, რომლებიც მაშინაც მრავლად იყვნენ საქართველოში, ხდება მძიმე სამხედრო ტექნიკის გადაადგილება თბილისიდან გორის მიმართულებით, ეს ვაშინგტონმა, სავარაუდოდ, შესანიშნავად იცოდა. ვაშინგტონს არ შეუჩერებია სააკაშვილი, იმიტომ, რომ მათ აინტერესებდათ ნიადაგის მოსინჯვა, როგორ მოიქცეოდა რუსეთი და რა ნაბიჯებს გადადგამდა. აშშ-ი ვარაუდობდა, რომ რუსეთი არ გარისკავდა აქ სამხედრო დაპირისპირებას, მოერიდებოდა კონფლიქტებს აშშ-სთან და ევროპასთან. თანაც, აშშ-ს აქ სურდა პერმანენტული ცხელი წერტილის არსებობა რეგიონში რუსეთის საწინააღმდეგოდ მის სამხრეთ საზღვრებთან.

სარკოზი საქართველოში ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებები უკვე დამთავრებული იყო ცხინვალში. რუსეთი კარგა ხანს იკავებდა თავს ცხინვალის დამოუკიდებლად გამოცხადებისგან. სააკაშვილს თანხმობა რომ განეცხადებინა, რაც იყო ჩადებული სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულებაში, დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებები სეპარატისტულ რეგიონებთან, სააკაშვილმა ეს პუნქტი ამოაღებინა ხელშეკრულებიდან, ამის შემდეგ ცნო რუსეთმა; რადგან სააკაშვილისგან კვლავ იყო მოსალოდნელი საომარი აგრესია...

დღეს ნაციონალები ყველანაირად ცდილობენ თავი გადაირჩინონ და კვლავ დარჩნენ პოლიტიკაში ანგარიშგასაწევ ძალად. 19 აპრილს გამოსვლას გეგმავენ, რომ დაამტკიცონ — ჩვენ ვართ ჭეშმარიტი ქართველები და პატრიოტები, არ გვინდა რუსის ჩექმა, მივილტვით ევროპისკენ და საქართველოს სწრაფვას ევროპისკენ ებრძვის ივანიშვილიო. ეს ძალიან პატარა, ვიწრო ინტერესია — საკუთარი თავის გადარჩენა და არა ევროპა და ევროპული მისწრაფებები.

ნაციონალებმა კარგად იციან პიარის ანა-ბანა, ფულსაც გაიღებენ საკუთარი პიარისთვის კიდევ ერთხელ და ამაში ამერიკელებიც შეეწყობენ ხელს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ელჩი ახალ მთავრობასთან თითქოსდა მეგობრულ დამოკიდებულებაშია, სინამდვილეში გული მაინც ნაციონალებზე შესტკივა და ფარულად მათი დიდი მჭარდამჭერი ბრძანდება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

xalxis azriT

ნაციონალები ამბობენ, ღარიბაშვილმა საცხრამეტოდ დუბინკები შეიძინაო. და ის დუბინკები ,რაც ვანოს დროს ჰქონდა შსს-ს, სად ჯანდაბაში წაიღეთ, ჰა?

ამ გიგი კალანდაძემ ირაკლი ალასანიაზე რა უნდა გაიხსენოს!! მიატოვა მთელი მისი ბატალიონი და უკანმოუხედავად გარბოდა და როგორც ამბობენ, თვითონ დაიჭრა თავი ფეხში, ვითტომ სროლების დროს დაიჭრა!! მე უფრო ის მაშინებს, რომ ნაცები მაქსიმალურად ცდილობენ ირაკლის დისკრედიტაციას და მიზანი გასაგებია!! არ წამოეგოთ ანკესზე - ხელისუფლების გასაგონად!!!ირაკლი ძალიან მაღალი რეპუტაციისაა და ის ხალხს უყვარს!!

დაკავებულია თურქი ტრაილერის მძღოლი, რომელმაც აღიარა, რომ ვენერა მილოსელსაც მან მოამტვრია ხელები))) ხერხემალამ პირადად თუ დაკითხა, არსაკიძის მარჯვენის მოჭრასაც ქე აღიარებდა!

დავკომლექსდი უკვე! ქვეყნის მმართველი გუნდის მთავარი ოპონენტი ვანო მერაბიშვილია! ტიპმა ლაპარაკი არ იცის, კითხვის დროს თითს აყოლებს პწკარს, „ლ“-ს ვერ ამაგრებს, ვიზუალურად დაუმახსოვრებელია, ფეიხტვანგერი საგინებელი სიტყვა ჰგონია, და ამ ტიპის ყოველ ბოყინს მთელი ჩვენი ქვეყანა აჟიტირებულად აკომენტებს. მეტის ღირსი არა ვართ? მართალი იყო გუშინ ის კაცი, ქვეყანაში ვინმე ნორმალური ოპოზიციონერი გვინდა, თორემ სირცხვილია ევროსაბჭოს აქსაკალების წინაშე.

აგვისტოს ომის გამოძიება არ გინდათ, არა? მიზეზი? ეგება დასკვნა საჩვენო დაიდოს. ომი ხომ, თქვენი თქმით, დამპალმა რუსებმა დაიწყეს. გამოძიება იქნებ იმიტომ არ გინდათ, რომ გავიგებთ, როგორ დატოვეთ დაჭრილი და დახოცილი ბიჭები ბრძოლის ველზე? იქნებ კიდევ ბევრი რამ არის, რაც არ ითქმება? მაგრამ უნდა ვთქვათ. მე, პირადად, მაინტერესებს ვინ დაიწყო ეს ომი.

ქვეყანას და ხალხს, რომელსაც 9 აპრილი და 14 აპრილი გამოუვლია, 19 აპრილის წუნკალი აფთრები ვერაფერს დააკლებენ!

1989 წლის 19 აპრილიც... როდესაც ზემო აჭარაში სხალთის მთა ჩამოიქცა... „მთა-მთას შეეჯახა”, მიწამ შთანთქა სოფლები და სიმბოლურია, რომ გადარჩა მხოლოდ სხალთის ეკლესია და მასში შემალული ხალხი!!!! სწორედ ამ ტრაგედიის შემდეგ მოინათლა მართლმადიდებლური წესით ზემო აჭარაში უამრავი მუსლიმი ქართველი!!! ასე რომ, 19 აპრილი იქნება ნაცების ჩამოქცევის დღე!

საქართველოს პრეზიდენტმა 26 მაისს საქართველოს სამხედრო ძალების აღლუმი მანამ არ უნდა მიიღოს, სანამ გამოძიებული არ იქნება მისი და მისი ხელისუფლების ქმედებები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, და ასევე - 2011 წლის 26 მაისის სისხლიან ღამეს.

კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს! და პოზა - „მე გამოძიებასთან არ ვითანამშრომლებ!“, უნდა იყოს ამოღებული პრაქტიკიდან. ოქტომბრის მერე იკაჩავოს ეგრე, მიაყვინცილებენ სასამართლოს დაუმორჩილებლობაზე. ახლა ჯერ მაინც პრეზიდენტი ჰქვია იმ ევროპის თვალში, რომლისკენაც მივისწრაფვით, ასე ვთქვათ.

ნამდვილად არ შეიძლება, რომ ქვეყანაში მოტოროლერის სამართავად ფსიქოს ჩაბარება იყოს საჭირო და ამ დროს 10 წელი სახელმწიფოს არაოფიციალური გიჟი მართავდეს. დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი - გიჟია თუ, უბრალოდ, მავნებელი და მაოხრებელი გზირი.

აზიზიეს სახელობის მეჩეთის აშენებას ნაღდი არ ვემხრობი, მარა თუ ტრაილერის მძღოლის სახელობის მეჩეთი აშენდება, არ გავაპროტესტებ))) გამოვიდა ახალი ისტორიული ჟანრის, წიგნი “უქარქაშო ხმლების” გაგრძელება, “უმუხრუჭო ტრაილერები”)))

„ველოსიპედით დადიხარ, ადრე გიყვარდა სკუტერი”...

ასეც რომ ვლაპარაკობ, არ გიკვირთო?!

მიშამაც შესანიშნავად იცოდა სომხური. ოთხი წლის იყო, ეზოში სომეხი პოეტის სილვა კაპუტიკიანის ლექსებს სხაპასხუპით და გამოთქმით რომ ამბობდაო, დასძინა სიომამ მიშას სომხობის დასამტკიცებლად.

სომეხი ვეძახოთ ჩვენ და ეს ადამიანი, მართლაც „ასობი“ სომეხი გამოდგა. თურქები, საზოგადოდ, სომხებს ვერ იტანენ, სააკაშვილს კი თან გადაყვნენ. როგორც თქვეს, ტრაილერს რომ შეეჯახა ველოსიპედით, ფეხზე დადგა მთელი თურქული მედიცინა და გამოჯანმრთელებული დაგვიბრუნეს შინ.

ამ „მშვიდობიან“ დაბრუნებას სოციალურ ქსელში ასეთი ლექსი მიუძღვნეს:

„ველოსიპედით დადიხარ,
ადრე გიყვარდა სკუტერი,
კისერიც მოგიტეხია,
მ..... დ...ს მ....ი“

ბიძინა ივანიშვილმა ამას წინათ განაცხადა – პოლიტიკიდან მალე ვგეგმავთ წასვლასო, სააკაშვილს კი უთქვამს: აქტიურ პოლიტიკაში 30 წელიწადი უნდა დავრჩეო. იმასაც ამბობენ, ნაციონალები კვლავ დაბრუნდებიანო. შეიძლება, დაბრუნდნენ, აღარც ეს გამიკვირდება, მაგრამ ერთი ეს მაინტერესებს: გერმანიაში ჰიტლერის სახელს ვინც ახსენებს, დღესაც კეთროვანივით უყურებენ და ჩვენ რა ავადმყოფობა გვჭირს ასეთი ნაციონალების მიერ ჩადენილი სისხლისღვრა, წამება, დამცირება, ერის გათახსირების და გახრწნის მაგალითები რომ ასე უცებ დავივიწყეთ და ამ აგრესიულ სექტასთან – ნაციონალებთან კოჰაბიტაცია რომ დავაპირეთ?!

ანა ვადაჭკორია

ამას წინათ სოსო ჯაჭვლიანს დავურეკე. თქვენც არ მომიკვდეთ, არ მიპასუხა. მერე იმდენი შეტყობინება გავუგზავნე, ბოლოს, როგორც ჩანს, ორიოდე სიტყვის მოწერა მოახერხა: „ვერ ვლაპარაკობ!“ მაშინ წარმოვიდგინე ჩვენი საყვარელი მსახიობის, ჩვენი სოსოს გატანჯული სახე და გული დამწყდა, ხედავთ, რა დღეში ჩავყარეთ ეს ადამიანები? ვეღარც კი ლაპარაკობენ, არადა, მგონი, ძალიან უნდათ, რომ ჩვენ, მათ ამომრჩევლებს, ხალხს დაგველაპარაკონ...

სამაგიეროდ, 19 აპრილს ნაციონალები აპირებენ მიტინგის ჩატარებას და ხალხს მოუხმობენ რუსთაველის პროსპექტზე. რადგანაც ნაციონალებს მათი ბედის უკუღმართობამ და ქართველი ხალხის სურვილმა უმცირესობაში მიუჩინა ადგილი, ამბობენ, სოლიდარულობისთვის მათ მიერ მოწყობილ მიტინგზე სექსუალური და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც შეძლებისდაგვარად ჭარბად იქნებიან წარმოდგენილნიო.

ამას წინათ ერთი მშრომელი და გამრჯე სომეხი გავიცანი – სიომა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: არ წავალ მაგათ მოწყობილ მიტინგზე იმის მიუხედავად, რომ ზუსტად ვიცი, მიშა სააკაშვილი რომ სომეხიაო.

შე კარგო ადამიანო, ეს მთელმა საქართველომ იცის, თუმცა ზოგი ჯერ კიდევ ყოყმანობს: ბევრი მტერი ჰყავს ტანმაღალ და წარმოსადეგ მიხეილს და ხომ არ უგონებენ სომხობასო, ასე ფიქრობენ-მეთქი, ვუთხარი.

მეზობელი მყავდა ვალტერ ღურწკაია. მიხეილ სააკაშვილი რომ მინისტრი გახდა ადრე, მაშინ გვიყვებოდა მეზობლებს და ტრაბახობდა: კარგად ვიცნობდი, მიშას მამის ნიკოლოზ სააკაშვილის მამას. განათლებული კაცი იყო, ნასწავლი, მაგრამ ქართულად კარგად მაინც ვერ წერდა და ლაპარაკობდაო. კარგი ბუნების კაცი იყო და ქართულს რომ შეუსწორებდნენ, იტყოდა ხოლმე: სომეხი კაცი ვარ, ქართულს

რამდენი „ექიმი მენგელე“ ჰყავდა „ნაცებს“ და რა ექსპერიმენტებს ატარებდნენ ისინი სააკაშვილის „საკონცენტრაციო ბანაკებში“

80-იან წლებში საქართველოს კინოთეატრებში გადიოდა ამერიკული ფილმი „მოტელ – თაფლობის თვის საიდუმლო“ – დაქირავებულ პირთა ჯგუფი აბრუებდა და იტაცებდა ადამიანებს, უტარებდნენ სამედიცინო გამოკვლევებს და თუ მათთვის „საინტერესო“ ორგანოები ჯანმრთელი აღმოჩნდებოდათ, უმწეო მდგომარეობაში ცოცხალ დონორებად ჰყავდათ მოტელად შენიღბულ სპეცლაბორატორიაში.

ნათქვამია, სადამდეც ადამიანის ფანტაზიას შეუძლია გაწვდომა, ყველაფერი შესაძლებელიაო, ამდენად, ეჭვი, რომ შესაძლოა, საქართველოდან უცხოეთში გაშვილებული ჯანმრთელი ბავშვები დონორებად გაჰყავდათ, ავადმყოფები კი რომელიმე სექტის რიტუალისთვის ან ცდებისთვის, ხოლო პატიმრებისთვის ზეწოლის ქვეშ გაკეთებული ოპერაციებით „შავ ბაზარზე“ ჯანმრთელი ორგანოებით ვაჭრობას რომ ჰქონოდა ადგილი, სრულებითაც არ არის გამორიცხული.

ამ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ წინა მოწვევის პარლამენტში ბატონმა გიგი წერეთელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში ტრანსპლანტაციის დარგის განვითარებისთვის შეცვლილიყო საკანონმდებლო ბაზა და ყურადღება გაამახვილა ბელორუსის მოდელზე, იქ კი, ე.წ მოდელად „გვამური გადანერგვაა.“

კიდევ უარესი საფუძველი ეჭვისთვის – ციხეში, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ჯანმრთელი პატიმრების ჭირისუფლებს სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ცხედრისთვის ექსპერტიზის ჩატარება, თუმცა, ვინც მაინც გაბედა ჩუმად, ცხედარი აბსოლუტურად გამოშიგნული აღმოჩნდა. (პატიმრების მიერ სახელდება კონკრეტული პირი, პატიმარივე რუბენ მიქაელიანი, მეტსახელად „სომეხა“, რომელსაც პატიმრების გამოშიგვნა და ათასგვარი სიბინძურით ამოჩურთვა ჰქონდა დაკისრებული.) ის, რომ საქართველოს საჯელაღსრულების დაწესებულებებში ე. წ „სტენფორდის ექსპერიმენტზე“ აგებული გაიდლაინებით მოქმედებდნენ, გახმაურდა, მაგრამ გარდა ამისა, გავრცელდა ხმა, რომ არასრულწლოვან პატიმრებზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ...

1933 წელს პროფესორებმა ფრიდრიჰ ჰილშერმა და ვილფრამ ზევერსმა დაარსეს სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც მემკვიდრეობის საკითხებს სწავლობდა. როდესაც ამგვარი წამოწყების შესახებ ჰიმლერმა შეიტყო, იმდენად მოეწონა, რომ 1939 წელს ინსტიტუტი „აანენერბე“ ესესელთა შავ ორდენს დაუქვემდებარა და შემდგომში უკვე ფილიალები და ლაბორატორიები გაუხსნა, რომლებიც პირდაპირ საკონცენტრაციო ბანაკებზე იყო მიბმული. ინსტიტუტის წესდებაში ჩაიწერა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზანი, „ძიებანი ინდო-გერმანული რასის სულის, საქმიანობისა და მემკვიდრეობის დარგში. ამ ძიებათა შედეგების ადგვილად გასაგები ფორმით პოლპულარიზაცია ხალხის ფართო მასებში. ძიება უნდა წარმოებდეს მეცნიერული მეთოდებისა და სიზუსტის სრული დაცვით.“ ეს იყო ერთადერთი მეცნიერება რომელსაც ჰიმლერი ცნობდა.

ჰიმლერის „სამეცნიერო ინსტიტუტებში“ იგეგმებოდა და სრულდებოდა კიდეც „დაბალი რასის“ ადამიანების სტერილიზება, დატყვევებული ბავშვების „გამოხშირვა“, არიული ჯიშის ადამიანის ტყუპ-ტყუპად გამოყვანის ცდები და საერთოდ ყველანაირი კვლევა, რაც შეიძლებოდა ადამიანზე ჩატარებულიყო. თუ მანამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის საცდელ ბაჭიებით, ზაზუნებით თუ სხვა ცხოველებით მომარაგება ხდებოდა საჭირო, ახლა უკვე

ცდისპირი მასალა ულევი იყო, ევროპა დაიქსელა საკონცენტრაციო ბანაკებით...

საკონცენტრაციო „კვლევითი ინსტიტუტების“ ნაწამებ-დამახინჯებული „პაციენტები“ ცოცხალი ფაქტები იყვნენ ნიურნბერგის პროცესზე, მაგრამ მათგან მაინც იშვიათობა იყო და-ძმების, „ლილიპუტების ჯაზ-ბენდი.“

მსოფლიო მოიარა ჯუჯა რაბინის, შიმშონ ისააკ ოვიცის ოჯახის წევრების შემზარავმა ისტორიამ, რომლებმაც 1944 წელს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ამოყვეს თავი და წამებისა და ექსპერიმენტებისთვის საინტერესო „მასალები“ გახდნენ იოზეფ მენგელეს ლაბორატორიაში.

ელიზაბეტ ოვიცმა აღწერა მომენტი, როცა და-ძმები პირველად დაინახა ნაცისტმა ექიმმა მენგელემ, რომელსაც ექსპერიმენტის სახელით უკვე არაერთი ტყუპი ჰყავდა ნაწამები და დაჩეხილ-გამოშიგნული, რათა დაედგინა მათი შინაგანი ორგანოების მსგავსება და განსხვავება. ვინაიდან დედმამიშვილი ლილიპუტების პოვნა მხოლოდ „იღბალის“ საკითხი იყო, ოვიცების ოჯახის დანახვაზე, ცხადია, მართლაც გაუბრწყინდებოდა თვალები (ელიზაბეტ ოვიცის ნაამბობი), „ახლა, შემდეგი 20 წლისთვის სამუშაო მასალა მექნება – მეცნიერებას საინტერესო საკითხი მიეცემა განსახილველად,“ – განაცხადა მენგელემ.

ელიზაბეტისავე თქმით, ექიმი შემაღლებულ ადგილზე იდგა და ახალ ტყვეებს ორ კატეგორიად ანაწილებდა, ვინც მაშინვე უნდა მომკვდარიყო და ვინც საკონცენტრაციო ბანაკის ექსპერიმენტისთვის გამოდგებოდა. როგორც ელიზაბეტის ნაამბობიდან ჩანს, მენგელე იმდენად მოიხიბლა ლილიპუტებით, რომ ოვიცებს სხვებთან შედარებით უკეთ კვებავდნენ, საკუთარი საწოლები მისცეს, თავიანთივე სამოსი დაუტოვეს, ამასთანავე, ჰიგიენური პირობები და სუფთა გარემო შეუქმნა.

ოვიცების ებრაული ოჯახი ტრანსილვანიიდან იყვნენ. შიმშონ ოვიცს ორი ქორწინებიდან 10 შვილი ჰყავდა და მათგან 7 დაავადებული იყო ფსევდოაქონდროპლაზიით (კიდურების ნორმალური განვითარების შეფერხება). შიმშონის გადაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა გადაწყიტა, რომ ზრდაშეჩერებული და-ძმებით მუსიკალური დასი ჩამოეყალიბებინა და ემოგზაურათ ევროპაში. ასე შეიქმნა მუსიკალური დასი, ლილიპუტების ჯაზ-ბენდი, რომელიც ებრაელობას საგულდაგულოდ მალავდა და მიუხედავად იმისა, რომ 1942 წელს იყო და ცენტრალური ევროპა სახიფათო ადგილის წამოადგენდა, აგრძელებდა წამოწყებულ მუსიკალურ საქმიანობას. ელიზაბეტი გათხოვდა კიდეც ერთ-ერთი თეატრის მმართველზე (იოშკო მოსკოვიცი), თუმცა მათი ქორწინება მხოლოდ 10 დღე გაგრძელდა, მის მეუღლეს იძულებით სამუშაოზე უკრეს თავი. ოვიცების ოჯახი უნგრეთის დაპყრობამდე (1944 წლის მარტი), სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ (არ თუ ვერ გავიდნენ), მაისში დააპატიმრეს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაანაწილეს.

მენგელესთვის საინტერესო საკვლევი იყო განსხვავებული ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანები და რადგან მისი მიზანი იყო გენეტიკური დარღვევების მიზეზების აღმოჩენა და შესწავლა, თმებს, კბილებს და ძვლის ტვინს აცლიდა...

18 თვის ოვიცმა, რადგან მას უფრო მაღალი მშობლები ჰყავდა და დროზე ადრე დაიბადა, მენგელეს ყურადღება სისხლით მიიქცია, ყურებთან და თითებთან ვენები გადაუჭრა და სისხლი გამოწურა...

რას ემსახურებოდა, ელიზაბეტმა ვერ ახსნა, მაგრამ ყურებში მონაცვლეობით ასხამდნენ ცივ და ცხელ წყალს და აბრმავებდნენ ქიმიური ხსნარებით. ელიზაბეტი იხსენებდა: - „ყველაზე საშინელი მაინც გინეკოლოგიური ექსპერიმენტები იყო. ისინი მაგიდაზე გვაბამდნენ, საშვილოსნოში სხვადასხვა საგნებს გვტენიდნენ, სისხლს გვაღენდნენ, ხორცს გვისერავდნენ და ნიმუშებს იღებდნენ. შეუძლებელია სიტყვებით გამოიხატოს ის გაუსაძლისი ტკივილი, რომლის გადატანაც გვიწევდა და ექსპერიმენტის დასრულებიდან რამდენიმე დღე კიდევ გრძელდებოდა...“

ელიზაბეტის თქმით, შენიშნავს, რომ გინეკოლოგიური „ექსპერიმენტები“ იმდენად შემზარავი იყო, რომ დამხმარე ექიმებს სიბრალულის გრძნობა გაუჩნდათ და უარი თქვეს მის გაგრძელებაზე. მენგელეც მიხვდა, რომ ზედმეტი მოსდიოდა, შეიძლებოდა, „ძვირფასი მასალა“ დაჰკარგვოდა და „ცდები შეარბილა“, თუმცა არანაკლებ სადისტური ექსპერიმენტები წამოიწყო.

„ისინი ხერხემლიდან სითხეს გვიღებდნენ. თმების მოცილება ისევ განაგრძეს და როცა სიკვდილისთვის მზად ვიყავით, დაიწყო ახალი მტკივნეული ცდები თავზე, ცხვირზე, პირზე და ხელის მიდამოებში. ამ ყველაფერს დაწვრილებით აღწერდნენ ილუსტრაციებით. აღსანიშნავია, რომ ჩვენ იმ მცირეოდენს შორის ვიყავით, ვისი წამებაც „მეცნიერულად“ აღწერეს მომავალი თაობებისთვის,“ – წერდა ელიზაბეტ ოვიცი.

წამება-ექსპერიმენტებთან შედარებით არაფერი იყო ის, რომ გენეტიკაზე ლექციების ჩატარებისას უფროსი ნაცისტების წინაშე გაშიშვლებულებს წარადგენდა და-ძმებს, ან ის, რომ ჰიტლერის სამბლად იღებდა ფილმს, როგორ მღერიან ოვიცები გერმანულად...

ოვიცებს ბევრი რამ ჰქონდათ საკუთარი თვალით ნანახი, მათ შორის ისიც, როგორ მოხარშეს საკონცენტრაციო ბანაკში მიყვანილი ორი ჯუჯა, რათა მათი ძვლები მუზეუმში გამოფენილიყო და თან, ამ ყველაფერს ფირზე იღებდნენ.

ოვიცების ოჯახი 7 თვე იყო საცდელ-საწამებელი ობიექტი, თუმცა, გაუძლეს, გადარჩნენ და ოსვენციმის ტყვეთა ბანაკიდან გათავისუფლებასაც მოესწრნენ (1945 წლის 27 იანვარი). ელიზაბეტი თვლის, რომ საბჭოთა არმიამ მიუსწრო, თორემ მანამდე, ორი დღით ადრე მენგელემ შუშის თვალები მიაზომა, ანუ მისთვის თვალების ამოღება ჰქონდა გამიზნული.

ქართველ „ნაცებს“ რამდენი „ექიმი მენგელე“ ჰყავდათ, ვინ იცის, მაგრამ მაგალითად, პატიმარ ქალებს რომ ოპერაციებს უსაფუძვლოდ უკეთებდნენ და გარკვეულ ორგანოებს აჭრიდნენ კერძო კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალში“ (მთავარი ექიმი თეა

NEW HOSPITALS

ჭინჭარაული) არაერთმა იძულებითმა პაციენტმა დაადასატურა. ქალური ორგანოები, ფილტვი, თირკმელი, ნაღვლის ბუშტი – სააკაშვილის ქართველი „ექიმი მენგელეების“ ინტერესთა სფერო.

პატიმარი, ყოფილი პროკურორი ქეთევან ზარნაძე: – „პატიმრებზე სამედიცინო ექსპერიმენტები ჯერ კიდევ კესო დანელიას დროს დაიწყო, რაც ჭინჭარაულმა გაგრძელა. პატიმრებს რაც სტკიოდათ, ყველაფერი დააჭრეს და ბოლოს, იმის აღიარებაც ეშინოდათ, თავი მტკივაო – ვაითუ, თავიც მოეჭრათ!“

ცალი ფილტვის ამოკვეთის შედეგად ლოგინადა ჩავარდნილი პატიმარი მადინა ცათიაშვილი, რომელსაც ორივე ფილტვი ესინჯება – რატომ გაკვეთეს პატიმარი და რატომ მოატყუეს, რომ ფილტვი ამოკვეთეს? ყველა შემთხვევაში, რატომ ჩავარდა ლოგინად? რატომ ატყუებდნენ პატიმრებს, რომ ტუბეკულოზით (საშვილოსნოში მიომური კვანძები ჰქონდათ და ა.შ) იყვნენ დაავადებულები? რატომ მიდიოდა თითქმის ყოველკვირა (ხან ორჯერაც) მამაკაცთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეცმანქანა გარდაცვლილ პატიმართა შინაგანი ორგანოების გასატანად? – ჯერ ხომ გარდაცვლილთა რიცხოვნებაზეა საუბარი და ამას თან ერთვის მათი გამოშიგვნა...

ნიურნბერგის პროცესზე ცალკეული მაღალი თუ შედარებით დაბალი რანგის პირთაგან გაისმა ფრაზა, რომ სისტემის მსხვერპლნი იყვნენ – საოცარია, მაგრამ ამჯერად საქართველოში ისმის იგივე ფრაზა...

თამარ მჭავია

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სიკვდილი ტრასა

სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე სულ იმას გაჰკიოდა, რომ საქართველოზე გამავალ ნარკოდერეფანს, მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე კურირებდა. კახა თარგამაძე დიდი ხანია აღარ არის ამ თანამდებობაზე, უფრო მეტიც, ათ წელზე მეტია საქართველოში აღარ ცხოვრობს. თუ მართლაც გადიოდა საქართველოზე ნარკოტრანზიტული გზა, ცხადია, ის უკვალოდ ვერ გაქრებოდა, ოღონდ მერე ვინ კურირებდა ამ „ბიზნესს“, სააკაშვილი და მისი „კარის“ ექსპერტები რატომღაც საეჭვოდ არიან გასუსულები.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ რამდენიმე კომპეტენტური და სანდო წყარო ესაუბრა. ჩვენმა რესპოდენტებმა კახა თარგამაძის ნარკობიზნესთან კავშირი გამორიცხეს, თარგამაძე ანგელოზი არ ყოფილა, მაგრამ ისეთ სიბინძურეზე, როგორიც ნარკობიზნესი და იარაღით ვაჭრობაა თარგამაძე ხელს არასოდეს მოაწერდა, ამ საქმიდან ის ფულს არ აიღებდაო.

წყაროს თქმით, ნარკობიზნესი ასლან აბაშიძის მმართველობისას ჰყვაოდა აჭარაში, რასაც თავად აჭარის მეთაური კურირებდა. აქედან გამომდინარე, შსს-ს ხელმძღვანელობას ძალიანაც რომ სდომებოდა ამ კრიმინალის აღკვეთა, ფაქტია, იქ ცხვირს არ შეაყოფინებდნენ. თურმე ბათუმის ნებისმიერ სასტუმროში გეტყოდნენ, სად შეგეძლო ნარკოტიკის შეძენა. ყბადაღებულ პანკისში თურმე ისეთი არაფერი ხდებოდა, უბრალოდ შეგნებულად ხდებოდა ყურადღების იქით გადატანა. საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ნარკობიზნესი მხოლოდ ნარკოტიკის „იმპორტი“ და გაყიდვა ჰგონია. როცა სერიოზულ ნარკობიზნესზეა საუბარი, იქიდან შემოსული ფული თუ არ „გაათეთრე“, ვერაფერში გამოიყენებ. უბრალო ადამიანს უცებ რომ გაუჩნდება მილიონობით ფული, ცხადია, ეს ყოველთვის გამოიწვევს ეჭვს და სამართალდამცავთა სამიზნე გახდება. აქ მთელი სისტემა მუშაობს, მათ შორის ბანკიც. კოლუმბიელი ნარკობარონების ფრთიანი გამოთქმა ყოფილა, ჩვენ ორი მტერი გვყავს, ქილერი და ვირთხებიო, რადგან ვირთხა ფულს ჭამს, ანუ სადღაც შენახულ „შავ“ ფულს ვირთხისგან საფრთხე ემუქრება. წყაროს თქმით, ნარკობიზნესი სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი და სწორედ ნარკობიზნესიდან შემოსული ფულის „გათეთრებას“ ემსახურებოდა აჭარაში არსებული ერთ-ერთი ბანკი. როგორც უკვე აღვნიშნეთ საუბარი იყო მილიარდიან შემოსავლებზე და არა მცირე პარტიების რეალიზაციიდან შემოსულ ფულზე. ასე რომ, წყაროს თუ ვერწმუნებით, სერიოზული ნარკობიზნესი საქართველოში მხოლოდ ასლან აბაშიძეს ჰქონდა.

საქართველოში „ჰეროინის“ ე.წ. იმპორტი პირველად 1985 წელს, ფოთში დაფიქსირებულა. ქართველებს გემით შემოჰქონდათ ეს ნარკოტიკი, ოღონდ რომელი ქვეყნიდან, წყარო ზუსტად ვერ ასახელებს. „ჰეროინი“ კარგა ხანს საქართველოში უცხო ხილად ითვლებოდა, ჩვენთან თურმე ძირითადად, ე.წ. ოპიატები მოიხმარებოდა, თუმცა საქართველოში ოპიუმის ყაყაჩოს კულტურა, როგორც ასეთი არ არსებობს. ეს მცენარე პოსტსაბჭოთა სივრცეში შუა აზიის გარდა, კრასნოდარის მხარეში და ვორონეჟში ხარობს, სადაც სპეციალურად ითესებოდა და მისი გადამამუშავებელი ოფიციალური ქარხნები არსებობდა. ამას გარდა, ნარკოტიკი („ოპიუმი“) შემოდიოდა აზერბაიჯანიდანაც, ოღონდ დაბალი ხარისხის. „ჰეროინი“ კი შემოდიოდა, მაგრამ მისი ტრანზიტი უფრო მომგებიანი ყოფილა, რადგან სიძვირის გამო ადგილზე მომხმარებელი ნაკლებად ყოფილა. „კოკაინიც“ ელიტარული, „ჰეროინზე“ გაცილებით ძვრად ღირებული ნარკოტიკია. ის კოკას ფოთლებისგან მზადდება, რომელიც ძირითადად სამხრეთ ამერიკაში ხარობს, მცირე რაოდენობით ინდოეთშიც. ამიტომაც მიაჩნია ჩვენს წყაროს მერაბიშვილის პოლიციის მიერ იმერეთში ჩატარებული „გრანდიოზული“ ოპერაცია აფერად, ვითომ კოკაინის იმპორტიორ-რეალიზატორები რომ დააკავეს, მათ ჯართში გადამალული კოკაინი შემოჰქონდათ თურქეთიდანო. მერაბიშვილს ეტყობა დაავიწყდა, ჯართს საქართველოდან ეზიდებიან თურქეთში და მეორეც, რომელი ჭკუათმყოფელი შემოიტანდა აქ ისეთ ძვირიან ნარკოტიკს, რომელსაც პრაქტიკულად მყიდველი არ ჰყავს? ეს ძვირად ღირებული „სიამოვნება“ მხოლოდ ბობოლა ნაციონალი ნარკომომხმარებლებისთვის თუ იქნებოდა ხელმისაწვდომი, მათ კი წყაროს ინფორმაციით, საკუთარი ნარკოიმპორტიორები ჰყავდათ. ამ სპეცოპერაციის „შემოქმდნი“ ვერც იმას იტყვიან, რომ ეს ნარკოტიკი, თურქეთში ან პოსტსაბჭოთა სივრცეში უნდა გაეტანათ, რადგან კოკაინის მომხმარებელი ფაქტიურად იქაც არავინ ყოფილა. მოგეხსენებათ, საქართველოში დღეს ყველაზე მეტი მომხმარებელი „სუბოტექსს“ ჰყავს.

ახლა, რაც შეეხება ასლან აბაშიძის ნარკობიზნესში ჩართულობის მიზეზებს. ხელისუფლების დიდი ხნით შენარჩუნებას დიდი ფული სჭირდება, ცხადია, მოსახლეობის ნაწილიც კმაყოფილი უნდა გყავდეს. ალბათ, ამიტომაც იყიდებოდა ნარკოტიკი ბათუმში და სხვა საკურორტო ქალაქებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ასლანი მოგვიანებით მიმხვდარა, რომ ნარკობიზნესით გამოწვეული უბედურება მასაც შეეხო. მისი დაცვის წევრის ინფორმაციით, საკუთარი თვალით უნახავს როგორ მისდევდა ასლანი იარაღით ხელში მოსაკლავად საკუთარ ვაჟს. ამიტომაც იყო, პატარა „ბაბუმ“ ბოლოს ყველა ის პირი რომ დაიჭირა, ვისაც კი რაიმე შეხება ჰქონდა ნარკობიზნესთან. ამ საქმეში პოლიციელებიც მრავლად ყოფილან ჩართული, როგორც მფარველის, ისე მომხმარებლის „რანგში“. ადამიანი რამდენჯერმე რომ გასინჯავს ნარკოტიკს, მერე უკვე მარტო მომხმარებელი კი არა, ნარკოდამოკიდებულიც ხდება. წყაროს თქმით, ნარკორეალიზატორთა 80% ნარკოდამოკიდებულია, გამონაკლისი მუსულმანი ნარკორეალიზატორები ყოფილან. მათთვის „ჰაშიშის“ გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია, „გასახალისებლად“ კვირაში 2-3-ჯერ შეიძლება მოწიონ, მაგრამ ნარკოდამოკიდებულნი არასდროს გახდებიან, მით უმეტეს, რომ რელიგიურადაც ეკრძალებათ ძლიერი ნარკოტიკის მიღება. ჩვენთვის ნარკოტიკი მაინც უცხო ხილია, ამიტომაც არის მის მიმართ დიდი მიდრეკილება.

საიდან მარაგდებოდა ასლან აბაშიძის მიერ ხელდასხმული ნარკობიზნესი? წყაროს თქმით, ყველაზე დიდი ალბათობით ტაჯიკეთიდან შემოდიოდა, ოღონდ ზუსტი მარშრუტი და ტრანსპორტირების საშუალება, აქაც უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ ნარკოტიკი სატვირთო ტრაილერებით შემოჰქონდათ, რადგან დალუქულ, ტრანზიტულ ტვირთებს, თუ ის „დამწვარი“ არ არის, ყველა ქვეყანა უპრობლემოდ ატარებს. ტვირთი მხოლოდ გამომგზავნ და მიმღებ ქვეყნებში მოწმდება. აჭარისთვის განკუთვნილ ტვირთს საქართველოს სხვა რეგიონების საბაჟოებშიც ვერ გახსნიდნენ, ადგილზე ჩასულ ტვირთს კი ასლან აბაშიძის გარეშე რომ ვერავინ შეეხებოდა, ესეც ფაქტია. ტაჯიკეთში არის ადგილი, მთიანი ბადახშანი, რომელიც ავღანეთს ესაზღვრება. ეს ტერიტორია, თურმე სრულად საბჭოთა პერიოდშიც ვერ კონტროლდებოდა. ახლა აქ საზღვარს რუსები და ტაჯიკები ერთობლივად აკონტროლებენ. სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი მეფედ ითვლება. მას კი სულ არ ადარდებს სად რა მიდის, მთავარია, ფული მისცენ და ტვირთს უპრობლემოდ გაატარებს. ჩვენ შეურაცხოფას არავის ვაყენებთ, მაგრამ რუსების კორუმპირებულობის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება, ისინი ფულის სანაცვლოდ ჩეჩენ „ბოევიკებსაც“ ატარებდნენ რუსული სოფლების დასარბევად და რაში ენაღვლებათ საქართველოში რა მიდის, მით უმეტეს თუ ფულს გადაუხდიან.

მოკლედ, ასლან აბაშიძე ნარკობიზნესში ლამის მისი მმართველობის ბოლო პერიოდამდე ყოფილა ჩართული. ზემოხსენებული დიდი დაჭერები 2002 თუ 2003 წელს მომხდარა. მაშინ პოლიციელებთან ერთად ასლანის დაცვის წევრებიც დაუჭერიათ, რომლებიც მამას უმალავდნენ გიორგი აბაშიძე ჩამოყალიბებული ნარკოდამოკიდებული რომ იყო.

აბაშიძე მეგობრობდა მოსკოვის მერ იური ლუჟკოვთან, რომელიც ძალზე გავლენიანი ფიგურა იყო და აჭარაში სერიოზული ბიზნეს ინტერესები ჰქონდა. წყაროს ინფორმაციით აჭარაში კეთდებოდა წყალქვეშაფრთიანი გლისერები, შენდებოდა ე.წ. მოსკოვის სახლი და ა.შ. ამ ბიზნესებში ლუჟკოვი და აბაშიძე მოწილეები იყვნენ. ფაქტია, ასეთ სერიოზულ ფიგურასთან დაპირისპირებას, არა თუ კახა თარგამაძე, ედუარდ შევარდნაძეც ვერ გაბედავდა. რა შეხება ჰქონდა ლუჟკოვს აჭარულ ნარკობიზნესთან, ვერაფერს გეტყვით, ადამიანმა, რომელიც „სუფთა“ ბიზნესითაც მილიარდებს შოულობს, საეჭვოა ნარკოტიკებით ხელი გაისვაროს, რაც შეეხება ბიზნესმენ გარი ლუჩანკის, წყაროს აზრით, სავარაუდოდ ისიც იყო გარეული ზემოხსენებულ „ბიზნესში“.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსი სამხედროები აჭარაში ძალიან დიდ ფულს შოულობდნენ, არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი ასლან აბაშიძეს ნარკობიზნესშიც ეხმარებოდნენ. რუსები მარტო საზღვრის გადმოკვეთაში 10 დოლარს იღებდნენ და ეს აჭარის მთელ პერიმეტრზე ხდებოდა. რუსი სამხედროები ფულის გულისთვის თურმე ყველაფერზე თანახმა იყვნენ. აბაშიძისთვისაც ძალზე მომგებიანი ყოფილა რუსი სამხედროების იქ ყოფნა, ოღონდ მარტო ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო კი არა, ისინი აბაშიძის პირადი ხელშეუხებლობის გარანტები უფრო იყვნენ. წყარო ერთ ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო შემთხვევას იხსენებს - აბაშიძის დაცვის წევრისთვის ერთ-ერთ ადგილობრივს უთხოვია, რომელიღაც რუს გენერალს ჩემი ვალი აქვს, იქნებ წამომყვე მასთან და ამაღებინოო. ისინი მისულან ხსენებულ გენერალთან, რომელსაც, როცა გაუგია, რომ ეს ადამიანი ასლანთან მუშაობდა, უყოყმანოდ დათანხმებულა ვალის გადახდას. ეს ვალი სულ რაღაც 20.000 აშშ დოლარი ყოფილა. გენერალმა თანხის მისაცემად ჩანთა რომ გახსნა, „მევალეებს“ უამრავი ფული დაუნახავთ, მილიონი დოლარი მაინც იქნებოდა. ეტყობა ესენი სიხარბემ ისე დააბრმავა, რომ მოკლეს გენერალი და ფული გაიტაცეს. დაცვის წევრს ის ფული, რომელიღაც მიყრუებულ სოფელში თივის ზვინში დაუმალავს. ეტყობა ეს ადამიანი იმდენად შტერი იყო, რომ გამომძიებლებმა იოლად „შეაბეს“, ოღონდ გვითხარი სად დამალე ის ფული და გაგიშვებთო. მათ ფული კი ამოიღეს, მაგრამ ეს თანამედროვე „არსენა“ ციხეში გამოამწყვდიეს.

წყარო ნარკოტრაფიკთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგვიყვა. ალბათ, ყველას ახსოვს რუსლან გელაევის რაზმის კოდორის ხეობის გავლით, აფხაზეთში გადასვლის მცდელობა. რა უნდოდათ ჩეჩნებს აფხაზეთში, მაშინ სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა. ამ ამბავს ვერავინ გაიგებდა მაშინდელ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს ერთი აჟიოტაჟი რომ არ აეტეხათ, თურმე ჩეჩნები აფხაზეთის „დასალაშქრად“ მიდიოდნენ. „რეფორმატორები“ თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ჩეჩნები კახა თარგამაძემ გაატარაო და რასაც მას დიდ „ცოდვად“ უთვლიდნენ. სინამდვილეში, ჩეჩნები აფხაზეთში

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თურმე იმ ფულის ასაღებად ყოფილან გადასული, რომელიც არძინბას ნათესავმა მათ „პოსლეზე“ წამოღებულ ნარკოტიკში აღარ გადაუხადა. რა გასაკვირი იყო, თუ კახა თარგამაძეს სულაც არ ადარდებდა ჩეჩნები ამ ფულის „ასაღებად“ რომ მიდიოდნენ. გელაევი თავისი 15-20-კაციანი რაზმით ომს რომ არ დაიწყებდა, ეს ისედაც ცხადი იყო.

აფხაზებსა და ჩეჩნებს ერთმანეთში მშვენიერი ურთიერთობა რომ აქვთ და ჩვენი გულისთვის იქ საბრძოლველად რომ არ წავიდოდნენ, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდებოდა. „რეფორმატორებმა“ და მათმა სატელიტმა მედიამ ისეთი ამბავი ატეხეს, რომ ეს ამბავი ლამის საერთაშორისო სკანდალად აქციეს, ყოველ შემთხვევაში კარგი კოზირი მისცეს რუსებს ჩვენს საწინააღმდეგოდ. გელაევის რაზმს დადევნებული რუსთავი-2-ის ჟურნალისტი ისეთი სიზუსტით გადმოსცემდა მათი გადაადგილების მარშრუტს დამატებითი ინფორმაციით, ისინი საქართველოს შინაგანი ჯარების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანებით გადაადგილდებიანო, რომ რუსულ სპეცსამსახურებს ხელის განძრევაც აღარ დასჭირვებიათ, ისე იქცა ეს ჯგუფი რუსი მფრინავების სამიზნე. რატომღაც არც მაშინ და არც შემდგომ, არავის გასჩენია კითხვა, ვის თამაშს თამაშობდნენ რუსთავი-2 და მისი მფარველი პოლიტიკოსები, ან იყო თუ არა ეს სამშობლოს ღალატის ტოლფასი ქმედება.

წყაროს თქმით, ისიც ძალზე ადვილი დასამტკიცებელია, თუ როგორი ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნაცხელისუფლებას ჩეჩნებთან (ვგულისხმობთ, ტერორისტულ ორგანიზაციებს) და ამის დამადასტურებლად ბესლანის ცნობილი ტერაქტი მოჰყავს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა როგორ აღმოჩნდა ამ ტერაქტის დროს ასე ოპერატიულად ადგილზე რუსთავი-2-ის ჟურნალისტი ქალბატონი, როცა თბილისიდან ბესლანამდე 200 კილომეტრზე მეტია, ფასანაურიდან ლარსამდე კი ისეთი დანგრეული გზა იყო, მით უმეტეს ჯვრის უღელტეხილზე, რომ მარტო ამ მონაკვეთის გავლას სჭირდებოდა ლამის ორი საათი. ამას გარდა, ეს ჟურნალისტი ყაზბეგში რეგსტრირებულიც აღმოჩნდა. მაშინ რუსეთთან უკვე მოქმედებდა სავიზო რეჟიმი, თუმცა ყაზბეგის რაიონში რეგისტრირებულებს ჩრდილო კავკასიაში გადასავლელად ვიზა არ სჭირდებათ. ეს ფაქტიც ჩვენს რესპოდენტებში, რომლებიც პროფესიონალი სამართალდაცავები არიან, დიდ ეჭვს იწვევს. ე.ი. ტერაქტის დროს ჟურნალისტი უკვე ყაზბეგში იყო, საიდანაც ბესლანამდე დაახლოებით 50 კილომეტრია და სწრაფად მისვლა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. რა გამოდის, რუსთავი-2-ის ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა ეს ტერაქტი რომ მოხდებოდა და თადარიგი დაიჭირა? ისიც ხომ გასარკვევია მათ საიდან იცოდნენ ეს ყველაფერი. „თუ რაიმეს ვიგონებთ ან არასწორად ვამბობთ, მაშინ აგვიხსნას რუსთავი-2-ის აწ უკვე ყოფილმა ჟურნალისტმა ქალბატონმა ყაზბეგში ვის ოჯახში იყო ჩაწერილი და რა ახლობლობა აკავშირებს მასთან, ან რაში სჭირდებოდა თბილისის თუ რუსთავის მცხოვრებს ყაზბეგის რეგიატრაცია. იქნებ ისიც აგვიხსნას ვინმემ, რატომ ჰყავდა რუსეთის უშიშროების სამსახურს ეს ჟურნალისტი დაკავებული, რადგან უწყება რომელიც თავისი პროფესიონალიზმით მსოფლიოში პირველი თუ არა, მეორე მაინც არის, უმიზეზოდ არავის დააკავებს. მერე რომ ამბობდა ეს ჟურნალისტი, რაღაც დამალევინესო, ესეც აბსურდია, რა, ისე ვერ აალაპარაკებდნენ... რუსებისთვის ისედაც ყველაფერი ნათელი იყო და საერთაშორისო სკანდალს მოერიდნენ, რადგან ჟურნალისტი ფიგურირებდა ამ საქმეში“, აცხადებენ რესპოდენტები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ნაციონალებმა წინასწარ იცოდნენ ჩეჩნები ამ ტერაქტს რომ გეგმავდნენ, უფრო მეტიც, მათ ზუსტი დროც იცოდნენ და ეს ჟურნალისტი წინასწარ იმიტომ გააგზავნეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნარკოტრაფიკთან პანკისის ხეობის დაკავშირების ამბავი ხელოვნურად ყოფილა გაბერილი. რაც შეეხება სოფელ დუისს, იქ თურმე ყოველთვის იყიდებოდა ნარკოტიკი და ეს ნამდვილად არ ყოფილა ჩეჩენი ლტოლვილების იქ გადმოსვლით განპირობებული, მით უმეტეს, რომ მათი გადმოსლის შემდეგაც ნარკოტიკით ადგილობრივი ქისტები ვაჭრობდნენ. წყაროს თქმით, დუისში რომელ დიდ და ლამაზ სახლსაც დაინახავთ, დარწმუნებული იყავით, რომ მისი მფლობელი ნარკორეალიზატორია. პანკისის ხეობაში კარტოფილის მეტი არაფერი მოდის და ამ ტყეღრეში რა სახსრებით უნდა აეშენებინა მის პატრონს სასახლე?

მოგვიანებით პანკისის ხეობაში მაინც ჩატარდა სპეცოპერაცია, თუმცა წყაროს თქმით, სავარაუდოდ ის შეიარაღებული ხალხი წინაწარ გაფრთხილეს ამ ღონისძიების შესახებ, ურჩიეს იქაურობას გასცლოდნენ და ისინიც მოერიდნენ ქართველ სამართალდამცავებთან შეტაკებას და წავიდნენ. მერე კი დაიჭირეს 2-3 კაცი დაიჭირეს და თქვეს, სპეცოპერაცია ჩავატარეთ ამერიკელებთან და რუსებთან ერთადო. იქ მართლაც რომ ჩატარებულიყო, სპეცოპერაცია მართლა რასაც ჰქვია ის ღონისძიება, უამრავი ადამიანი დაიღუპებოდა. საკაშვილისა და მისი დამქაშების მიერ გავრცელებული ინფორმაციებიც, რომ თითქოს მაშინ პანკისში ნარკოტიკის გადამამუშავებელი მინიქარხანა მუშაობდა, მორიგი ბლეფი ყოფილა. „პანკისში საამისო ნედლეული არასდროს ყოფილა და მისი გადამუშავება იქ როგორ მოხდებოდა, ასეთი მინი ქარხნები ჩეჩნეთსა და ინგუშეთში იყო, ქისტებს იქიდან შემოჰქონდათ და ადგილზე უკეთებდნენ რეალიზაციას“, აცხადებენ ჩვენი რესპოდენტები.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(თემის გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩვენ ვცხოვრობდით მოსწავლეთა ოჯახების გაღატაკების პირობებში და ეს პროცესი დამთავრდა

საშუალო სკოლებში სახელმძღვანელების უფასოდ დარიგების ამბავმა მოსახლეობის დიდი ნაწილის სიხარული გამოიწვია. განათლების სამინისტრომ ჩათვალა, რომ სამომავლოდ პერსპექტიული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. თუმცა გაჩნდა უკმაყოფილო ადამიანთა ჯგუფი, კერძოდ გამომცემლები, რომელნიც ამ სიახლის გამო აღშფოთებულნი დარჩნენ და განათლების სამინისტროს სასამართლოთითაც კი დაემუქრნენ.

გამომცემელთაგან განსაკუთრებით აღელვებით საუბრობდა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი ქალბატონი თამარ ლებანიძე, რომელთან საუბარი და კომენტარი ვითხოვეთ, სამწუხაროდ და ჩვენდა გასაკვირად, მან უარი თქვა ამაზე. მით უმეტეს, გასაკვირი იყო ის, რომ სულ ცოტა ხნის წინ გამომცემლობა „დიოგენე“ ღიად უჩიოდა გამომცემლობა „მერიდიანს“ იმისათვის, რომ ისინი არაკანონიერად, განათლების სამინისტროსთან კორუფციული გარიგების გზით ღებულობდნენ ზოგიერთი სახელმძღვანელოს დაბეჭდვის უფლებას. კერძოდ, ისინი ბრალს სდებდნნ კოლეგებს იმაში, რომ წიგნი ჯერ არ ჰქონდათ შედგენილი და სამინისტროდან მისი დაბეჭდვის ნებართვა უკვე ჰქონდათ.

როგორც ჩანს, ასეთი კურიოზებიც ხდებოდა. **გიორგი მარგველაშვილი, განათლების მინისტრი:** თუ ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სამართალი უნდა იყოს ჩვენთვის ამოსავალი წერტილი ასეთი მტკივნეული საკითხის მოგვარების დროს. მხოლოდ 12 მილიონი ლარია საჭირო იმისათვის, რომ სასკოლო წიგნები დაიბეჭდოს და უფასოდ დაურიგდეს საჯარო სკოლის მოსწავლეებს. წიგნებს სკოლას გადასცემენ, მოსწავლე იმით ისარგებლებს და ისევ სკოლას დაუბრუნებს. იმ შემთხვევაში კი თუ მოსწავლე წიგნს გააფუჭებს, პარტიის ანაზღაურება მშობელს დაეკისრება. მე შეძრწუნებული დავრჩი იმის გამო, რომ ათასობით ბავშვი ქსეროქსზე გადაღებული წიგნებით სწავლობს. შეიძლება თუ არა კორუფციის საფრთხე კვლავ გაჩნდეს მომავალში. ეს კითხვა ჩნდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ პროცესი იქნება გამჭვირვალე, რაც ასეთ რისკებს გამორიცხავს.

ყველასათვის ცხადია, რომ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ საკითხი მოგვარებადია, მშობელთა დიდ ნაწილს აღარ მოუწევს საკვები ფულის დაზოგვა იმისათვის, რომ მისმა შვილმა ზოგადი განათლება მიიღოს სკოლაში. წარმოიდგინეთ და გადაამრავლეთ ეს 150 ლარი, რომელიც თითეულ მოსწავლეს. სჭირდებოდა, გადაამრავლეთ 9 წელიწადზე და მიხვდებით თუ რა დანაზოგი შეუნარჩუნდა ყველა მოსწავლის ოჯახს. ამის შემდეგ მელაპარაკონ ჩემი ოპონენტები მორალზე. რაიონში მაცხოვრებელი მოსწავლის მშობლებს სახლიდან გაჰქონდათ პროდუქტი, რომ შვილისათვის სახელმძღვანელოები ეყიდათ, კიდევ ესენი ლაპარაკობენ სამართლიანობაზე? მე არ მაინტერესებს ის, თუ ვის რამდენი თანხა შეხვდება, ეს არ გახლავთ მორალური დილემა, მილიონები ჩაირიცხება გამომცემლთა ანგარიშებზე და კეთილი ინებონ და ცხრა წლის განმავლობაში წიგნის ავტორები კაბალურ მდგომარეობაში რომ ჰყავდათ და ამუშავებდნენ, ახლა მისკენ ნორმალური ანაზღაურება.

მე მაქვს საკანონმდებლო და იურიდიული პროცესი, რომელშიც მართალი ვარ. ეკონომიკური თეორიები არ არსებობს ამ კონტექსტში, აქ დაცულია ადამიანის უფლებები. ჩვენ ვცხოვრობდით მოსახლეობის გაღატაკებისა და ტანჯვის პირობებში და ეს პროცესი დამთავრდა.

ეთერ კასრელიშვილი

xalxis azriT

იმ ფულით, რომელსაც ღატაკი მშობლები შვილების სახელმძღვანელოებში იხდიდნენ, გამომცემლობები სხვა ლიტერატურასაც გამოსცემდნენ, რომელიც ამ ოჯახებს ათასი წელი არ სჭირდებათ. დაბალი სოციალური ფენის მიერ გადახდილი ფულით მაღალი სოციალური ფენა ღებულობდა საკითხავ ლიტერატურას. ამას ჰქვია რეგრესული გადასახადი. პირდაპირ ვთქვათ -მდიდრები არსებობდნენ ღარიბების ხარჯზე.

მაყვალა კარდინატორის განცხადებით, ის უერთდება 19 აპრილის აქციას ქართველი ერის სახელით და მოითხოვს, მშობლიური ვაზისუბნის 25 კვარტლის, მე-6 ა კორპუსის მცხოვრებლების დედაბუდიანად დაპატიმრებას, რომლებსაც თავის ხელით დაურიგა, 10 - 10 ლარი და ისენი მაინც გაიყიდენ არჩევნებზე)))

რა გამოვიდა უგულავას საუბრიდან?... სააკაშვილისგან განსხვავებით, გამოძიებასთან ითანაშრომლებს?...მიშას ვჯობივარო???? მოსახლეობის ევაკუაციამაგას ებარა. თუ არ ვცდები! მერე?:(((((((((გორის მოსახლეობა?...მე არსად წამსვლელი არ ვიყავი, მაგრამ შტაბი ისე დატოვა, ხალხი არ გააფრთხლა!.....

კოჰაბიტაციის მზეს გაფიცებთ, „მეოცნებეებო“ ზონდერები დიდხანს უნდა გყავდეთ სახელმწიფო სტრუქტურებში? მანამ არ გაუშვებთ ხალხებში სანამ თქვენივე კაბინეტებში არ დაგიწიხლქვეშებენთ? ისე ალალი იქნება თქვენზე, ალალი.

შსს-მ 19 აპრილის აქციის დასარბევად მარნეულში ცოცხების დიდი პარტია შეიძინა

წიგნები - უფასო; მშობიარობა - უფასო; დაზღვეული - ყველა. რა უბედურებაა? ბარემ საჭმელიც უფასოდ მოგვეცით თქვე მტარვალებო!

ტრაილერი თურქული სიტყვაა და “პერედოზიროვკას” ნიშნავს

გიგი უგულავამ თქვა ივანიშვილი ომის დროს საქართველოდან გასაქცევად სარფში კორიდორს ითხოვდაო. გიგი, საყვარელო ნაციონალებიდან რამდენმა მოითხოვა საქართველოდან გასაქცევად ლარსში კორიდორი? არადა, რა უცნაურია, რუსეთს ეომებოდე და რუსეთში გარბოდე საშველად.

ძეგლების კატაობის ეპოქა დასრულდა) ეხლა დროა ძეგლების ჩანაცვლებაზე ვიზრუნოთ....არ მომწონს ქართლის დედის უტყვი გამოხედვა, ვფიქრობ, პუბლიცისტი მეგრელიშვილის ემონაციონალური გამომეტყველება ზუსტად ასახავდა 1 ოქტომბრის ტრაგიკულ შედეგებს, მოძველდენ: „კიდევაც დაიზრდებიანის“: ყმაწვილები.... .პატრიოტ მაზმანიანიათ და უფლებადამცველ ონიანით თუ ჩავანაცვლებთ და უკანაც ქალბატონ გოგორიშვილს დავუყენებთ, სიმბოლურ დატვირთვას შეიძენს მონუმენტი ერის თანამედროვე განვითარების კონცეფციის ზუსტი გამოხატულება იქნება,! აი, მიხეილის ძეგლი, რომ ერეკლეს გვერდზე უნდა დაიდგას ველისიპედზე გადამჯდარი როგორ კლავს შუბით ტრაილერს აქ, მგონი, 2 აზრი არაა..... და, რაც მთავარია, ჩემი წ. ნუგზარიკო (სიკვდილსაც დავიწყებია) თავისუფლების მოედანზე დრაკონის მაგივრად რომ წამოვაგოროთ, ვფიქრობ, ბევრად მეტი ტურისტი ეწვევა ჩვენს ქალაქს))

გამიგია, დაკითხვაზე რომ იბარებენ თანამდებობის პირს - უჯრა გამოაღოს, ტაბელური იარაღი ამოიღოს და ღირსების შენარჩუნების ამბავში, თავი მოიკლას.... ველოსიპედით თავის მოკვლის მცდელობა, ალბათ, პირველი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში...

ღრმადმორწმუნე ჩოჩელს სამარხვო ნაყინი გამოუშვია....რა მორწმუნე კაცია, პირდაპირ, ნატახტარში ჩამოსხმულ წყალს „სნო“ დაარქვა, პატრიარქის სოფლის სახელი. ცეზარ, შე შეჩვენებულო.....

ვესაუბრებით დემოკრატიული მოძრაობა — „ერთიანი საქართველოს“ სათათბიროს წევრს, ამავე პარტიის ადამიანის უფლებათა ჯგუფის ხელმძღვანელს ბესიკ ტაბატაძეს. ადამიანს, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა რეჟიმის სისასტიკე. მან სწორედ 26 მაისს დაკარგა მარცხენა თვალი. მიუხედავად ყველაფრისა, ბესიკი მხოლოდ სამართლიან სასამართლოს ელოდება.

არსებობს ინფორმაცია, რომ 19 აპრილს „ნაცმოძრაობის“ ჯალათები პროვოკაციას მოაწყობენ

— ბატონო ბესიკ, თქვენ უშუალო მონაწილე იყავით 26 მაისის მოვლენების, ამასთან ფიზიკურადაც დაზარალდით. როგორ აფასებთ დაანონსებული 19 აპრილის აქციას?

— როგორც ადამიანი, ერთს გეტყვით, რომ რაც უნდათ, ის უქნიათ და სადაც სურთ იქ შეიკრიბონ, მაგრამ რა ნამუსით და სინდისით აპირებენ იმ ადგილზე შეკრებას, სადაც რამდენჯერმე დაარბიეს ხალხი, მხოლოდ 26 მაისს ხომ არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. პირადად მე მხოლოდ თვალი დავკარგე, მაგრამ, საუბედუროდ, რუსთაველის პროსპექტზე უარესი ამბები დატრიალდა. ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, ბევრს თავპირი დაამტვრიეს. რა უნდა ელაპარაკო იმ ხალხს, რომლებმაც სისხლი გადარეცხეს და მეორე დღეს ეგრეთწოდებულმა პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა იქ საზეიმო აღლუმი ჩაატარა. გიმეორებთ, მორალური თვალსაზრისით, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ეს ადამიანები შეიკრიბონ, მით უფრო ქვეყანას აღებული კურსი შეუსწორონ. მათ, „ნაცმოძრაობამ“ თავიანთი მოღვაწეობით და ცხოვრებით დაამტკიცეს, რომ არიან ანტიეროვნულები. მათ არავითარი საერთო ნაციონალურთან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ გააჩნიათ.

— „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი ჭირია, მაგრამ მომავალ აქციაზე მისვლას ის ადამიანი სთავაზობს ხალხს, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა იმას, რაც დატრიალდა პროსპექტზე.

— ამაზე ლაპარაკი ზედმეტადაც მიმაჩნია. რა მორალური უფლება აქვს ვანო მერაბიშვილს მოუწოდოს ხალხს საპროტესტო აქციებისკენ. ეგ ადამიანი ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეა, რომლის ადგილიც განსასჯელის სკამზეა. ობიექტური და სამართლიანი სასამართლო ვანო მერაბიშვილს, იმედია, თავის ადგილს მიუჩენს, თავიანთივე რეფორმირებულ და გარემონტებულ ციხეში.

— პირადად თქვენ როგორ ფიქრობთ, მივა თუ არა ხალხი 19 აპრილის მიტინგზე?

— ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მაქვს გარკვეული ინფორმაცია, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ პარტიას ყველა რეგიონში ჰყავს აქტივისტები, ამის გარდა ხალხთან ინტენსიური ურთიერთობები ისედაც გვაქვს. რადგან დღეს ეს თემა აქტუალური გახდა. მათ 19 აპრილის გარშემო ატეხეს აჟიოტაჟი, მოსახლეობაში დადიან, ფულს არიგებენ, იმ ადამიანებს ხვდებიან, ვისთანაც ოდესმე ჰქონიათ საქმე, ანუ დავალებულებთან. შეიძლება ფულადი ვალის გარდა იყოს სხვა ვალიც. როგორც ვიცი მეგის ქარდავას ვიდეოთეკა ბევრ კადრებს მოიცავს და ვინ რით არის მათზე მიბმული და ვის რა ვალი აქვს, თავად იციან, მაგრამ უბრალო ხალხს, ვისაც რეალური წარმოდგენა შეიძლება არ ჰქონდეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ამ მასისთვის დიდ ფულსაც არიგებენ. იმედია, პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდებიან ამ ფაქტებით. აქ ჩვეულებრივ მოქრთამვის და მოსყიდვის ფაქტებთან გვაქვს საქმე. რაც მთავარია, იქ მათი ჯალათებიც იქნებიან, რომლებიც დღესაც დაუსჯელად დადიან. ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომ 19 აპრილს „ნაცმოძრაობის“ ჯალათები პროვოკაციას მოაწყობენ. ამისთვის

კი ჩვენ, საზოგადოება, უნდა ვიყოთ მზად, რომ არ მივცეთ საშუალება ქვეყანა კიდევ რაღაც ახალ დაპირისპირებაში ჩაითრიონ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელია.

— დავუბრუნდეთ იმ ტრაგიკულ 26 მაისს, თქვენი, როგორც დაზარალებულის საქმე თუ არის გამოძიებული?

— დასჯაზე რა მოგახსენოთ, ჩემთვის არაფერია ცნობილი. 27 მაისს კომპიუტერით პირადად გავუგზავნე მაშინდელ სახალხო დამცველს — ტულუშს განცხადება, სადაც დაწვრილებით მოვუყევი, თუ რა მოხდა. გარეთ გასვლა არ შემეძლო, რადგან მდარაჯობდნენ. მართალია, არ დავუპატიმრებივარ, მაგრამ ამით დიდი შეღავათიც არ მქონდა. ხუთ დღეში მივიღე პასუხი, სადაც მატყობინებდნენ, რომ ჩემი საქმე გადაეგზავნა მთავარ პროკურორს და მალე დამკითხავდა გამომძიებელი. სადღაც ორი თვის შემდეგ დამიბარეს გამომძიებელ დავით ბაინდურაშვილთან. დაკითხვა არ ყოფილა, შედგა ჩვეულებრივი საუბარი. არანაირი კონკრეტული საკითხით არ დაინტერესებულა. მხოლოდ თვალში კი არა, რვა ადგილზე მომხვდა სხეულზე ტყვია, იმის გარდა, სახეში რომ მესროლეს პირდაპირი დამიზნებით. ისიც საინტერესოა, როგორ გვექცეოდნენ პოლიციის სამმართველოში. იმის გამო, რომ ვთხოვე უკან შაკრული ხელები წინ გადმოეტანათ, რადგან თვალიდან მოდენილი სისხლი შემეჩერებინა ხუთი საათი მცემდნენ, — როგორ გავბედე თხოვნა. თუ აქციაზე ნიღბიანი ხალხი იყო, პოლიციის სამმართველოში ხომ იციან ვინ მორიგეობდა იმ ღამით. ეს მკითხა ბაინდურაშვილმა — ხომ არ იცნობთ ვინ გესროლათო! საინტერესოა — შენიღბული ადამიანი როგორ უნდა მეცნო? ამით დამთავრდა. აღარავინ შემხმიანებია. ექსპერტიზაც ჩემი ხარჯით ჩავიტარე, მაგრამ მომცეს სამი თვის დაგვიანებით, არასრულყოფილი სურათები დამალეს. ახლა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 92 ადამიანი ვითხოვთ დაკითხვას. აქედან ოთხიხუთი კაცია დაკითხული. პასუხი ცინიკური მიიღეს. თქვენ საქმეში ახალი გარემოებები ვერ აღმოვაჩინეთ და ძიებას ვერ განვაახლებთო, ხალხი არაფრის გულისთვის იყვნენ ციხეში, მეტი რა ახალი გარემოება სჭირდებათ? სამართლიანობა თუ არ აღდგება მშვიდობა არ იქნება. დაუსჯელობის სინდრომი საშიში გადამდები ბაცილაა, ამიტომ არ უნდა დაუშვას საზოგადოებამ.

— ხომ შეიძლება ვიღაცას არ ეყოს მოთმინება და რაღაც საშინელება დაატრიალოს?

— სწორედ ეგ არის საშიში. მართალია, მოთმინების უნარი გვაქვს, მაგრამ ფიცხები ვართ. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანია გამწარებული და საშიში ეგ არის, ქუჩაში არ გადავიდეს ანგარიშსწორება. ამიტომაა აუცილებელი კანონიერების, სამართლის აღდგენა.

გია ბურდული
551 71 27 07

ინტერვიუ ფილოლოგ
თემურ ჟორიჟესთან

ვადამდელი არჩევნები იმისთვისაც არის საჭირო, რომ „მოშინაურებულ ყვავებს“ ერთხელ და სამუდამოდ, მიეჩინოთ თავისი ადგილი

— ბატონო თემურ, სანამ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, მანამდეც განაცხადა და ახლაც გაიმეორა, რომ მალე გადავა საზოგადოებრივ ასპარეზზე და პოლიტიკას დატოვებს. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ასეთი განცხადება ბატონმა ივანიშვილმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში გააკეთა, მაშინ ის ამბობდა, რომ წელიწადნახევრის შემდეგ ხელისუფლებიდან წავიდოდა და თავისივე მთავრობის ოპოზიციონერი გახდებოდა, ამასთანავე, ხელს შეუწყობდა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს, რაც აუცილებელია ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის. უნდა ითქვას, რომ, თავდაპირველად, ასეთ პერსპექტივას ხალხი მოწონებით შეხვდა. ჩვენში ხომ, ტრადიციულად, ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები „აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე“ ცდილობენ პოლიტიკაში დარჩენას... ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამ „მავნე ჩვევას“ შეუტია და საზოგადოებას უთხრა, რომ ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ. ამგვარმა პოზიციამ კიდევ უფრო გამოკვეთა მისი მორალური უპირატესობა, რაც, საბოლოოდ, კოალიციის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მოგვიანებით, პრემიერის გადაწყვეტილებამ მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა: — ხელისუფლებაში მანამდე დავრჩები, სანამ ქვეყანას ფეხზე არ დავაყენებო. ასეთი იყო ჟურნალისტების წინაშე გამოთქმული მისი ახალი განცხადების შინაარსი. ხალხი ამ გადაწყვეტილებასაც მოწონებით შეხვდა. ეს გასაგებიცაა: საზოგადოება ხომ მთელ თავის იმედებს სწორედ ბიძინა ივანიშვილზე ამყარებს და არა მის რომელიმე მინისტრზე ან მოთამაშე პარლამენტზე. ვფიქრობ, პრემიერმა ბოლომდე უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. მართალია, ეს უაღრესად მძიმე და ძნელად სატარებელი ტვირთია, მაგრამ, ერთი მითხარით, ადვილი რა არის ამ წუთისოფელში?

— როგორ ფიქრობთ, ახლა რატომ დაუბრუნდა პრემიერი თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებას ხელისუფლებიდან ნაადრევად წასვლის შესახებ?

— ДАБЕЖИТЕБИТ АРАФРІІС ТІКМА АР ШЕМІКЛІА, МАГРАМ, САФІКРЕБЕЛІА, РОМ БАТОНІ ІВАНІШВІЛІ ГАРКВЕУЛ ІМЕДГАЦРУЕБАС ГАНІЦДІС.

მისთვის, ალბათ, შოკისმომგვრელი იქნებოდა იმ ფარული აუდიოჩანაწერების მოსმენა, რომელიც არჩევნებამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის მიერ. ამ დროისთვის ივანიშვილს უკვე არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ის სიიდან ვერ ამოაგდებდა კოალიციაში მყოფ დემორალიზებულ ფსევდოპოლიტიკოსებს, რომლებმაც ისიც კი იკადრეს, რომ თავიანთ კეთილისმყოფელს პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს. ახლა პრემიერი იძულებულია შეეგუოს თავის გუნდში მათ ყოფნას, მაგრამ შეუძლებელია მას არ ესმოდეს, თუ რა ხიფათს წარმოადგენენ მსგავსი ადამიანები ქვეყნისთვის. მათი ნდობა არ შეიძლება! მომავალი არჩევნები ამას ნამდვილად დაადასტურებს; ვერც ერთი მათგანი ვერასოდეს დაბრუნდება პოლიტიკაში, მეტიც: ადამიანური თვალსაზრისითაც მათ პრობლემები შეექმნებათ საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

— თქვენ მომავალი არჩევნები ახსენეთ. ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გულისხმობთ?

— დიახ! სწორედ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ. ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია პრემიერის ირიბი მობოდიშება იმის გამო, რომ ის დღესაც კი ბოლომდე არ იცნობს თავისი გუნდის წევრებს, რომ ამ გუნდში ჭარბადაა წარმოდგენილი აქტიური მედროვეები და ა.შ. ვფიქრობ, ახლო მომავალში ასეთი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იქნება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში უთუოდ დადგება სახელისუფლებო გუნდის „გაკეთილშობილების“ პრობლემა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ

„ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ღრმა ანაქრონიზმს წარმოადგენს და მისი ადგილი პარლამენტში არასოდეს იქნება.

სულ მალე ეს გუნდი დაიშლება და „მოძრაობა“ გაქრება. სააკაშვილს კი მამაზეციერიც ვერ დააბრუნებს ხელისუფლებაში. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ალბათ, რეალობასთან მოახლოებულ კონტურებს გამოკვეთს. ქართველ ხალხს უნდა მიეცეს შანსი, რომ 1990 წლის შემდეგ მეორედ ჩაატაროს სამართლიანი, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები. ამას კი სერიოზული მომზადება სჭირდება. აქ მხოლოდ პარტიებს არ ვგულისხმობ. მე ვსაუბრობ ხალხზე, საზოგადოებაზე, რომელიც დღეს უმძიმესი სოციალური წნეხის ქვეშაა მოქცეული და ისიც საკითხავია, — რამდენად შესწევს მას საღი არჩევანის უნარი... მოგეხსენებათ, არჩევნები მხოლოდ თავისუფალი ადამიანისთვისაა მოგონილი. თავისუფლება კი ჩვენი ყოფის უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს და თუ რომელიმე მათგანს კრიზისი დაეუფლება, ჩვენი თავისუფლებაც შესამჩნევად შეიზღუდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ შეზღუდული თავისუფლების საზოგადოება ვართ. სიღატაკით, უმუშევრობით და უპერსპექტივობის განცდით დაღდასმული ადამიანი სოციალური დეპრესიის ტყვე ხდება. ტყვეობა კი მონობის ტოლფასი მოვლენაა. ამიტომაც მაფიქრებს არჩევნების ბედი. გახსოვთ? — „ხელი ვითა იქმს ბრძნობასაო“, — ამბობს რუსთველის პერსონაჟი. არჩევნებსაც „ბრძნობა“ (სიბრძნე) სჭირდება, რომელიც სულაც არ გახლავთ ლუკმა-პურისთვის ხელგაწვდილთა თანამგზავრი. ამდენად, თავისუფალი არჩევნების ჩატარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ჩვენი საზოგადოებისთვის „ადამიანური სახის“ დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ.

— „ადამიანური სახე“ ახლა არ აქვს საზოგადოებას?

— ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვიცხოვრეთ უსამართლო და ანტიჰუმანურ სახელმწიფოში. ეს უკანასკნელი ხშირად წარმოგვიდგებოდა, როგორც გადაულახავი დაბრკოლება, წინააღმდეგობა, ძალადობა, სიცრუე და ცინიზმი... სახელმწიფო, რომელიც მმართველი ჯგუფისთვის ბასრ იარაღს წარმოადგენდა ადამიანთა დასათრგუნად. ყველგან შიშს თესავდა, რაც თავისთავად იწვევდა ადამიანურ ღირსებათა დაკნინებას, მათი სამოქმედო არეალის ყოველმხრივ შევიწროებას და დამდაბლებას. ეს იყო „სახელმწიფო — მონსტრი“, ხელისუფლებასთან შეზრდილი მავნე რუდიმენტი. ადამიანები ასეთ სახელმწიფოებს კი არ „აშენებენ“, არამედ ანგრევენ და ჩვენც ყოველი ღონით უნდა შევუდგეთ ჰუმანიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს შენებას. ეს დიდი და როგორც იტყვიან, საშვილიშვილო საქმეა. ასეთი საქმისთვის ნამდვილად ღირს თავის გადადება. ჩვენ ამ პრინციპული იდეალის ხორცშესხმა უნდა დავისახოთ მიზნად და ამავე მიზანმა უნდა გაგვაერთიანოს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რისთვის ცხოვრობენ ამქვეყნად, რას სწირავენ სიცოცხლის ძვირფას წლებს და რას მიიღებენ ამის სანაცვლოდ — კვლავ დიქტატურას თუ ერთმანეთზე მზრუნველობით გამსჭვალულ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას.

— დღეს ხელისუფლება აქეთკენ მიდის?

— ხელისუფლების მოქმედება დღეს ძალზე წააგავს გორბაჩოვისებური „პერესტროიკის“ დასაწყისს: აი, შეხედეთ, — პოლიტპატიმრები გარეთ არიან, სიტყვის თავისუფლება დაშვებულია, „ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, რაზედაც გინდათ და როგორაც გინდათ“... მაგრამ პასუხს ნუ ელით, „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი...“ შიგადაშიგ (ისიც მხოლოდ ნაცმოძრაობის აბეზარი ლიდერების გასაგონად) ტელეეკრანებზე ორუელის „მოშინაურებული ყვავივით“ გაიელვებს ხოლმე ერთადერთი ყოვლისმცოდნე მოპასუხე, რომლის იერიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ „ყველაფერი არის ძლიერი კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“...

ვადამდელი არჩევნები იმისთვისაც არის საჭირო, რომ „მოშინაურებულ ყვავებს“ ერთხელ და სამუდამოდ, მიეჩინოთ თავისი ადგილი.

— მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იტყვით?

— მართალი გითხრათ, დღემდე ვერ გამიგია, ვის სჭირდება, „პრეზიდენტი — არარაობა“?

ასეთი უუფლებო მოხელე რისი მაქნისი იქნება? გამოდის, რომ ის მუდამ გულის ფანცქალით უნდა ელოდებოდეს სახელისუფლებო კრიზისს, რათა თავისი არსებობა შეახსენოს საზოგადოებას... თუმცა, ჩემი აზრით, პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს და მისი უფლებამოსილების შეზღუდვა კომპენსირებული უნდა იქნას ისევე მორალური ავტორიტეტით. დიახ, პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე აუცილებელ პირობას: ის ბრძენი თუ არა, სიბრძნესთან მიახლოებული, უმწიკვლო და ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების მქონე ჰუმანისტი უნდა იყოს. თავისი ფართო მორალურ-ინტელექტუალური რესურსების წყალობით, მას მუდამ ექნება ხალხთან პირდაპირი დიალოგის საშუალება, რაც გარკვეულად შეაკავებს მთავრობის ჩინოვნიკთა ამბიციურობას. საქართველოს პრეზიდენტი ისეთივე „მოსამართლე და მოწყალე“ უნდა იყოს, როგორც მოჭირნახულე მამულიშვილს შეჰფერის, ამასთანავე, მისი უპირველესი საზრუნავი საქართველოს ერთიანობა და ქართველი ხალხის ეროვნულ-ისტორიული ღირებულებები უნდა იყოს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

პოლ გობლი (ამერიკელი პოლიტოლოგი): საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც ცუდი სამეზობლო ხვდა წილად. იგი იძულებულია შეძლებისდაგვარად საუკეთესო ურთიერთობები ჩამოაყალიბოს მეზობლებთან. ჩვენ აღარ ვიმყოფებით ცივი ომის რეჟიმში, როცა შეგეძლო ყოფილიყავი ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ქვეყანა, რომელსაც ამერიკისა და ევროპის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც სურდა, რადგან იგი დასავლური ალიანსის ნაწილი იყო.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაუშვა ისაა, რომ მან ვერ გაითვალისწინა, თუ რამდენად შეიცვალა მსოფლიო 1991 წლის შემდეგ და ეგონა, რომ შეერთებული შტატები მხარს დაუჭერდა საქართველოს ისე, როგორც მან დასავლეთ გერმანიას დაუჭირა. სამყარო, რომელიც 1989-91 წლებში არსებობდა, აღარ არსებობს. ქვეყანამ, რომლიც ისეთი დიდი სახელმწიფოს მეზობელია, როგორიც რუსეთის ფედერაციაა, რაღაც გამოსავალი უნდა გამონახოს. ეს არ ნიშნავს, რომ ურთიერთობები ყოველთვის თბილი და სასიამოვნო იქნება, მაგრამ შეცდომაა ფიქრი, რომ საქართველო მოიგებს რუსეთთან მუდმივი დაპირისპირებით. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს ღია მტარდ აღიქვამს, იგი არამარტო გამონახავს ინსტრუმენტებს საქართველოს საზიანოდ, არამედ დასავლეთიც არ გამოექანება ცხენზე ამხედრებული საქართველსო საშველად.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლსი ომის შემდეგ კარგად გაითავისა, რომ დასავლეთი არ მიეხმარებოდა მას, მიუხედავად იმისა, თუ რას მოიმოქმედებდა იგი. 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის, რუსეთის შემოჭრისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თავიდან არიდება შესაძლებელი იყო. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო რუსეთის სატელიტად უნდა იქცეს. მნიშვნელოვანია სწორი ბალანსი და დასავლეთთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ასეთია ყველა პატარა ქვეყნის ბედი, რომელსაც მეზობლად ასეთი დიდი ქვეყანა ჰყავს. შეუძლებელია დიდი სახელმწიფოს ინტერესების უგულვებელყოფა, ისევე როგორც მისი მტრად გამოცხადება. ასეთი მიდგომით შეიძლება კარგი პრესა მოიპოვო შეერთებულ შტატებში ან ბრიტანეთში, თუმცა პოლიტიკურად ეს არაფრის მომცემია.

დიდი სურვილი მაქვს ევროკავშირმა და აშშ-მა საქართველო უფრო დაიახლოვონ, ვიდრე ამას ადრე აკეთებდნენ. მაგრამ ეს არ მოხდება, თუ საქართველო რუსეთის ფედერაციას დაუპირისპირდება. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა საქართველო თავს წარმოაჩენს დახვეწილ, პროგრესულ ქვეყნად, რომელსაც ესმის რომ სამყარო 1989 წლის შემდეგ შეიცვალა. რუსეთის მთავრობასთან კონსტრუქციული ურთიერთობები უფრო მეტ მხარდაჭერას მოუპოვებს საქართველოს როგორც ვაშინგტონში, ასე ბრიუსელში.

მიმაჩნია, რომ აგვისტოს ომის შედეგების დაძლევა რთული პროცესი იქნება. რუსეთი მაქსიმალურად ეცდება, არ შეასუსტოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის თუ ავტონომიის მხარდაჭერა. მაგრამ მოსკოვი ძალიან სახიფათო თამაშს თამაშობს. კრემლმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ მზად არის, არად ჩააგდოს საერთაშორისო კანონები. იმ შემთხვევაში, თუ დასავლური ალიანსი ხვალვე აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და ამ ტერიტორიაზე ნატოს ოცდახუთიევ საელჩოს განათავსებს, ამით ყველაზე მეტად რუსეთი წააგებს, ვინაიდან მოსკოვი უმალვე დაკარგავს კონტროლს სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მან ეს კარგად იცის.

მოსკოვში საკმაოდ ბევრს მიაჩნია, რომ რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში ზღვარს გადააბიჯა და ამდენად არსებობს გზა, მართალია, ძალიან რთული, მაგრამ რომელიც 2008 წლის შედეგების დაძლევას შესაძლებელს გახდის. ჩემი აზრით, ამის შანსი სამხრეთ ოსეთში უფროა, ვიდრე აფხაზეთში, რადგან სამხრეთ ოსეთი ბევრად უსუსურია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვიდრე აფხაზეთი. იგი საზღვაო ზოლზეა და საქართველოს დიდი შრომა ელის იმის დასაბრუნებლად, რაც საერთაშორისო აღიარებით მას ეკუთვნის. საქართველომ უნდა გააგრძელოს ამ მიმართულებით ძალისხმევა და ზურგი არ უნდა აქციოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას. მას ამ საკითხზე პრინციპული პოზიცია უნდა ჰქონდეს. ვთვლი, რომ ეს ერთადერთი სასაუბრო თემა არ უნდა იყოს რუსეთს და საქრთველოს შორის. ჩემის აზრით, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვსა და თბილისს შორის უფრო ღრმა და ფართო ურთიერთობები იქნება.

ოფიციალური თბილისის მიდგომებს 2008 წლის მოვლენების დროს

და მის შემდეგაც ნაკლებად მივესალმებოდი. საქართველოს პრეზიდენტის აზრით რუსეთის უკანდასახევად საუკეთესო გზა შეურიგებლობა იყო. მართალია, ხანდახან ეს მექანიზმი მუშაობს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში, ჩვენ აღარ ვართ ცივი ომით დანაწევრებულ სამყაროში, როდესაც შესაძლებელი იყო წინა ფრონტზე მყოფი შეურიგებელი და აგრესიული სახელმწიფო ყოფილიყავი. და მეორეც, შეერთებული შტატები და ევროკავშირი მეტადაა დაინტერესებული მოსკოვთან ურთიერთობებით, ვიდრე თბილისთან ურთიერთობით. შეიძლება ეს ჩვენს სურვილებს არ ემთხვეოდეს, მაგრამ რეალობაა. რაც უფრო მეტად დაამტკიცებს საქართველო წესიერებას, მით მეტი შანსი ექნება მოიპოვის მხარდაჭერა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. საქართველო თავის გაბრაზებას გამოხატავს, ამ ემოციას მეც ვემხრობი, თუმცა იმავდროულად მხარდაჭრა ვაშინგტონის და ბრიუსელის მხრიდან უფრო მეტად შესუსტდება, თუ საერთაშორისო ასპარეზზე ეს საქართველოსთვის ერთადერთი სათქმელი იქნება.

მოხარული ვიქნები, თუ საქართველო დასავლური ალიანსის წევრი გახდება, ევროკავშირში გაწევრიანდება, მაგრამ ვშიშობ, რომ ქართველები ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს ამ ორგანიზაციის წევრობა. ვთვლი, რომ საქართველო უნდა იყოს ნატოს წევრი და ეს კონგრესის წინაშეც ღიად მაქვს დაფიქსირებული. სიამოვნებით ვიხილავდი მას ევროკავშირშიც. თუმცა ვთვლი, რომ ევროკავშირის წევრობა გაცილებით რთული, გამოწვევაა. ევროკავშირის წევრობა მოითხოვს კანონების, მიდგომების და ქცევის ფუნდამენტური ნაწილის რევიზიას. ევროკავშირში გაწევრიანება ბევრად რთულია, ვიდრე ნატოში შესვლა. ქართველებმა უნდა იფიქრონ იმ ნაბიჯებზე, რომელიც მათ ევროკავშირში შესვლას შესაძლებელს გახდის. ევროკავშირმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ერთ-ერთი საფასური, რისი გადახდაც საქართველოს მოუწევს, მეზობლებთან ურთიერობის დარეგულირებაა. ევროკავშირი გაგებით ეკიდება შემთხვევებს, როცა მეზობელი კატეგორიული და შეურიგებელია, თუმცა ქვეყანამ უნდა აჩვენოს მცდელობა ამ პრობლემების დასაძლევად. ამის შესანიშნავი მაგალითია ესტონეთი, რომელიც შევიდა ევროკავშირში, რადგან მან აჩვენა მზაობა ეთანამშრომლა რუსეთთან მაშინაც კი, როცა რუსეთს მასთან თანამშრომლობის სურვილი არ ჰქონდა.

რუსეთის მთავრობა საკუთარი თავის ასოცირებას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მოსკოვის საპატრიარქოსთან ახდენს. საქართველო, რომელიც ასევე მართლმადიდებელი ქვეყანაა, ერთის მხრივ, მისი მოკავშირეა. რუსეთი მართლმადიდებლობის გავრცელებითაა დაინტერესებული, ამ გზით მეტი გავლენის მოპოვებას ცდილობს იმ ვითარებაში, როცა მას მუსლიმური ჯგუფებიდან საფრთხეები ემუქრება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასე ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონში. შესაბამისად, რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოს სიძლიერით, რაც იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ შეეცდება საკუთარი თამაშის თამაშს. თუმცა საქართველოსთვის ესეც ერთ-ერთი რესურსია. რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავაკასიასთან მიმართებაში გაცილებით დიდია, ვიდრე მხოლოდ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონტროლი. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა კომენტატორმა აღნიშნა: რუსეთისთვის სამხრეთი ინსტრუმენტია, საქართველო გზა, ხოლო აზერბაიჯანი - პრიზი. რუსეთი ცდილობს, კონტროლი დაამყაროს აზერბაიჯანის მთავრობაზე. ეს იმიტომ, რომ აზერბაიჯანის სამხრეთით ირანისკენ იხსნება გზა. ეს კი ერთ-ერთი გზაა სპარსეთის ყურეზე გასასვლელად, რაც რუსეთის ისტორიული სურვილია. ამ შემთხვევაში საქართველო ამ მიზნების მისაღწევი გზაა. რუსეთს კარგად ესმის, რომ სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ სომხეთზე დაყრდნობა ვერ გაზრდის გავლენას აზერბაიჯანში, თუ საქართველოსთან არ ექნებათ პოზიტიური ურთიერთობა. გამოდის, საქართველოს აქვს რესურსი, რომლის მეშვეობითაც შეუძლია რუსეთს ჩაუკეტოს გზა აზერბაიჯანისკენ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რომ ვიყო, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრისას გაცნობიერებული მექმნებოდა, რომ მას ისევე ვჭირდები, როგორც მე შეიძლება მჭირდებოდეს. ასეთ სიტუაციაში მრავალი ვარიანტი არსებობს, პირველ რიგში ეს კულტურული თემებია.

რუსეთს საქართველო სჭირდება აზერბაიჯანზე გასასვლელად, რადგან სომხეთი მას ბაქომდე ვერ მიიყვანს, ყარაბახის პრობლემა გამორიცხავს ამას. მაგრამ საქართველოს აქვს ის, რაც რუსეთს სჭირდება და ამდენად თავისი მოთხოვნების წაყენება შეუძლია და ეს იმაზე დიდი რესურსია, ვიდრე ეს ქართველებს ჰგონიათ.

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, ჩვენ დაგვავიწყდა, რა რეალობაა სამხრეთ კავკასიაში. გადავინაცვლოთ ისტორიულ წარსულში და გავიხსენოთ, რომ ვერც მეფის რუსეთი და ვერც საბჭოთა კავშირი ვერ ახერხებდა ჩრდილოეთ კავკასიაში კონტროლის მოპოვებას სამხრეთ კავკასიის კონტროლის გარეშე. შესაბამისად, რუსეთს აქვს ინტერესი, ჰყავდეს სამი ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის პრიორიტეტული საქართველო და აზერბაიჯანია. რუსეთი იმედოვნებს ჩრდილოეთ კავკასიის შენარჩუნებას, თუმცა ჩემი აზრით, იგი ამას ვერ მოახერხებს და ამის მას ძალიან ეშინია. აქედან გამომდინარე, საქართველოს შსეუძლია შესთავაზოს რუსეთს დახმარება იმის სანაცვლოდ, რაც მას სჭირდება.

აფხაზები თურქები არარიან, აფხაზებს საკუთარი ეროვნულობა აქვთ, რაც ძალზე ღრმა საკითხია. ისლამის ანალიზის დროს რუსები ამერიკელებზე მეტად პრიმიტიულები არიან. რუსეთი ევრასოდეს გააკონტროლებდა აფხაზეთს, აფხაზებმა რუსეთის მანიპულირება მოახდინეს. ამას კი საქართველოსთვის შეიძლება ორი შედეგი ჰქონდეს. პირველი ის, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად რუსეთმა შეიძლება აფხაზეთის საქართველოსთვის მიყიდვა გადაწყვიტოს. რუსეთის ინტერსში არ შედის აფხაზეთის სამუდამო მხარდაჭერა. მოსალოდნელია, რომ უახლოეს 5 წელიწადში რუსეთმა აფხაზეთში დიდი საშიშროება დაინახოს, რომელიც მას შავი ზღვისგან დაუშორებს. რაც თავის მხრივ რუსეთს უფრო მეტ კონტროლს დაუკარგავენებს უფრო დიდ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში. ამ შემთხვევაში, რუსეთი მოხარული იქნება, საქართველომ კვლავაც გააკონტროლოს აფხაზეთი.

და მეორე, აფხაზები ძალიან მარტივად უგულებელყოფენ რუსეთის ინტერესებს, არ იქცევიან ისე, როგორც რუსეთის ინსტრუმენტი უნდა იქცეოდეს. რუსეთს სურს აფხაზეთში სხვა მთავრობა იყოს. ქართველებს უნდა ესმოდეთ, რომ აფხაზეთის მთავრობა არ არის რუსეთის მთავრობის ფილიალი, როგორც სამხრეთ ოსეთშია.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ტერიტორიების დასაბრუნებლად თავისი პოლიტიკა დახვეწილად გაატაროს და ამით გააძლიეროს თავისი სახელმწიფოებრიობა. ქართველებს უნდა ესმოდეთ, რომ აფხაზეთის მთავრობა უბრალოდ რუსეთის აგენტი არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ამ ფუნქციას ხანდახან არ ასრულებენ, მაგრამ აქ საქმე მარტივად არ არის, და საქართველომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ქართულ მედიაში არსებობს ტენდენცია, თითქოს, რასაც ამბობს რუსეთი, იგივეს ფიქრობენ სოხუმშიც. ეს ასე არ არის. ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ ეთნიკური რუსების მიერ ტერიტორიების დატოვებით, ამის მიზეზი არც თურქეთის გავლენაა და არც მუსლიმი მოსახლეობის ზრდა, აფხაზებს აქვთ თავიანთი ეროვნულობა, რაც საერთოდ ეწინააღმდეგება რუსეთისას. ამიტომაც ვამბობ, რომ ერთ დღეს საქართველოს შეუძლია რუსეთს უთხრას, რომ თუკი ისინი გააგრძელებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას, ისიც აღიარებს მის დამოუკიდებლობას და ევროპულ თანამეგობრობასაც სთხოვს ამის გაკეთებას. თუ ეს მოხდება, გაოგნდებით, რადმენად სწრაფად შეიცვლება რუსეთის დამოკიდებულება ამ საიკითხთან მიმართებაში. დასავლეთის მიერ აფხაზეთის აღიარება უსიამოვნო იქნება საქართველოსთვის, მაგრამ გაცილებით უსიამოვნო იქნება რუსეთისთვის. ეს არ ნიშნავს, რო საქართველო ასე უნდა მოიქცეს, თუმცა ეს ფაქტი, რომ საქართველოს ამის გაკეთება შეუძლია პროფკავშირების პრინციპს მაგონებს. პროფკავშირი ყველაზე ძლიერი მაშინაა, როცა გაფიცვით იმუქრება და არა მაშინ, როცა რეალურად იფიცება.

ქართველები ძალიან დახვეწილები უნდა იყვნენ, მაგრამ უნდა აცნობიერებდნენ, რა რესურსები აქვთ მათ. ვთვლი, რომ საქართველომ უნდა დაძლიოს პარანოია, რომელიც მას სტანჯავს. მახსოვს ვესაუბრებოდი ესტონეთის პრეზიდენტს ლენარ მერის, მე მას სულ ვეუბნებოდი, რომ არ უნდა ჩაციკლულიყო რუსეთზე. ის კი მპასუხობდა, რომ ჩემთვის ამის თქმა ძალიან ადვილი, რადგან ჩემს ქვეყანასა და რუსეთს შორის ატლანტიკის ოკეანეა, ხოლო, ესტონეთსა და რუსეთს შორის სიტუაცია ბევრად უფრო რთულად არისო. ბალტიისპირეთის ქვეყნები დაიხვეწნენ და გაიაზრეს, რომ ყველა კოზირი რუსეთის ხელთ არ არის. საკმაოდ სახიფათო სიატუაციაში ხართ, მაგრამ საქართველოს აქვს რეალური რესურსები, რომლის გამოყენებაც შეუძლია. ეს არა მარტო მეტ თავდაჯერებულობას შეჰმატებს საქართველოს, არამედ მომავალში უფრო და უფრო შეძლებს იმის მიღწევას, რაც მას სურს. რუსები არც თუ კარგ ფორმაში არიან მსოფლიოს ამ ნაწილშიც კი. მართალია, მათი ტანკების რაოდენობა თქვენსას აღემატება, მაგრამ დღეს ძალაუფლება ამით არ განისაზღვრება. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება შემდეგ განცხადებებს გააკეთებს:

1) საქართველო ერთგული რჩება მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილის, ეს ქართული ტერიტორიებია და მათთან მიმართებაში არაფერი შეცვლილა და რომ საქართველოს სურს რუსეთთან კარგი ურთიერთობა, თუმცა ამისთვის რუსეთმა უნდა შეიცვალოს თავისი პოზიციები რიგ საკითხებთან მიმართებაში.

2) საქართველო განაგრძობს თავის კურს ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ. საქართველოს ესმის, რომ ევროკავშირში და ნატოში უფრო მალე მოხვდება, თუ მას რუსეთთან თანამშრომლობის ურთიერთობა ექნება და არა დაპირისპირება.

3) საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა 2500 წელს ითვლის და არ არსებობს მიზეზი, საქართველო დამოუკიდებელი კიდევ 2500 წელი არ იყოს.

არ გეგონოთ, რომ 2008 წელს განცდილი მარცხი დასასრულის დასაწყისია. საქართველოს ისტორიაში უფრო რთული პერიოდებიც ყოფილა. თუ შევხედავთ სად იყო საქართველო 1980 წელს და სადაა ახლა, ნათალდ ჩანს, რომ წარმატების გზაზეა. თუმცა ამაზე შეჩერება არ შეიძლება, როცა პატარა ქვეყანა ხარ და თანაც ცუდ სამეზობლოში. 2008 წლის აგვისტოს მიუხედავად საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და ქართველები ამით უნდა ამაყობდნენ. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველოს ამ ათწლეულში ნატოსა და ევროკავშირის წევრობის ყველაზე დიდი შანსი აქვს.

„TV-9“

ბოსელს აქვს ჭიშკარი და სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს?

გოდებს მიწა ქართული...

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მიძნელდება ერთ-ერთი უღირსი, ქვეყნის გამყიდველი კაცის ხსენება, რომელსაც შევარდნაძეს ეძახიან, მაგრამ იძულებული ვარ მოვაგონო მკითხველს მისი, ვფიქრობ, ერთადერთი მართლად ნათქვამი სიტყვები. მოვა დრო და მე მოგენატრებითო. საუბედუროდ, მოძალადე, ქვეყნისა და ერის მოძულე არაქართველმა, დღეს უკვე თვითმარქვია პრეზიდენტმა, რომელსაც არ გააჩნია არც კონსტიტუციური, მით უმეტეს, არც მორალური უფლება იჯდეს იმ წყეულ სავარძელში, გაამართლა ზემოთ ნათქვამი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ამ უბედურ ქვეყანაში გაჩნდა ცნება –„ქართული ოცნება“. ადამიანებში იმედმა დაისადგურა. მეოცნებე არ ვარ, მაგრამ მხარდამჭერი ვიყავი და ვარ დღესაც მისი.

ბ-ნო ბიძინა! სოხუმიდან გახლავართ. მთელი ჩემი დიდი ოჯახი აფხაზეთის უთანასწორო, უსამართლო ომს შეეწირა. დღეს სრულიად მარტოხელას და რისკავადმყოფად ქცეულს ერთი წუთითაც არ მიფიქრია: აი მოვა ბიძინა და მეც რაღაცა მეშველება, შავი პურის მაგივრად თეთრს შევჭამ-თქო. იმაზე კი ნამდვილად ვოცნებობდი. მოვა იგი, ქვეყნის მოყვარული და ერის ჭირისუფალი და ჩემს უბედურ, ტანჯულ ქვეყანას ეშველება, თავის თავს იპოვის და ღირსებას აღგვიდგენს ადრინდელს-თქო. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, – შველაში, პირველ რიგში, ვგულისხმობდი, რომ, ტაქტიკურად და ეტაპობრივად, მაგრამ სასწრაფოდ დაიწყებოდა ამ ერთი მტკაველი, ნაგვემი ქვეყნის საოცარი სისწრაფით ათასნაირი ჯურის-სარეველა, საიდან და საიდან შემოხეტებულთაგან გაწმენდა. ღმერთი არა გწამთ? ვერ იტევს ქვეყანა ამდენს. ქვეყანა, რომლის მკვიდრნი ვინ იცის სად, რომელ კუთხეში ეწამებიან ლუკმა პურის საშოვნელად, შელახული თავმოყვარეობის ფასად... დავდივარ თბილისის ქუჩებში და მხარი ვერ ამიქცევია ხან ჩინელის, ხან ზანგის, ხან ინდიელის და ყველაზე უკეთესი ირანელთათვის, რომელთა წინაპრებიც ჩემს წინაპრებს მიწას ეცილებოდნენ. ანგრევდნენ, აჩანაგებდნენ, წვავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ. გუშინ აღმაშენებელზე მათ დიდ ჯგუფს გადავეყარე, რომელსაც რაღაც თათბირის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მოთათბირეთ თავკაცობდა ას წლამდე მიღწეული ჩალმოსანი დიაცი. ქალი, რომლის წინაპარი ქალები იყვნენ დედები ჩვენი ამომგდები მოძალადეებისა. ეს გადაყრუებული მოხუცი მაინც რამ ჩამოაყვანინათ, ნეტა? იქნება იმ ქვეყნის ნახვა სურდა, რომელსაც მისი ქვეყნის ურდოები საუკუნეობით ცოფიანივით ესეოდნენ, ერთ ქართველზე 10-15, ზოგჯერ მეტიც კი მოდიოდნენ და მაინც ვერ სძლიეს, ვერ მოსპეს.

ყურები დღესაც ფიზიკურ ტკივილს გრძნობენ, (სულიერებისთვის სიტყვა არა მაქვს...) რადგან ცხადად ჩამესმის პასუხი კითხვაზე, კახეთში როგორ აღმოჩნდიო და, კომპიუტერში ვნახე კახეთში მიწები იაფად იყიდებაო. ჩამოვედი. მომეწონა აქაურობა და ვიყიდეო. ხედავთ? თურმე ნუ იტყვით და, მოსწონებია კახეთი და მისი მიწა. ის მიწა, რომელიც კახელის და ე.ი. სრულიად საქართველოს მარჩენალია, მაგრამ ის კახელი იმ კაპიკებს მალევე გახარჯავს გაჭირვებაში, ქართული მიწა კი ინდიელს რომ დარჩება? ის ხომ მის საკუთარ სახლ-კარში შვილებს და შვილიშვილებსაც ჩამოასახლებს. ახლა ჩინელები? კახეთში და მთელ იმ რეგიონში პატარა კენჭიც რომ ისროლო, ჩინელს მოხვდება. კალიასავით მოედვნენ იქაურობას და აბა, რომელ ქვეყანაში ნასროლი კენჭი არა და, ქვაც კი მოხვდება ქართველს? ნუთუ ყოველივე ეს ნორმალურად აღსაქმელია? ამაზე დიდი უბედურება პირადად ჩემთვის არ მეგურება, არც გულით ქართველისთვის, რადგან თუ ასე გაგრძელდა, არადა, ასეთი პირი უჩანს, გადავშენდებით რადგან შემომსვლელთა ნაკადი არ წყდება, პირიქით, ყველაფერთან ერთად ქ-ნი მინისტრი ხან აფხაზებს მიუბოძებს დამოუკიდებლობას, ხან ბაქოში ახალ ველოსიპედს იგონებს, ხან რას და ხან რას (ვფიქრობ, აჩკები აქვს ვარდისფერი). მართალია, ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობა თქვენი მოსვლის შემდეგ არ დაწყებულა, და რა გარკვევა სჭირდება იმას, ვერაგმა სააკოვმა რომ გააუბედურა ქვეყანა (რომელსაც ხელი არავინ შეუშალა), მაგრამ ისიც ფაქტია, ახალ ხელისუფლებას მოსვლის პირველსავე დღეს უნდა დაეწყო ბრძოლა ქართველის ქართულ მიწაზე დასამკვიდრებლად და ჩამოსულთა საკუთარ ქვეყანაში გასამგზავრებლად. არავინ მითხრას, რომ ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ეს ჭეშმარიტებაა. უფალმა ხომ იცის, რომ ასეა...

თქვენ ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში განაცხადეთ: „წინა ხელისუფლების მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე თურქი-მესხების დაბრუნების შესახებ. დღეს თბილისი მზადაა. (მიკვირს, საიდან დამკვიდრდა ცნება თურქი-მესხი. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. არ შეიძლება თურქი იყოს მესხი. საბჭოურ წყობას აწყობდა ეს. ჩვენ მაინც ნუ გავიმეორებთ აწ, ეს თუმცა ცალკე თემაა). ვუბრუნდები თქვენს სიტყვებს. „დღეს თბილისი მზადაა“ მე კი მეგონა იტყოდით –„დღეს თბილისი ამისთვის არაა მზად“. ვინ გაგამტყუნებდათ გიჟის ნაბოდვარის მიუღებლობისთვის. აკი, მართლა არაა საქართველო მზად ამისთვის – დღეს. ხვალ რა იქნება, ხვალ ვნახავდით. რა, არ უნდა მივსცეთ ამოსუნთქვის საშუალება (?!).

ბ-ნო ბიძინა – ჩემი ქვეყნის ტკივილი მალაპარაკებს, თორემ, აბა, რა ფიცი და მტკიცი სჭირდება იმას, ბიძინა ივანიშვილს თავის ქვეყანა და ხალხი რომ უყვარს. ცხოვრობდა ზღაპარში და იქნებოდა ასე სიცოცხლის ბოლომდე. ვინ ეტყოდა – რად არ დაიდგი ქვეყნის უღელი მხრებზეო... მაგრამ, ფაქტი ჯიუტია. დღეს ქართული მიწა გოდებს, მიწა, რომელიც თქვენ, წინაპრებმა ერთიანი, ჩინელით, ზანგებით, ინდოელებით, ირანელებით დაუსახლებელი დაგიტოვეს. თქვენც ხომ ასეთი უნდა დაუტოვოთ შთამომავლობას იგი.

„ქართლის ძილშიაც კვნესა“... გაისმის...

მიუგდეთ ყური, ბატონო ბიძინა, დედა-მიწას...

არა თვისტომთა, არამედ უცხო და უხეში ნაფეხურები გადმთიელთა, უსაშველო ტკივილებს აყენებს მას, ქართულ მიწას... ამიტომაც გოდებს... როდემდე.

მიუგდეთ ყური... ის შველას ითხოვს...

მარეხ ბაღიშვილი
დევნილი ჟურნალისტი სოხუმიდან
2.04.2013 წ.

SOS

***P.S.** საგაზეთი წერილი მზად მქონდა, როცა დღეს 4 აპრილს „იმედის“ არხზე საზარელი სიუჟეტი გადაიცა „მოამბეში“, 20 სთ-ზე. ეს იყო სოფლის მოსახლეობის „ომი“ ინდოელ ფერმერებთან, რომლებმაც ასობით ჰექტარი. მიწა ღამით ჩუმად, ქურდულად დაამუშავეს, და დღისით ნერგების ჩაყრას შეუდგნენ (??!) ხალხი იძახის, რომ არ იციან როდის, ვინ გაყიდა იგი. მაგრამ ხელისუფლებამაც არ იცის? უჩინმაჩინის ქუდით შემოვიდა ეს ათასობით უცხოელი და თავისით დაეპატრონა ქართულ მიწას? ბოლო-ბოლო ბოსელს გააჩნია ჭიშკარი, რომელიც იღება და იკეტება საჭირო დროს, სახელმწიფოს კი არც ღობე აქვს, არც ჭიშკარი, არც საზღვარი? როგორ ახერხებს ყოველი ოხერი და მამაძაღლი ასე უპრობლემოდ შემოღწევას და დამკვიდრებას, ქართული მიწის მიტაცებას? რუსებმა თუ იარაღით მოახდინეს აფხაზეთ-სამაჩაბლოს ოკუპირება, აქ ხელისუფლება თავად ეხვეწება მავანთ სადაც უნდათ, რამდენიც უნდათ დაისაკუთრონ მიწა მისი, ოდითთაგან მფლობელი ქართველი გლეხის უმიწოდ დარჩენის ხარჯზე. იქნებ კეთილი ინებოთ და გავაგებინოთ, სად არის ქართველის ადგილი? სანამ ეს გაირკვევა, მისთვის, ქართველისთვის, ნამდვილად არ დარჩება იგი საქართველოში. ვინ მოგცათ უფლება ასე მოექცეთ დავითისა და თამარის, დემეტრესა და ერეკლეს სისხლით დაცულ სამშობლოს?...*

მ.ბ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„ბორჯომის“ ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში უახლოეს პერიოდში აღდგება

უახლოეს პერიოდში კომპანია IDS ბორჯომი საქართველო მინერალური წყლის „ბორჯომის“ რუსეთის ფენდერაციის ტერიტორიაზე გადაზიდვებს დაიწყებს. ოფიციალური უწყება რუსეთის ფედერაციაში ბრენდის რეგისტრაციის შესახებ კომპანია IDS Borjomi International -მა „როსპოტრებნადზორ“-ისგან მიიღო.

„ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ „ბორჯომის“ ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში უახლოეს პერიოდში აღდგება. რეგისტრაცია, რომელიც ბრენდმა წარმატებით გაიარა, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ბორჯომი“ უმაღლესი ხარისხის მინერალური წყალია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ არსებულ ბაზარზე უამრავი ადამიანი ელოდება ამ პროდუქტის დაბრუნებას, რაც თავისთავად ბრენდის განვითარების დიდ პერსპექტივებს აჩენს“, – აცხადებს IDS ბორჯომი საქართველოს გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე.

რუსეთის გადაზიდვებს IDS Borjomi International n-ის რუსეთის ქვედანაყოფი IDS ბორჯომი ღუსსია განახორციელებს.

საქართველოს უხუცესთა დარბაზის განცხადება

2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში გათამაშდა რევოლუცია, რომელიც მონათლა „ვარდების რევოლუციის“ სახელწოდებით. ამ დღიდან პოლიტიკურმა სიცრუემ მოიცვა ჩვენი ქვეყანა, ხოლო ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 1,5 მლნ-ზე მეტი კი აიძულა, საზღვარგარეთ გადახვწეწილიყო.

მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა საქართველოს „სინგაპურიზაცია“, რის შედეგად ჩვენი ქვეყანა გაივსო ექსპანსიონისტური მიზნების მქონე უცხოელებით, დემოგრაფიული წალეკვით რომ ემუქრებიან ქართველი ერის თვითმყოფადობას. მისი მითითებებით გაიყიდა მრავალი სტრატეგიული ობიექტი და ღირებული შენობა, 4,5 მლრდ. დოლარი ვალად აგვკიდა. უცხოელებზე ფარულად გაიყიდა დიდძალი ქართული მიწები.

საქართველო, რელიეფური თავისებურებების გამო მცირემიწიანი ქვეყანაა. მიწის სიმცირე განსაკუთრებით მთიან ზონაში იგრძნობოდა ყოველთვის. და იმდენად იგრძნობოდა, რომ ყანის მიჯნის ოდნავ გადაწევასაც კი ზოგჯერ თანასოფლელებს შორის მკვლელობა მოჰყვებოდა ხოლმე.

„ნაციონალების“ მიერ წინასწარ გამიზნულად გატარებული ქმედებებით ჯერ დაცარიელდა ქართული სოფლები მოსახლეობისგან, მერე შეუდგნენ ამ დაცარიელებული მიწების გასხვისებას. უფრო მეტიც, 2010 წელს სააკაშვილის მოულოდნელი ბრძანებულებით თუ განკარგულებით, ასევე გამიზნულად გაუქმდა სახნავ-სათიბ მიწებზე იჯარა, ხოლო მიწის გამოსასყიდი ფასები რამდენჯერმე გაიზარდა. ფერმერები კანონის ამგვარ დარღვევას მოუმზადებელი შეხვდნენ, დაკარგვინა რა იჯარის უფლება, ამის შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო ამ მიწების მასიური გაყიდვა, აუქციონზე, ცხადია, ფულიანი უცხოელები იმარჯვებდნენ. ეს იყო არა მარტო ანტიქართული, არამედ ანთიდვთიური ქმედება – ხელყვეს ღვთისმშობლის ქვეყანა, ჩაიდინეს უდიდესი ცოდვა.

ამას ხელს უწყობდა ე.წ. „მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია“, რაღაც შუალედური პარაზიტული რგოლი, რომლის ნებართვის გარეშე საჯარო რეესტრში მიწის შესყიდვის რეგისტრაციას ვერავინ გააკეთებდა, გასარკვევია, ვისია ეს „ასოციაცია“?

ახალი ხელისუფლება არის „ნაციონალების“ სამართალმემკვიდრე. ამიტომ მას დახვდა უამრავი პრობლმა მოსაგვარებელი. ჩვენც ამ პრობლემათა მოგვარებაში ახალი ხელისუფლებისადმი თანადგომის სურვილით ვსვამთ რამდენიმე საჭირბოროტო საკითხს.

1. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების მიერ დადგენილი პრაქტიკით ქართული მიწების გასხვისება უცხოელ მოქალაქეზე კვლავ გრძელდება. უმიწაწყლოდ დარჩენილი ქართველობა დრტვინავს, ჯერ მთავრობისაგან ელოდება ქმედით ღონისძიებებს, თუ იმედი გადაეწურა, თავად დაიბრუნებს ქართულ მიწებს! მისაღებია მიწათსარგებლობის ახალი კანონი. ამისათვის ნიმუშად გამოდგება მიწის შესახებ პოსტსოციალისტური ქვეყნების საკანონმდებლო აქტები. მანამდე უნდა აღუდგეთ საიჯარო ხელშეკრულებები იმ ფერმერებს, რომლებსაც გაუუქმეს იგი. საგაზაფხულო სამუშაოები დაწყებულია და გადაწყვეტილება სასწრაფოა.

2. ჩვენს გაოცებას იწვევს ზოგი თანამდებობის პირის წამახალისებელი გამონათქვამები სქესობრივი უკულმართობებისადმი დამოკიდებულების შესახებ იმ მოტივით, რომ ამას დასავლეთში ადამიანის თავისუფლებას უწოდებენო. დასავლეთისაგან გადმოვიღეთ საკაცობრიო ღირებულებანი და არა სიმახინჯეები. საკაცობრიო ღირებულება კი ის არის, რაც ღმერთს დაუდგენია, სოდომ-გომორული ცოდვები ადამიანს თავისუფალს კი არ ხდის, არამედ სამუდამო სულიერ სატანჯველსა და მონობაში აგდებს მას. მას წახალისება კი არა, მკურნალობა სჭირდება, მკურნალობა, როგორც სამედიცინო, ისე ზნეობრივი, რომ ერის უბედურებად არ იქცეს, რომ ღმერთი და ბუნება ჩვენზე არ განვარისხოთ.

3. საქართველოში სახლმწიფღო ენებად დადგენილია ქართული და აფხაზური ენები. ზოგიერთი თანამდებობის პირი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებიდან გადმოსახლებულ დიასპორათა ენებისათვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭებას დასაშვებად მიიჩნევს. ევროსაბჭოს მიერ გამოქვეყნებული „ენების ქარტია“ ამას არ გვავალდებულებს. ამიტომ დემოკრატობანას ამგვარი თამაში ქართულ სახელმწიფოებრიობას მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს. მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან იბერია იდგა. კაცობრიობის ლინგვისტური ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას სწორედ იბერიული (ქართველური) ენების დაცვის დეპარტამენტი.

4. საქართველოში სრული რელიგიური თავისუფლებაა. ყველა კონფესიის სალოცავიც საკმარისი რაოდენობით არის, მაგრამ მათ მიერ ახალი სალოცავების აშენება ექსპანსიონისტურ-პოლიტიკურ ცენტრებად გადაქცევის მიზნით დაუშვებელია.

5. გიგანტოჰესომანია ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანს საქართველოს. მაგალითისათვის დავასახელებთ ხუდონჰესს, ენგურჰესს, კაშხალს ხუდონჰესსაც რომ მიემატოს, მთლიანობაში ორივე უზარმაზარი წყალსაცავი არა მარტო სვანეთის, არამედ დასავლეთ საქართველოს კლიმატსაც შეცვლის, გაზრდილ ნალექებსა და მომატებულ ტენს მთა-ქედების სისტემა გრუნტის წყლებად გარდაქმნის ვერ მოასწრებს და, როგორც ეს უცხოელმა ექპერტებმაც დაადასტურეს, დაიწყება ქანების რღვევა. ამის გარდა ეროვნულ-კულტურული ზარალიც უდიდესი იქნება; რამდენიმე სოფელი, ეკლესია, საფლავები, ისტორიული ძეგლები წყალქვეშ აღმოჩნდება, გამოსავალი: ყველაზე ოპტიმალურია მცირე ჰესების მშენებლობა, როგორც წყლის, ისე ქარის ენერგიის გამოყენებით.

6. ჩვენი მხრიდან მთავრობისადმი თანადგომის რამდენიმეგზის შეთავაზების მიუხედავად, ვერც სახალხო დიპლომატიის რესურსები ამოქმედდა კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ასეთი რესურსები საქართველოს უხუცესთა დარბაზს საკმაოდ გააჩნია. ამას გამოყენება უნდა.

7. სახელმწიფოს სწორი მართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესიონალი კადრების შერჩევას მათი პატიოსნებისა და ეროვნული ერთგულების გათვალისწინებით. ამ მიმართულებით მთავრობამ უნდა გაუმჯობესოს მუშაობა.

8. ყველა დონის სამართლებრივი დაცვისათვის აუცილებელია დევნილთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დატოვებული ქონების მონიტორინგი.

9. საქართველო წყალუხვი ქვეყანაა, თუმცა მაინც დასაწესებელია წყლის მოხმარების ლიმიტი, მაგრამ გადასახადი უნდა დადგინდეს, მხოლოდ დაწესებულ ლიმიტზე მეტად მოხმარებულ წყალზე.

10. საქართველოში მიწა, წყალი, სტრატეგიული ობიექტი უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება.

11. სახელმწიფოში ჩამკვდარია ეროვნული იდეოლოგია, ხოლო სახელმწიფო, რომელსაც ეროვნული იდეოლოგია არ გააჩნია, განწირულია დასაღუპავად. კარდინალურად შესაცვლელია ამ მიმართულებით პოლიტიკა: ეროვნული იდეოლოგია უნდა აღორძინდეს და ამისათვის ქართველი ერისათვის მთელი სიმძაფრით კვლავ რჩება სლოგანი: ენა, მამული სარწმუნოება.

მრავალი ქვეყნის მეცნიერთა მტკიცებით, კაცობრიობის ცივილიზაციის ერთერთი აკვანი არის ფუძე იბერია-საქართველო, აქედან არის მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში (ირლანდია, შოტლანდია, სკანდინავია, პირინეა, იტალია, გერმანია, საბერძნეთი, რუსეთი...), განფენილი იბერთა მოდგმა.

მსოფლიოში განფენილო იბერთა მოდგმავ, თანადგომა აღმოუჩინეთ ფუძე-იბერიას. ამით გადაარჩენთ თქვენი წინაპრების თანამონაწილეობით ათასწლეულების წინ შექმნილ ცივილიზაციის საფუძვლებს, ფუძე-იბერიის სახით რომ არის შემონახული!

საქართველოს უხუცესთა დარბაზი სისტემურად მართავს სხდომებს და განიხილავს რეგიონებიდან და საკუთრივ აფხაზეთიდან მოწოდებულ წინადადებებს. უხუცესთა დარბაზი უახლოეს დღეებში გეგმავს საქართველოს მთავრობის მეთაურთან შეხვედრას. იმედი გვაქვს, ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობას და განვითარებას.

საქ. უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარე:
რ. ჩხეიძე

საქ. უხუცესთა დარბაზის აღმასრულებელი მდივანი: რ. ნიშარაძე

საქართველოს უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე: ა. გასვიანი

დარბაზის წევრები

იბრაგიმი

იბრაგიმი დაიბადა იმ სახელმწიფოს ზეობის პერიოდში, რომელიც უკვე 22 წელიწადია, რაც მსოფლიო რუკაზე აღარ არის. მაგრამ ამ სახელმწიფო გაიარა იბრაგიმის სიყრმისა და სიჭაბუკის წლებმა. დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, იზრდებოდა ისე, როგორც იმ ეპოქის ყველა ბავშვი. იყო ოქტომბრელი, პიონერი და კომკავშირელი. როცა წამოიზარდა გაიარა საბჭოთა სამხედრო სავალდებულო სამსახური სადაც ეფრეიტორთაგან ხშირად იმსახურებდა პანჩურებს და გონებას. ერთხელ შეპასუხება სცადა, მაგრამ ოთხჯერ ძლიერი პანჩური და სამდღიანი კარცერი მიიღო. როგორც იქნა დაამთავრა ჯარი და სამშობლოში დაბრუნდა. როგორც იმ დროის ყველა ჯარგამოვლილი. ყვებოდა, თუ როგორ დაუახლოვდა ნაწილის პოლკოვნიკის ცოლს, როგორ შეაყვარა თავი და როგორი ცხარე ცრემლებით ტიროდა რუსის ქალი მასთან გაწშორებისას. იმ დროს ნაწილი, რომელშიც ის მსახურობდა, ისეთ მივარდნილ კუთხეში დისლოცირებდა, რომ პოლკოვნიკი კი არა, სერჟანტის ზევით არანაირი ჩინოსანი არ იმყოფებოდა, ხოლო სამოცი წლის დამლაგებელი ლუსია და იმავე ასაკის მზარეულ მარუსას მეტი არავინ იყო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა სამსახურის ძებნას, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სამსახურის შოვნა ყველა დროში და ეპოქაში საკმაოდ რთული საქმე იყო. იბრაგიმი მიდგა, მოდგა, ეს შეაწუხა, იმასთან მივიდა, იმას დაარეკინა, ამას ათქმევინა და ერთ პაწაწინა სასადილოში, შემსყიდველის ადგილი მიიღო (დღევანდელ ენაზე დისტრიბუტორს რომ ეძახიან). იბრაგიმი საკმაოდ ენერგიული, მოძრავი და მიზანსწრაფული პიროვნება გახლდათ. საქმეს უცბად აუღო ალღო, თავად იძენდა აუცილებელ პროდუქტს, არც მუქთად და ნისიად წამოღებაზე ამბობდა უარს. მისმა ასეთმა მიზანსწრაფულობამ და შრომამ სასადილო წინ წასწია, იაფად შეძენილი და შემდეგ გემრიელად მომზადებული კერძები პოპულარობით სარგებლობდა. სასადილოს კლიენტი მოემატა, ვაჭრობა გახურდა და ბუნებრივია, მოგებაც გაიზარდა.

მაშინ საკუთრება არ არსებობდა. ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მთავარი გეგმიურობის პრინციპი იყო. გეგმა კი იბრაგიმის წყალობით გადაჭარბებით სრულდებოდა. ამიტომაც, როცა სასადილოს გამგე სხვაგან გადაიყვანეს, იქ იბრაგიმი დანიშნეს. იბრაგიმმა სასადილო გააფართოვა, არეალი გაადიდა, რამაც შემოსავლების და კლიენტების ზრდა გამოიწვია. ყველასთან საერთო ენა გამოძებნა, აღმასკომთან, ტრესტთან, მილიციასთან და ცხოვრებაც ააწყო. შემოსავალი კიდევ გაიზარდა, შეიძინა ბინა, ავტომანქანა, რაც იმ დროში საოცარ ფუფუნებად ითვლებოდა. შეირთო ცოლი, შეეძინა შვილები, მაგრამ როგორც ყველა ქართველს, იბრაგიმსაც რაღაც არ ასვენებდა. ეს რაღაც რა იყო, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ თვლიდა, რომ მეტი ეკუთვნოდა, უფრო მეტს იმსახურებდა. უყურებდა მასზე უფრო მაღლა მდგომ დაწინაურებულ ჩინოვნიკებს და მიაჩნდა რომ, მათ არ ეკუთვნოდათ ის მდგომარეობა, რაც გააჩნდათ, რომ ისინი მისი უფროსები არ უნდა ყოფილიყვნენ, რომ უფროსი და დიდი უფროსიც თვითონ უნდა ყოფილიყო.

ძვირფასო მკითხველო, ეს ის დროა, როდესაც ყველაფერს უფროსი ჰყავდა, პატარა საწყობიდან დაწყებული, დიდი ქარხნებით და წარმოება-დაწესებულებებით დამთავრებული. იბრაგიმიც ფიქრობდა, ამდენი თანამდებობა არსებობს, ამდენი ხელმძღვანელი, მე კი მხოლოდ ერთი პატარა სასადილოს გამგე ვარ. რატომ ასეთი უსამართლობა?! სანამ იბრაგიმი ასე ფიქრობდა, მთელი სამყარო შეზანზარდა, უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირი, რომლის შექმნაშიც იბრაგიმის თანამემამულელებსაც ედოთ ლომის წილი, დიდი რყევების და ნგრევის პირას აღმოჩნდა.

დაიწყო ეროვნული მოძრაობა. ეროვნული მოძრაობა სულ იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ 80-90-იან წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა. პატარა თოვლის გუნდიდან დიდ, უზარმაზარ ზვავად გადაიქცა. იბრაგიმი მიხვდა, სადაც უნდა მდგარიყო, დაიწყო მასიური გამოსვლები და დემონსტრაციები. იბრაგიმი ყველგან პირველ ადგილზე იყო. ადიოდა ეროვნული დროშით და ქართული ჩოხა-ახალუხით. 9 აპრილს ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს მორგიდან და ძლივს დაუსხლტა სიკვდილს. ამ დროს მოსახდენიც მოხდა. უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც მთელ დედამიწას აშინებდა და ატერორებდა, არსებობის ბოლო წუთებს ითვლიდა. საქართველოში გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით. შეიქმნა ეროვნული ხელისუფლება. დაიწყო საბჭოთა სტრუქტურების დემონტაჟი. ზვიად გამსახურდიას ქართველები არ დაუყვია კლასობრივ მოწინააღმდეგეებად. ვინც იჩენდა ქვეყნისა და ერის სიყვარულს, მიეცათ საშუალება თავიანთი ჭკუა, უნარი, განათლება და გამოცდილება მიემართათ ქართველი ერის სასიკეთოდ და ქვეყნის სასარგებლოდ. და ასეთები არცთუ ცოტანი იყვნენ. ჩვენი გმირიც დატრიალდა. შეახსენა ყველას, თუ როგორ იბრძოდა, როგორ იბარებდნენ მილიციაში და აფრთხილებდნენ, როგორ მოხვდა მორგში, როგორ ჰქონდა თავი გადადებული სამშობლოსათვის და ბუნებრივად ითხოვდა მიეცათ მისთვის რაიმე თანამდებობა, მაგრამ რატომღაც არავინ არაფერს ითვალისწინებდა. იყო მხოლოდ დაპირებები. მაგრამ ნანატრი თანამდებობა არ ჩანდა. იბრაგიმი აღშფოთებული იყო. აღშფოთებული იყო ზოგიერთი დანიშვნით, მიაჩნდა, რომ ბევრმა უღირსმა ადამიანმა დაუმსახურებლად მიიღო თანამდებობა, მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა.

ამ დროს მოხდა უდიდესი უბედურება საქართველოში, ბნელმა ძალებმა და მასთან გართიანებულმა უსინდისო ადამიანებმა დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება. საქართველო გადაიქცა ყაჩაღთა, ბანდიტთა, ყველანაირი ჯურის არამზადების სათარეშოდ და საჯიჯგნად.

იბრაგიმი, მიუხედავად იმისა, რომ ნაწყენი იყო ხელისუფლებაზე, დაუყოვნებლივ ჩაერთო პუჩისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იბრძოდა თავგანწირვით, გულწრფელად, უსამართლობით და უსინდისობით შეწუხებული. მიიჩნევდა, რომ მოხდა დიდი საშინელება და მას რაღაც უნდა ელონა.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ იბრაგიმს როგორც ყველა ქართველს, ჰქონდა ამბიცია მაღალი მდგომარეობის და სხვაზე კარგად ყოფნის, ის არ იყო საქართველოს მოღალატე. ის იყო გულწრფელი მამულიშვილი და პატიოსანი მოქალაქე, რომელიც არ შეეპუა მომხდარ უსამართლობას და ყველა ის უბედურება, რაც იმ ეპოქაში იწვნია ქართველმა ხალხმა, პირადად გამოსცადა. წაართვეს ქონება, არაერთგზის დააპატიმრეს, ერთხელ ისე სცემეს მხედრიონელებმა, რომ სამი დღის შემდეგ ძლივს გამოიყვანეს კომიდან. ყველა უბედურება გადაიტანა და ყველაფერს გაუძლო. იმიტომ, რომ იბრაგიმი იყო ნამდვილი ქართველი და მასში შერწყმული იყო ყველა თვისება ქართველი კაცისა. იყო დახუნდარელი და ნაცარქექია, იყო დაჩაგრული და მჩაგვრელი, იყო თავმოყვარე და პატივმოყვარე. მაგრამ, როცა უსამართლობა და ღირსების დამცირება თავის ქვეყანას შეეხო, იქცა თავგანწირულ გმირად. შემდეგ, შემდეგ რა მოხდა... შემდეგ მოხდა ის, რომ დამთავრდა მხედრიონელთა და ბანდიტთა სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიაში. და იბრაგიმმა კვლავ მოითხოვა მიეცათ მისთვის სათანადო სამსახური. ისევ დაპირებები, ისევ ხვალ გამოიარე, ზეგ მოგვაკითხე, წავიდა ეს ხელისუფლებაც, წავიდა ისევე სამარცხვინოდ, როგორც მხედრიონის „ვაჟკაცები“. სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟში არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშა იბრაგიმმა, თავიც გაწირა, დაპატიმრებული და გალახული იყო. ისევ წაართვეს ის მცირედი ნაწილი ქონებისა, რაც დარჩა. პირველ ოქტომბრამდე გადაიტანა ყველა უბედურება უამრავ ქართველთან ერთად და საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა.

დიახ, ძვირფასო ქართველებო, გაიმარჯვეს იბრაგიმმა და მისნაირმა ქართველებმა, აქ არ გაუმარჯვიათ სახლში მჯდომ და პასიურ ქართველებს. იბრაგიმის ზურგზე გაიარა ყველა უბედურებამ, მომხდარმა ბოლო ოც წელიწადში, მაგრამ მას არასდროს დაუთმია საქვეყნო პოზიციები. ყველაფერი დაკარგა, ქონება, მაღაზია, აგარაკი, ავტომანქანა. მაგრამ არ დაუკარგავს ღირსება და დღეს არავის აქვს უფლება წაართვას მას ეს გამარჯვება. არავის აქვს უფლება საქართველო ჩაუდოს ხელში ნაძირალებს, გინდ აღმოსავლეთით, გინდ დასავლეთით.

მკითხველი, ალბათ, იკითხავს, როგორ შეიძლება გმირი იყოს ადამიანი. რომელიც მთელი ცხოვრება სულ კარგ სამსახურზე და ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრობს. დიახ, მეგობრებო, შეიძლება. არავითარი ცოდვა იმაში, რომ ადამიანი უკეთეს მომავალზე ფიქრობდე, არ არის. იბრაგიმი ოცნებობდა მხოლოდ თავისი ბიზნესის გაფართოებაზე და უკეთეს ცხოვრებაზე. მას არ გამოუთქვამს არავითარი სურვილი, რომ დაენიშნათ მინისტრად, პრემიერად და პრეზიდენტად. როგორც ზოგიერთ ქართველს, რომელსაც ასეთი არ ეკუთვნის. ამიტომ არის საქართველო დღეს ასეთ დღეში.

ამიტომ ეძებს იბრაგიმი დღესაც სამსახურს. ყოფილმა ხელისუფლებამ ისე დააქცია ქვეყანა, რომ ყველანაირი ბიზნესისა და საქმის კეთება შეუძლებელი გახდა. ამიტომ ითხოვდა იბრაგიმი კარგ სამსახურს. თუმცა იბრაგიმი დღესაც სამსახურს ეძებს...

ვაჟა აბაკელია

ნუგზარ დათიკაშვილი — „უკანონო პატიმარი“?

ყოფილი ხელისუფლების მიერ იყო უკანონოდ დაპატიმრებული, ამ მთავრობის მიერ უკანონოდ დასჯილი, რადგან უცნობი მიზეზის გამო, მხოლოდ მის საქმეს არ გადახედეს - რატომღაც „უკანონოდ დაპატიმრებულად“ არ მიიჩნიეს

პატიმარი ნუგზარ დათიკაშვილი მესამე წელია დაპატიმრებულია და „თაღლითობაში“ დადანაშაულებული დანაშაულს არ აღიარებს, საპროცესო გარიგებაზე არ მიდის, რათა დარჩენილი ცხოვრება „თაღლითის“ დამღით არ იაროს.

არც ყოფილი და არც ახალ მთავრობის სამართალდამცავები არ იწუხებენ თავს, ან დაუმტკიცონ „თაღლითობა“, ან გაათავისუფლონ ადამიანი, ვინც მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნების და შინაგანი უდანაშაულობის ღრმა რწმენის გამოა ციხეში და არა დანაშაულის გამო, რომლის გამოსყიდვა კარგა ხნის წინ შეეძლო.

ლევან ჭიღლაძე - ნუგზარ დათიკაშვილის ადვოკატი:

ლევან ჭიღლაძე

საქართველოს სასამართლოებში ჯერაც ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც კარგა ხანია სამართლიანობის დადგენაზე უარი თქვეს და ამჟამად საკუთარი საქმიანობით და უსამართლო განაჩენებით ხალხს უქმნიან შთაბეჭდილებას, რომ კანონიერება არა და არ აღსდგა, რითაც სახელს ულახავენ ახალ მთავრობას.

ამიტომ გასაგებია თქვენი პათოსი, რომ უკანონობა გრძელდება.

ნუგზარ დათიკაშვილი, მშენებელი, გასამართლებულია თაღლითობის ბრალდებით, თუმცა, ფაქტობრივად, თავად არის თაღლითობის მსხვერპლი, ანუ, როგორც მიღებული იყო ყველაფერზე ნებადართულმა „ნაციონალებმა“ მისი ქონება სრლიად უკანონოდ მიითვისეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალი ხელისუფლების პირობებში უკანონოდ დასჯილს „სამართლიანობის“ სიო არ შეხებოდა.

2005 წელს პორტსმენმა გიორგი ასანიძემ, ყოფილმა პარლამენტარმა - არჩილ გოგელიამ, მარიამ ცაგურიშვილმა, კოკი ოსიპოვმა და ნუგზარ დათიკაშვილმა ჩამოაყალიბეს სამშენებლო კომპანია-ამხანაგობა„ „ჩემპიონი“. გამგეობის წევრები კარგად იცნობდნენ ბინების მშენებლობის დიდი გამოცილების და კარგი რეპუტაციის მქონე ნუგზარ დათიკაშვილს და თავმჯდომარედ აირჩიეს, სამშენებლო თანხების მოზიდვა, საერთო გადაწყვეტილებით მასვე მიანდეს

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

და ჭავჭავაძის 49ბ -ში დაიწყო მრავალსართულიანი ბინის მშენებლობა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ავადსახსენებლ ომის შემდეგ უამრავ სხვა მშენებლობებს შორის „ჩემპიონის“ დაკვეთაც შეჩერდა. რაც თანხების გამსესხებელი „ჰიპოტეკარებისთვის“ გასაგები უნდა ყოფილიყო და თუ საეჭვოს მიიჩნევდნენ და სადაო ექნებოდათ რამე, სამოქალაქო წესით უნდა ედავათ ვალების ამოსაღებად. ასეც მოხდა, ერთერთმა „გამსესხებელმა“ ირაკლი ჯაშმა ნუგზარ დათიკაშვილის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა და სამოქალაქო სასამართლომ იმჯელა მასზე, მაგრამ დათიკაშვილს დანაშაული ვერ აღმოუჩინა, მაშინ ჯაშმა პროკურატურას მიმართა განცხადებით და ნუგზარ

ნუგზარ დათიკაშვილი

დათიკაშვილი დაიჭირეს, მთელი ქონება დააკარგვინეს და ჯერაც საპატიმროშია, ხოლო მაილო, იგივე ირაკლი ჯაში ამჟამად ახალი ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში მოგვევლინა და აჭარის მთავრობაშიც სოლიდურ თანამდებობაზეა. მისი განცხადება პროკურორის მიმართ „მეგობრობის“ ნიმუშად შეიძლება გამოდგეს: „აღნიშნულს მოგახსენებთ, რომ თქვენც გქონდეთ წარმოდგენა თუ როგორ ნელ-ნელა და მყარად შემოვიდა ჩემთან მეგობრულ ნდობაში“ - „დაახლოებით 20 წელია ვიცნობ ნუგზარ დათიკაშვილს, რომელთანაც ამავე დროის ნაცნობობა და ახალი მეგობრობა მაკავშირებს (მართალია, ოცი წელი „თაღლითთან“ მეგობრობა აკავშირებდა „პატიოსან“ მოქალაქეს, მაგრამ ამას ის ამართლებს, რომ „გულუბრყვილობით“ არ იცოდა ამის შესახებ, რასაც არ ამტკიცებს მისი განცხადება – ქ.ჩ.). ნ. დათიკაშვილი ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში კომერციული საქმიანობისათვის იყო ჩამოსული და მეწვია სტუმრად, რა დროსაც ნახა ჩემი დაუმთავრებელი სასტუმრო, შემომთავაზა მასთან ერთად მეწარმოებინა „სამეწარმეო საქმიანობა“ და დამპირდა, რომ სასტუმროს მშენებლობაში დამეხმარებოდა. შეპირებისამებრ მართლაც დამეხმარა ფულადი თანხით, როგორც მეგობარს და მასესხა 20.000 აშშ დოლარი, ხოლო შემდეგ 40.000 აშშ დოლარი, რომელთა საშუალებითაც მოვახერხე სასტუმროს რამდენიმე ოთახის გარემონტება. იგი ასევე დამეხმარა ჩემს პირად მკურნალობაშიც, როცა გავიკეთე გულის ოპერაცია. (თანხა, როგორც ჩანს, საგანგებოდ არ არის მითითებული, რადგან, ცნობილია, რომ მსგავსი ოპერაცია იაფი არ ჯდება, და მისი დასახელება გაზრდიდა ჯაშის ვალის რაოდენობას დათიკაშვილის მიმართ, ან, უბრალოდ“ ჩათვალა, რომ „მეგობარი“ იყო და მისგან ეკუთვნოდა, მაგრამ თვითონ როგორი მეგობარია ამ განცხადებიდანაც კარგად ჩანს. ქ.ჩ). დათიკაშვილი დააპატიმრეს, მაგრამ „სისხლის სამართლის საქმის“ საწარმოებლად არანაირი საფუძველი არ ყოფილა, მაგრამ თუ დათიკაშვილს არ დააკავებდნენ, სიმართლეს ნათელი მოეფინებოდა და მის ქონებას ხელში ვერ ჩაიგდებდნენ ვერც სააკაშვილის მთავრობა და დათიკაშვილის „მეგობრები“. მოგვიანებით მისი გამართლება, ასევე მათთვის ხიფათის შემცველია, ნამდვილი დამნაშავეები დაისჯებიან.

მოკლედ, ძველი თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება, რომლის მტკიცებით „დეტალური გამოკვლევის შემდეგად“ დათიკაშვილს „თაღლითობაში“ წარუდგინა ბრალი, თუმცა რაში გამოიხატა დეტალური გამოკვლევა დღემდე უცნობია, ტექსტში კი წერია: „ნ. დათიკაშვილმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით - მოტყუებით დაუფლებოდა დიდი ოდენობის თანხას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2007 წლის 24 დეკემბერს მან ირაკლი ჯაშს სთხოვა სამი თვის ვადით დარეჯან ქუთათელაძის სასარგებლოდ იპოთეკით დაეტვირთა თავისი კუთვნილი სასტუმრო მდებარე ქ. ბათუმი მელიქიშვილის ქ. 48-ში. ნდობის მოპოვების მიზნით ნ. დათიკაშვილმა ი. ჯაშს განუმარტა, რომ თვისი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას ვერ ახერხებდა, ვინაიდან მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები (ეს არგუმენტი თაღლითობის სამტკიცებლად როგორღა გამოიყენეს უცნობია, რადგან მაშინ, მშენებლობა მართლა მიმდინარეობდა.– ქ.ჩ) და არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული“.

პროკურატურის მტკიცებით:

„ზემოაღნიშნული განმარტების სანდოობის მიზნით შესთავზა ქ. თბილისში ი .ჭავჭავაძის გამზ 49 ბ-ში ამხანაგობა „ჩემპიონის“ მშენებარე კორპუსში, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო 530.00 კვმ ფართის ჩუქებას „სანოტარო წესით“. (და ცხადია, ეს ნამდვილი „მეგობარი“ „ჯაში“სიამოვნებით მიიღებდა ამ საჩუქარს „მეგობარი“ დათიკაშვილისგან, რომ არა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. ქ.ჩ). ნ. დათიკაშვილი დაპირდა ი. ჯაშს, რომ გააწევრიანებდა ზემოთ აღნიშნულ ამხანაგობაში, რაც მას საშუალებას მისცემდა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ქ. ბათუმში მისი კუთვნილ სასტუმროზე არსებული დარეჯან ქუთათელაძის დავალიანება გადაეტანა ნუგზარ დათიკაშვილის მიერ მისთვის გადაცემულ უძრავ ნივთზე“.

და ამ „თაღლითობის“ სამტკიცებლად მოხმობილია რამდენიმე სანოტარო აქტი, სამ მათგანზე ხელი აქვს მოწერილი ბატონ ჯაშს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს მას არ გაუკეთებია:

1. პირველში ნუგზარ დათიკაშვილი ირაკლი ჯაშს მიაკუთვნებს დაპირებულ ბინას, რათა საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სასტუმრო გაათავისუფლოს ჰიპოთეკისგან. მეორეში გაფორმდა ჯაშის სასტუმროს ჰიპოთეკით დატვირთვა. მესამეში დადასტურებულია დარეჯან ქუთათელაძის სესხი ჯაშის ქონების უზრუნველყოფით. პროკურატურა ასკვნის: „მიუხედავად იმისა, რომ ნ. დათიკაშვილს თანხა უნდა დაებრუნებინა 8 თვის ვადაში, ამ უკანასკნელმა მიღებული თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა და მიიმალა, ეს მაშინ, როცა დათიკაშვილი ხშირად ეკონტაქტებოდა გამომძიებელს და მის ყოველ დაბარებაზე ცხადდებოდა, რადგან არ სურდა მთელი ცხოვრება „თაღლითის“ „დამღით“ ეცხოვრა, თუმცა მაილო ჯაშმა განაცხადა, დათიკაშვილის მიმართ საჩივარი იმიტომ დაწერა პროკურატურაშიც, რათა სასტუმრო „გადაერჩინა“ გასხვისებისაგან, ამას დათიკაშვილი კანონიერების გარეშე ხომ ვერ მიაღწევდა, ჯაში ამ სიტყვებით თავადვე ამტკიცებს, რომ, სურვილის შემთხვევაში, დათიკაშვილი კანონიერი ძალით მიიღებდა კუთვნილს, სწორედ ამას გაურბოდა ჯაში, მაგრამ მეგობარი კი გაწირა, მაგრამ რაც „არ ერგებოდა, არ შეერგო“, ქონება მაინც დაკარგა, მაგრამ დათიკაშვილისთვის ამას შვება არ მოუტანია.

დათიკაშვილის ქმედების სსკ 180-ე მუხლით დაკვალიფიცირება შეუძლებელია, რადგან არსებითად სამოქალაქო დავათა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, - ამტკიცებს იურისტი **ლევან ჭიღლაძე** და განაგრძობს, არის შეკითხვები, რომლებზეც პასუხები ჯერაც გაუცემელია: 1. რატომ მიიღო ძველი თბილისის რაიონის პროკურატურამ მაილო ჯაშის საჩივარი, მაშინ, როცა მხარეებს შორის „ხელშეკრულების დადება და შეთანხმებებიც“ ვაკე-საბურთლოს რაიონში მოხდა და კანონის მიხედვით განსჯადობით ამავე რაიონის პროკურატურას უნდა განეხილა. 2. რატომ არ გაითვალისწინა არც ერთმა სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 184.2 მუხლი შეიცავს იმპერატიულ განაწესს: „სარჩელი სასამართლო წარმოებში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომლიმე სხვა სასამართლომ, ან ორგანომ განიხილოს“ და რატომ იქნა იგნორირებული ძველი თბილისის პროკურატურის მიერ პარალელურად იმავე გარიგებებზე მიმდინარე სამოქალაქო დავა, სადაც დათიკაშვილის ქმედებაში დანაშაული ვერ ინახა, ხოლო პროკურატურამ „თაღლითოის“ კვალიფიკაცია მიანიჭა;

დამატებით ცოლ-ქმარმა ბახტაძეებმა - ე.წ. „გამსესხებლებმა“ უჩივლეს დათიკაშვილს, ფული მივეცით და უკან არ დაგვიბრუნაო. პროკურატურამ ამ საქმეშიც დაადანაშაულა დათიკაშვილი, რომელსაც არ უშველია არა ერთი სხვა მოწმეების ჩვენებამ იმის შესახებ, რომ მოგების ნაცვლად დაზარალდნენ, მაგრამ სჯეროდათ, რომ გამოცდილი დათიკაშვილი გამოსავალს იპოვიდა, ამიტომ მისი „გარეთ“ ყოფნა უფრო აძლევდათ ხელს, ვიდრე მისი ციხეში ყოფნა, რადგან - როგორც პატიოსან გადამხდელს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიერ გამოწვეული კრიზისის დროსაც კი ენდობოდნენ რადგან სჯეროდათ, და არავის დააზარალებდა. მაგრამ დათიკაშვილი დაიჭირეს, ამხანაგობა „ჩემპიონის“ გამგეობა კი მართავდა კრებებს და მისი წევრები გიორგი ასანიძე, კოკი ოსიპოვი და სხვები „კრედიტორებს“ პირდებოდნენ, რომ აუცილებლად გაისტუმრებდნენ, მაგრამ დრო გავიდა და ვერც ერთის გასტუმრება რომ ვერ შეძლეს უარი თქვეს საერთოდ „ვალზე“ და ხელი დათიკაშვილისაკენ გაიშვირეს, რომელსაც უკვე წართმეული ჰქონდა მის საკუთრებაში არსებული არა ერთი ფართიც, რომელიც მშენებლობის დასამთავრებლად აღებული თანხების სანაცვლოდ ოფიციალურად ნოტარიუსების ჩართვით - ბანკში ჰქონდა ჩადებული. „გამსესხებლების“ თქმით, „ამხანაგობის“ გამგეობის წევრებს ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ და სწორედ არსებული ქონების დანაწილებაში რომ ხელი არ შეეშალა მოხდა დათიკაშვილის ჩამოშორება და ყველაფრის მისთვის გადაბრალება. მსგავსი პრეცედენტი იშვიათობას არ წარმოადგენდა გავლენიანი ნაციონალებისთვის.

ახალი გარემოება:

სწორედ „კერძო გამსესხებლების“ მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში დაიწყო ამ ფაქტის გამოძიება, რაზეც დიდ იმედებს ამყარებენ როგორც ჰიპოთეკარები, ასევე პატიმარი, დარწმუნებულები არიან, რომ ამჯერად უკვე „სულზე მოუსწრებენ“ ახალი მოსამართლეები და ნუგზარ დათიკაშვილის მიმართ უსამართლო განაჩენს გააუქმებენ, მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში „უკანონო პატიმარს“ ჯანმრთელობა შერყეული აქვს, დიაბეტი და გულის მწვავე იშემიური დაავადებები აწუხებს, იმედია ჯანმრთელი გამოვა ციხიდან და შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენას და უფრო მეტად გამოადგება დაზარალებულებს „თავისუფლებაში“, ვიდრე საპატიმროში ყოფნით, რაც მავანთა მიერ საგანგებოდ იყო უზრუნველყოფილი.

ქეთევან ჩემია
5 99 57 12 90



თავსატეხი



ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲘ: აბატი, აკაზა, პატიო, ასკილი, ადვილეკი, გრუმბო, დარჩა, თალიკო, ლაგუნა, მხიანი, ნეკალა, სკვერი, წაგილა, ხორაგი, ჯაპანა, სენეგალი, ტარბასი.

ᲰᲝᲠᲐᲖᲣᲚᲘ: ალათი, დანა, ლოკია, არმაცა, ბიანგა, ეანილი, ზური კო, ოხტატი, პატარა, რეგატა, ტოხარა, უნდილი, ფიქრია, ჩაკონა, ციცარი, პიმენა, ქარტალი.

სავიდან ერთი



ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲘ: 1. მაზეთი, მოდელი, მუქარა. 2. ბოპეს, მელაძე ტუნელი. 3. კოდირი ხურალი, ტაროსი. 4. სელმა, პიპკი, შკოდა. 5. ნარმა, ზონდი, ტესტი. 6. ზეთხა, კოლტი, მაინა. 11. ტრაბანი, რაიკინი, შტიბორი. 12. ლუ ადორი, ბასკეთა, ჭანჭური. 13. მეთანი, გუშაგი, გაზეთი. 14. ხალამი, ნოშერი, მანანა. 15. ბეგლონი, ჩერეკი, ძუხუდი. 16. ბეზუნი, ბოტახი, ძაბილი.

ᲰᲝᲠᲐᲖᲣᲚᲘ: 3. პარაფინი, ტოპონიმი, კაკანთი. 7. ბედუნა, ფლოელა, მურეხა. 8. ფელეფანი, რაბორტი, სპეგეტი. 9. ყიდელი, შატალი, ბიგუდი. 10. კრეგეტი, სპირალი, შარდეხი. 13. კამეხი, ლეგოლი, პოლეთი. 17. გრანელა, ტრეზედე, ყვირილა. 18. ზონარი, ჯიბური, ხაბელი. 19. ბარბეხი, ბალონი, ბალდადი. 20. ნინანი, დოლანი, სენეკა. 21. ხარეეხა, ეიკეკი, ტარნადი.

ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲘ



ვინ მართავს ეროვნულ ბიბლიოთეკას და ვინ მფარველობს კრიმინალში ეჭვმიტანილ დირექციას?

ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის სახელობის გახდა 1996 წლის შემდეგ, როცა საქართველოს პარლამენტს დაექვემდებარა და დიდად არაფერი შეცვლილა რიგითი თანამშრომლების, მკითხველებისა და რაც მთავარია, იქ დაბინავებული წიგნებისათვის. ილია ჭავჭავაძის სახელთან და ღვაწლთან საჯარო ბიბლიოთეკა მისი დაარსების დღიდან იყო დაკავშირებული და მაშინაც კი, როცა ის კარლ მარქსის სახელობის გახდა. ბიბლიოთეკის დღევანდელ მდგომარეობას თუ გავაანალიზებთ, სახარბიელოს ვერაფერს დავინახავთ. წლების განმავლობაში არც საკმარისი საბიუჯეტო თანხები იყო და არც სათანადო პირობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის, საერთო ფონდის სავალდებულო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში შენახვისათვის. ყველაფერს ფინანსებს ვერ დავაბრალებთ თუ დირექციის წევრები არ გრძნობენ განაკუთრებულ პასუხისმგებლობას და არ ეწევიან სათანადო ადმინისტრაციულ წარმოებას. სწორედ ამის გამო გახდა სადაო ეროვნული ბიბლიოთეკის საერთო ფონდის რაოდენობა. როდესაც ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია 2009 წლიდან დღემდე ვერც ერთ ოფიციალურ საბუთს ვერ თუ არ წარმოადგენს, ჩნდება ეჭვი, რომ გარკვეული მიზნით მალავენ ოფიციალური რაოდენობის დამადასტურებელ საბუთებს ან ისინი, უბრალოდ, აღარ არსებობს. ის, რაც მოუტანა საჯარო ბიბლიოთეკას პარლამენტის დაქვემდებარებამ, იყო და არის გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი, მათი მფარველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა, რიგითი თანამშრომლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ხარჯზე მოწყობილი კომფორტი. ამ პრობლემებზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრეთ იმ ინტერვიუში, რომელიც „საერთო გაზეთის“ 2010 წლის ივლისის თვეში დაიბეჭდა. 2007 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციასთან დავა სამართლებრივი გზით დავიწყეთ, შემდეგ კი თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურას მივმართეთ, მაგრამ საბოლოო შედეგს ვერ მივაღწიეთ. ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ისტორიიდან და მისაბაძი ადამიანებიც ჩამოვთვალოთ, მაგრამ მხოლოდ ილია ჭავჭავაძე და მისი აზრები იქნება საკმარისი. თავის გასამართლებლად ყოველგვარი უზნეობა რომ დროს, რეჟიმს, მთავრობების და დირექტორების წასვლა-მოსვლას ბრალდება, უფრო ხლსაყრელია, რა თქმა უნდა. ილია კი გვეუბნება: „რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა-გაწვრთნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობა ვერ გამოარკვევინოს ადამიანს... და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ არჩევინოს“. რამდენად კურიოზულია, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის ერთგული, სხვადასხვა ასაკის, ინტელექტის, მაგრამ ერთი ზნე-ხასიათის მედროვეთა ჯგუფი. უფრო მეტად კურიოზულია ის, რომ ბიბლიოთეკის ფონდები დეპარტამენტის სახით აბარია ვინმე ლევან თაქთაქიშვილს, რომლისთვისაც ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ კრიმინალური ნაწარმოებია, მთავარი გმირი კი მთავარი კრიმინალი. შეიძლება ისიც თქვან, ეს მისი ესთეტიური გემოვნების საკითხია, რომელზეც არ დაობენო, მაგრამ აქაც ილია და აკაკი უნდა გავიხსენო, ეს მისი შინაგანი აგებულებაა, ის სულიერი ვინაობაა, რომელზეც იტყვი: „განა მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“. თურმე, ნუ იტყვით და, ეპოქის შესაფერისად კრეატიულებს ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია დაუსახავთ მიზნად და საკუთარი არითმეტიკაც ჰქონიათ. ჯერ საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის წევრობის პატიოსნებაში დაეჭვდნენ, შემდეგ ფონდების დათვლის რაღაც ახალ არასაბჭოურ მეთოდზე ალაპარაკდნენ, არადა, საბიბლიოთეკო საქმეში ინვენტარული შემოწმების დროს ერთეულებით, წლიური კომპლექტებით თუ ტომებით დათვლა საბჭოთა პერიოდშიც და მერეც არანაირ აღმოჩენას არ წარმოადგენს. ეტყობა, ამ ახალი არითმეტიკული მიღწევის შედეგია ისიც, რომ 2006 წელს წიგნის პალატის უნიკალური ფონდის კანონდარღვევით გადმობარებისას ეროვნული ბიბლიოთეკის საერთო ფონდის რაოდენობას 4 000 000 მიუმატეს პალატის 1 500 000-იანი ფონდი და ისევ 4 მილიონი მიიღეს.

ახალი ხელისუფლებიდან ღიად და საჯაროდ გამოჩენილ მათ მფარველებს ჭგონიათ, რომ დეპუტატის მანდატის მიღების შემდეგ საკუთარ ამომრჩევლებზე უკეთესი მოქალაქეები ხდებიან, მათი მეგობრები კი ხელშეუხებელნი, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში გამოჩენილი უპასუხისმგებლობის გამო საბიბლიოთეკო საქმეში გამოვლინდა ისეთი დარღვევები, როგორიცაა: სერიოზული დარღვევები ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ფონდის აღრიცხვის მხრივ; უპასუხისმგებლოდ შედგენილი ლიტერატურის ჩამოწერის აქტები; მაკულატურაში ჩასაბარებელი პოლიტიკურად მოძველებული ლიტერატურის სიებში ჩაწერილი უნიკალური ლიტერატურა; ასევე ფონდიდან ლიტერატურის ფიქტიური ხასიათის ჩამოწერა; წიგნობრივი ფონდის დაცვის მხრივ სავალალო მდგომარეობა; ბშა-ს საშუალებით თანამშრომებზე გაცემული და დაუბრუნებელი ლიტერატურის რაოდენობა 1590 ეგზემპლარს აღემატება; თბილისის ორგანიზაციებზე – 742 ეგზემპლარს; ბშა-ს გარეშე საცავებიდან თანამშრომლებზე გაცემული და დაუბრუნებელია 2071 ეგზემპლარი; დიმიტრი უზნაძის შრომებიდან დაკარგულია 21 ეგზემპლარი; გ. ხავთასის „საზღვარგარეთის ლიტერატურა“- 10 ეგზემპლარიდან დაკარგულია 9; ა. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“ – 16 ეგზემპლარიდან დაკარგულია 4; 88709 ჟურნალიდან დაკარგულია 3600 ეგზემპლარი; მეცნიერ-მუშაკთა დარბაზის სახელდახელო ფონდიდან დაკარგულია 1. ბიბლია – 2. ძველი და ახალი აღთქმა; 3. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი; 4. საოჯახო მედიცინა; 5. უცხო სიტყვათა ლექსიკონის 2 ეგზემპლარი; 2 მილიონიანი რუსულენოვანი ფონდის მდგომარეობა დღესაც გაურკვეველია, რადგან 2011 წელს დირექციის მიერ 1 კორპუსის სიცოცხლისათვის სახიფათოდ გამოცხადებისა და სამკითხველო დარბაზის დახურვის შემდეგ 2012 წელს მხოლოდ რუსული საცავიდან იქნა გამოტანილი წიგნები პერიოდულ გამოცემათა სამკითხველო დარბაზში და დღემდე გორებად ყრია. ეტყობა, ახალმოდის ევროპული დირექცია ასეთი ფორმით გამოხატავს ოკუპანტი რუსეთის მიმართ პროტესტს. მე კი ისევ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს შევახსენებდი მათ: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ. რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“. ბიბლიოთეკის ფონდების დაუცველობას ხელს უწყობს ისიც, რომ ბიბლიოთეკარებმა, რომლებიც ფონდზე არიან პასუხიმგებლები არ იციან დღემდე, რეალურად არსებული თავისი ფონდის რაოდენობა. დღევანდელი გენ.დირექტორი გიორგი კეკელიძე, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა (ბენდუქიძე, ჩორგოლეიშვილი, ბოკერია) ლობირებით და ბიბლიოთეკის დირექციასთან შეთანხმებით დაინიშნა უმწიფარი ასაკისა და უპასუხისმგებლობის გამო თანამდებობრივი კომფორტის ხიბლშია ჩავარდნილი და თანამდებობას საკუთარი პიროვნების რეკლამისათვის იყენებს. მისი ასაკისათვის შეუფერებელი თავბრუდამხვევი ბიოგრაფიაც ბევრ ეჭვს და კითხვას ვბადებს. გასაკვირი აღარც არის, რომ ბიბლიოთეკის დირექცია მალავს არსებულ ფაქტებს, არც კი საუბრობს ღიად და საჯაროდ რეალურ პრობლემებზე და არ ითხოვს ზემდგომი სტრუქტურისაგან სათანადო დახმარებას ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის. განსაკუთრებით მიუღებელია ზემდგომი სტრუქტურისაგან, პარლამენტისაგან, პასუხისმგებლობის აცილება და სრული ამინისტიის გამოცხადება კრიმინალში ეჭვმიტანილი დირექციისათვის.

ირმა დოლიძე

ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი

ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

ქალბატონი ირმას კოორდინატები:
მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)
ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-რა შემთხვევაში კვალიფიცირდება ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლით?

-სსკ-ის 109-ე მუხლი გახლავთ განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს ჩემს მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებები, ქმედება დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლით. ეს დამამძიმებელი გარემოებებია:

1. განზრახ მკვლელობა:

ა/მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ბ/ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ/სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით,

-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტი წლიდან თოთხმეტ წლამდე.

2. განზრახ მკვლელობა:

ა/ დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

ბ/დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

გ/ხულიგნური ქვენაგრძნობით;

დ/რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

ე/ ჯგუფურად,

-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.

3. განზრახ მკვლელობა:

ა/ორი ან მეტი პირისა;

ბ/განსაკუთრებული სისასტიკით;

გ/ანგარებით ან შეკვეთით;

დ/მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე/ არაერთგზის / გარდა ამ კოდექსის 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა/;

ვ/მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით,

-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

* * *

- ჩემი ახლობელი არის პატიმარი. მის მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. მას სურს გამოძიებასთან თანამშრომლობა. გახდება თუ არა ეს მის მიმართ დანიშნული სასჯელის გადახედვის საფუძველი?

-დიახ, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სსკ-ის 73-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას - მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების ან სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელის ამ კოდექსის 144-1 პრიმა, 144-2 პრიმა და 144-ე 3 პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე / 144-1 პრიმა მუხლი - წამება, 144-ე2 პრიმა მუხლი -წამების მუქარა, 144-3 პრიმა მუხლი - დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა/.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნუგზარ ანთელავას სიძის

გავროშ ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში ქართული უკანალი აფერხებს?

„საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, რომელიც ახლახან შეიცვალა საქართველოში, ვერაფერი აღუდგება წინ ჩემი ერის ევროპულ ენთუზიაზმს, მის სურვილს და სწრაფვას, შეუერთდეს „ევროპას“, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ახირებული ხალხი ვართ ეს ქართველები – ევროკავშირში შესვლა გვინდა, ევროპელობა გვინდა, მაგრამ გეიაღლუმის ჩატარებაზე უარს ვამბობთ, ერთსქესიანთა ქორწინება კი წარმოუდგენელ მკრეხელობად მიგვაჩნია.

თუ ევროპელობა გინდებლარიენ, თქვე კაი ხალხო, გეიაღლუმზე უარს რატომ ამბობთ, ან მიხო და ძუკუ რომ დაქორწინდნენ, ამის წინააღმდეგნი რატომ ხართ?

ევროპელობა თუ გსურთ, ეგეთი ევროპული რაღაცებიც უნდა გინდოდეთ.

მაგალითად, პარიზის მერი გეია, ბერლინის მერიც გეია, ერთ-ერთი წამყვანი ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა (კაცმა) ოფიციალურად იქორწინა კაცთან, ჩვენთან კი, საქართველოში, ეგეთი ამბები რომ მოხდეს, შეიძლება, საყოველთაო-სახალხო აჯანყებას გამოვკრათ ხელი, თუმცა ვინმემ რომ გვკითხოს, ევროპელები ვართ და ევროკავშირშიც გვინდა შესვლა.

ჩვენს სიტყვას და ჩვენს საქმეს „შუა უზის დიდი მზღვარი“. ეს დიდი მზღვარი კი, სინამდვილეში, დიიიდი ქართული უკანალია, რომლის გაევროპელებასაც არა და არ დაადგა საშველი.

მართალია, ჩვენი ხელისუფლებები, წინაც და ახალიც, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ჩვენ ევროპისკენ მიმავალ გზას არასოდეს არ გადავუხვევთ, რომ ჩვენი არჩევანი უცვლელია და სამარადისო, მაგრამ ეს ქართული უკანალი რომ გვეჯიუტება და უკანუკან რომ გვექაჩება, ამას რა ვუყოთ?

– მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! – კარგა ხნის წინათ კი თქვა ცხონებულმა ჟვანიამ, მაგრამ ვინ დაგიჯერა?

ის კი არა, ევროპიელნი კარგა ხანს ეკითხებოდნენ თურმე ერთმანეთს: ეგ შავი კაცი ვინ იყო, ევროპელად რომ ასაღებდა თავსო?

ევროპელების მოტყუება გვინდა, როგორც ჩანს, მაგრამ არაფერი არ გამოვა აქედან, სანამ ჟუჟუნა და მაყვალა, სანამ ზეზვა და ზაზა ჯვარს არ იფსკვნიან და მტკიცე ქართულ ოჯახს არ შექმნიან.

ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე უცნაური მოწმე მოიყვანეს.

მოწმე ერქვა და ამიტომ ჩვენც მოწმე დავუძახოთ, თორემ, როგორც მისი „ჩვენებიდან“ გაირკვა, ამ კაცს არც არაფერი ენახა, არც არაფერი მოესმინა და, აქედან გამომდინარე, არც არაფერი ჰქონდა მოსაყოლი და დასამოწმებელი.

ეს ქართული მართლმსაჯულების ნოუჰაუა, რაღაც ახალი გამოგონებაა, რომლის მიზანი, როგორც ჩანს, ზოგადად მართლმსაჯულების გაბითურება და ფარსად ქცევაა.

უნდა ველოდოთ, რომ მომავალ სასამართლო პროცესებზე კვლავ გამოჩნდებიან ასეთი მოწმეები, რომლებსაც არც არაფერი დაუნახავთ და არც არაფერი მოუსმენიათ, სამაგიეროდ, ამ პროცესებზე არავინ დაუძახებს იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს სააკაშვილის რეჟიმის და მისი დამქაშების მთელი სისასტიკე და არაადამიანური ბუნება.

მოწმე

მწუხარე სახის რაინდი – სახელად დავითი

იყო ასეთი კაცი, დონ კიხოტი – მწუხარე სახის რაინდი.

არის ასეთი კაცი, მწუხარე სახის დავითი – იგივე დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავკაცი, უმრავლესობის და უმცირესობის თავმჯდომარე.

მწუხარე სახის რაინდი ქარის წისქვილებს ებრძოდა, მწუხარე სახის დავითიც „ნაციონალური წარმოშობის“ ქარის წისქვილებს ებრძვის – ხან ბობოქრიძე წამოიბობოქრებს, ხან ჩიორა წაუშრიალებს, ხან ნადირაშვილი წაუსისინებს, მწუხარე სახის დავითი კი მწუხარე სახით ხან ერთს აუქშევს, ხან – მეორეს, ხან მესამეს: კოლეგებო, დამშვიდდით! კოლეგებო, დაცხრითო!

მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა ბატონ დავითს და ამიტომაც აქვს, ალბათ, ასეთი ტრაგიკული გამომეტყველება, თუმცა ერთ ფრთიან გამოთქმას თუ გავიხსენებთ, ტრაგიკულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია.

თქვენც გაიცინეთ, ბატონო დავით, გაიცინეთ, რადგან, კარგად თუ დაუკვირდებით, მართლაც სასაცილოა, რაც ახლა ქართულ პარლამენტში და, საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში ხდება.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.